# მამული

ჭეშმარიტად ქართული სული ამერიკაში

№19,
2005 წლის
ოქტომბერი


დინებას მხოლოდ
მკვდარი თევზები მიჰყვებიან!

# ვინ დაადევნა სიკვდილი?



# რედაქტორისაგან

საქართველომ, ალბათ, რამდენიმე მთავრობა კიდევ უნდა გამოიცვალოს, რომ ხელისუფლებაში მოსულთ საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ,,საუკუნის მკვლელობის“ საქმის გამოძიების ნება ჰქონდეთ.

ნება და მეტი არაფერი!

არადა, ეს ,,დაწყევლილი“ წლები ისე გადის, რომ ჩემი ქვეყანა როცა ამ მკვლელობის საქმის გასახსნელად მოიცლის, არათუ მოწმე, შეიძლება მისი თანამედროვეს ,,ბუნდღაც“ აღარ იყოს...

გამიგია, არქივის თაროზე რჩებაო, თურმე გაზეთიო... გაყვითლებულიო, შელანძღულიო, მაგრამ მაინც წარსულის უტყუარი სარკეო.

მაგრამ არქივიდან მოპარული, არდაბრუნებული თუ დამწვარი გაზეთის კვნესაც რომ გამიგია...

ხოდა, რა გასაკვირია, თუ ჩვენი გაზეთის ამ ისტორიული ნომრის ერთ ეგზემპლიარს ეტრატივით დავახვევ, ბოთლში ჩავჩურთავ და ატლანტის ოკეანეში გადავუძახებ...

გაისად საუკუნეში ხომ მაინც მიადგება გაღმა ნაპირს?!

და მაშინ, ჩემს მამულში თუ ,,სხვა ხალხის ჟრიამული“ არ იქნა, ინებონ იქნება ამ ბოთლის გახსნაც და შიგ ,,ჩაჭყეტაც“...

და თუ კი, ეს ერთ რვეულად აკინძული მოწმეთა ჩვენებები რაიმე როლს მაინც შეასრულებს ჩემი ქვეყნის ისტორიის გამოკვლევის საქმეში, მე მხოლოდ ერთსა გთხოვთ:

- ჩემი სულიც მოიხსენიეთ იქ, სადაცა... განისვენებენ!

## რედაქტორის რჩეული კუთხე

ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს.

***უილიამ შექსპირის სონეტებიდან***
***რეზო თაბუკაშვილის თარგმანი***

## აუცილებელი განმარტება

გაზეთ ,,მამულისა“ და ჟურნალ ,,Gezi. us“ რედაქციებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება, რითაც მიღწეული იქნა შეთანხმება და მოხდა ურთიერთმისაღები ხელშეკრულების გაფორმება.

ამიერიდან, ჩვენ მოხარული ვართ გამოვაცხადოთ ჟურნალის ,,Gezi. us“ გაერთიანება გაზეთ ,,მამულთან“ ამ უკანასკნელის სახელის შენარჩუნებით.

ძალაში რჩება ვებ-პორტალი ,,www.gezi.us“, მხოლოდ ბეჭდური ხაზით ყოფილ ხელმომწერებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ გაზეთი ,,მამული“ დარჩენილი თანხის ამოწურვამდე.

გაზეთი ,,მამული“ 2005 წლის 23 სექტემბრიდან იღებს პასუხისმგებლობას ,,Gezi. us“ მხოლოდ ბეჭდური ვერსიიის სამართალმემკვიდრეობაზე.

***გაზეთ ,,მამულისა“ და***
***ჟურნალ ,,გეზის“ რედაქციები***

### 30 ოქტომბერს, კვირას, რესტორან "ნაციონალში"

# ქუდზე კაცი «მამულის» იუბილეზე




ძვირფასო მკითხველო,

გგონია ვერ ვხვდები, თუ რა მოუსვენრობით ხსნი ფოსტის ყუთს ჩემს მოლოდინში? ან ვერ ვხედავ, გახარებული იქვე რომ გადამფურცლავ და მადლობის ნიშნად გულში მიკრავ?

მე ისიც ვიცი, თავშენახულობას რომ მიზეზობ, ნელა მკითხულობ და ჩემს ფურცლებს ხვალ და ზეგ წასაკითხად ინახავ... შენი ფოსტალიონის ზარმაცობის გამო რომ დამაგვიანდება, მესმის, რომ ჩემი ფურცლების წაკითხვას ტელეფონში გიწყებენ მეგობრები...

არ მკითხო ახლა, საიდან იციო?

- მოვიდა სიგნალი!

თქმა არ გინდა, გეცოდინება, მაგრამ მაინც შეგახსენებ: 30 ოქტომბერს, კვირას, ბრუკლინის რესტორან ,,ნაციონალში“ ჩემი იუბილის გამართვა განუზრახავთ, - ხუმრობა ხომ არაა, ორი წლისა ვარ! თანაც ,,მართლა“ ქართული პოეზიის, ქართული სიმღერის და ქართული სულის ზეიმობა იქნებაო, ყური მოვკარი, ერთმანეთს ეუბნებოდნენ.

ხოდა, შეიტანე წვლილი ჩემი გადარჩენის, გაზეთად დარჩენის საქმეში და ეწვიე ჩემი იუბილისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო საღამოს.

ხო, მართლა, სტუმრობისას შენს მაჯის საათზე ისრები 4-ის გასწვრივ უნდა იყოს!

ბილეთების შეძენა
შეგიძლიათ შემდეგ მისამართებზე:

**ქართული პური**
265 Neptune ave
Brooklyn, NY (718)332-8082

**კავკას-ექსპრესი**
277 Brighton Beach ave

**VIP Wireless**
1619 Grant ave, Store 16
Philadelphia, PA (215) 676-2302




**შეკვეთა**
**ბილეთი**

☐ მსურს შევუკვეთო ,,მამულის“ იუბილეზე დასასწრები ბილეთი ____ ცალი

სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით

ქუჩის მისამართი და აპარტამენტის N

ქალაქი, შტატი, საფოსტო კოდი

საკონტაქტო ტელეფონი

ჩეკი ან მანი ორდერი **M. KATCHAKHIDZE** სახელზე გაფორმებული უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:
P.O. BOX 13121, JERSEY CITY, NJ 07303,
ბილეთის ფასი 50 დოლარი, გთხოვთ აუცილებლად მიუთითეთ ბილეთის სასურველი რაოდენობა.

ღონისძიება დაიწყება ზუსტად 4 საათზე, მოხდება ჩაწერა ტელეკომპანია „იმედისათვის“, რის გამოც დარბაზში მოძრაობა აიკრძალება და მთელი ღონისძიების მიმდინარეობისას დარბაზი დაიკეტება. გთხოვთ საღამოს ჩაცმულობას!



## ქრისტესმიერი სიყვარულით

### ზვიად გამსახურდიას

გადაიჭრები გზნებით მეოფადში,
დაემკვიდრები ხალხში მითივით,
ზეაღმართულო ჩვენს ეპოქაში
მიქელანჯელოს კუშტ დავითივით.
დაუცხრომელო სულიერ ცდაში,
დაუსაბამო სიტყვის მხმობელო,
უკიდეგანო ასტრალურ ზღვაში
დემონთა ხროვის დამამხობელო.
ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი,
ვაჰ, თუ მალები შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,
ავთანდილობა ერთობ მძელია.

**მერაბ კოსტავა**

### მერაბ კოსტავას

ერზე მჭმუნვარე მმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვალ, იცოდე!
გვეტანებოდნენ მაღლნი და ღორნი,
შემუსვრა სურდათ ელვარე ჭაღის,
მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი,
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის!
ვაშენოთ ჩვენი ტამარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მივვიძღოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.

**ზვიად გამსახურდია**








„- იცოდე, დღეს მაინც მხოლოდ მართალი უნდა მითხრა, ფარსმან“.

„- განა ოდესმე ტყუილი მომიხსენებია, მეფევ ბატონო, შენთვის?“

„- მხოლოდ სულელები ეუბნებიან მართალს, ჩემო ფარსმან, მეფეს“.

„- ეგეც სწორია, მეფევ ბატონო, მაგრამ ერთი დღე მაინც უნდა გამოურიოს მართლის თქმისა კაცმა“.

*კონსტანტინე გამსახურდია. „დიდოსტატის მარჯვენა“*

ღიმილი და მილოცვები -
თუმცა ბევრი გავეცით,
ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად! -
მხოლოდ ჩვენ კი დავეცით.
ალბათ თვითონ ღმერთი ირჩევს -
უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ
საოცარი ღამეა;
დეკემბერი დააჭენებს
ყინვით ნახატ ეტლებსა,
იმ ღამით ხომ წამებული
ქრისტე იშვა ბეთლემსა,
მერე ზეცად აღევლინე,
არ გიგუეს მიწაზე -
ნუთუ აღარ დაბრუნდები
ცოდვილ დედამიწაზე?!
ზეცად წასულს უკან მოგყვა
ლოცვა - ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი
და იუდა რამდენი?!
ალბათ მისთვის გაიაფდა
ღალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი,
ადვილია - დაცემა!
მეც დავრწმუნდი, არ გამქრალა
ქვეყნად შური და მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს
საიდუმლო სერობა.
და წარსული სიზმრად მექცა,
მომავალი ოცნებად,
მეგობარი ველარ მიცნობს,
მნახავს და გაოცდება.
ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა,
სევდას ვინ დაიბედებს?
ძველი წელი ხსოვნას მართმევს,
ახალი კი იმედებს.
ქრისტე აღდსგა! ქრისტე აღდსგა!
ჩემი სული ცას უხმობს,
ჭეშმარიტად! - კვლავ იუდა
ნიშნისგებით მპასუხობს;
თუმცა შუბლზე სამარცხვინო
მინდა დაღი დავაკრა, -
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს შემდეგ
ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წარწყმედილი
ეგდოს ქვეყნად, ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს
კვლავაც ღამე ეთიოს.
რწმენა ძნელად გადარჩება,
ხატი უფრო ადვილად,
ქრისტე აღდსგა ჭეშმარიტად!
ქრისტე აღსდგა ნამდვილად!

# ვინ დაადევნა სიკვდილი ზვიად გამსახურდიას

**სისხლიანი კვალი**

**– ზვიად გამსახურდია მეგრელ კაცს მოაკვლევინეს. მე ვიცი, ვინ არის ეს კაცი. ვიცი, მისი სახელი და გვარი. ისიც ვიცი, სად ცხოვრობს, – ეს სიტყვები ორი წლის წინ ითქვა ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი ერთგული თანამებრძოლის მიერ.**

**სამწუხაროდ, მკვლელის ვინაობა დღემდე არ დასახელებულა.**

**გაზეთი „მამული“ საგამომცემლო სახლ „ასავალ-დასავალთან“ ერთად იწყებს ჟურნალისტურ გამოძიებას, რომლის მიზანია ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს ზვიად გამსახურდიას მკვლელისა და ამ საზარელი მკვლელობის შემკვეთის ვინაობა.**

**ჩვენ დარწმუნებული ვართ, საზოგადოებისა და სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური მონაწილეობით ამის გაკეთება შესაძლებელია.**

**რაც მთავარია და, ალბათ, უპირველესი, ეს არის ქართველი ხალხის მტკიცე და ურყევი ნება. ეს, დღემდე იდუმალებით მოცული დანაშაული, სწორედ ქართველმა ხალხმა უნდა გახსნას და დამნაშავეებს საკადრისი მანვე უნდა მიუზღოს.**

**ამიტომაც მივმართავთ თხოვნით ყველას, ვინც რაიმე იცის საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ, დაუყოვნებლივ გამოგვეხმაუროს.**

**თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს.**

**ძვირფასო მეგობრებო!**

**ველით თქვენს წერილებს, ინფორმაციებს, სატელეფონო ზარებს.**

**საჭირო შემთხვევაში ანონიმურობა დაცული იქნება.**



***რატომ განდევნეს საქართველოდან ზვიად გამსახურდია? ვინ და რატომ დასდევდა მოსაკლავად მთიანი სამეგრელოს ულამაზეს და მიუვალ გზებზე საქართველოსა და ქართველების ჭირისუფალს? ვის სჭირდებოდა პრეზიდენტის სიკვდილი, ხოლო მკვლელობის შემდეგ მისი ცხედარი, ალბათ, დასახიჩრების მიზნით? — აი, კითხვები, რომლებიც ჩემსავით არ ასვენებს უამრავ ადამიანს სრულიად საქართველოში. აი, უკვე მერამდენედ მივუყვები მთიანი სამეგრელოს ოღრო-ჩოღრო გზებს და ამ გზებზე ჩვეული თავდადებით, ერთგულებითა და უანგაროდ მივყავართ არაჩვეულებრივ ახალგაზრდას ხვიჩა ზარანდიას. დაგვატარებს იგი და არც თავი, არც დრო და არც მანქანა ენანება ამ ღმერთისა და კაცის მიერ მიტოვებულ გზებზე. თავისი საქმე გადაუდია სხვა დროისათვის, რათა შეგვახვედროს ადამიანებს, ვის შორისაც თავისი უკანასკნელი დღეები გაატარა საქართველოს პრეზიდენტმა.***

## სოფელი ჯალირა. რეპორტაჟი ანზორ მეზონიას ოჯახიდან

*ეს სოფელი მერცხლის ბუდესავით მოჩანს ჯიხაშკარიდან, ობუჯიდან, წალენჯიხიდან. როდესაც მეზონიების სახლი შორიდან დამანახეს, ვერაფრით ვიფიქრებდი, იქ მისვლა თუ შესაძლებელი იქნებოდა - სოფელი ცასთან უფრო ახლოს მეჩვენა, ვიდრე მიწასთან. მეზონიების ეზოში შესვლისას სულში სიმშვიდე ჩამეფინა. საოცარი გრძნობაა, როცა იცი, რომ აქ ზვიად გამსახურდიას გაუვლია, ამ მშვენიერი გარემოს მზერით დამტკბარა, ჩვეული მოწიწებით შეუდგამს ფეხი ამ სახლში. საუბარი ანზორ მეზონიას მეუღლესთან ქალბატონ* **ბონასთან** *წამოვიწყე.*

**– ქალბატონო გონა, თქვენი კარ-მიდამო საკმაოდ კარგი ადგილია საიმისოდ, ადამიანის თვალს რომ არ ეჩვენოს კაცი და მშვიდადაც გრძნობდეს თავს. ვინ და როდის მოიყვანა თქვენთან ზვიადი?**

- გაგიკვირდეთ იქნებ, მაგრამ რიცხვი არ მახსოვს, როდის მოვიდნენ ზვიადი და მისი თანმხლებნი ჩემს ოჯახში. რაიონის პრეფექტი ზურაბ გუჩუა მოუძღვა მას.

**– მოსვლისთანავე იცანით ზვიადი?**

- რა თქმა უნდა.

**– ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ლუდა ღურწკაიამ ძველ ხიბულაში ყოფნისას მითხრა: ზვიადი ვერ ვიცანი, რადგან წვერი ჰქონდაო...**

- ისეთი წვერი არ ჰქონდა, რომ ვერ გეცნო. სახლში იყვნენ, თავისი საფიქრალი ჰქონდათ და ყოველდღე ხომ არ გაიპარსავდნენ?

**– რა ნივთები ჰქონდა ზვიადს – წიგნები? ხატები?**

- რაღაც ნივთები ჰქონდა, მაგრამ ჩანთაში არ ჩამიხედავს.

**– ლოცულობდა?**

- მე არ დამინახავს, თუმცა ვიცი, რომ ლოცულობდა.

**– თავს როგორ გრძნობდა?**

- ჩემს სახლში ყოფნისას ზვიადი კარგად იყო. ვგულისხმობ ფიზიკურად, თორემ სულ დაფიქრებული გახლდათ და არც ლაპარაკობდა მაინცადამაინც.

**– წასვლაზე ხომ არ ლაპარაკობდა?**

- იგი წასვლას არ ჩქარობდა.

**– როგორ ეცვათ?**

- უბრალოდ ეცვათ. აბა, სახლში ძვირფასის ჩაცმა რად უნდოდათ.

**– თქვენთან თუ საუბრობდა?**

- ჩემს მეუღლეს უფრო ხშირად ელაპარაკებოდა.

**– სტუმრების გამო შემდგომში ხომ არ დაგაწიოკეს?**

- დაწიოკებით არ დაგვუწიოკებივართ, მაგრამ წვრილად კი გამოიკითხეს ყველაფერი. თბილისიდან იყვნენ, უშიშროების მუშაკები.

**– მაინც, რა საჭმელს მიირთმევდა?**

- ნადუღს, მაწონს, ყველს.

**– თქვენი აზრით, მართლა მოწამლეს ზვიადი?**

- არა და არა! უბრალოდ, დიეტაზე იყო, მჟავესა და მწარეს ერიდებოდა. მოწამლულს რა უგავდა? მე თვითონ მედიცინის მუშაკი ვარ და ასეთი რამეები კარგად გამეგება. არავინ დაგაჯეროთ, რომ მოწამლული იყო თვითონ ზვიადი. ბესარიონი უფრო ავადმყოფობდა, ვიდრე ზვიადი. ერთხელ გუგუშვილს თირკმლის მწვავე შეტევაც ჰქონდა. ზვიადი მშვენივრად იყო, ეგ არის, მუდმივად სევდიანი და დაფიქრებული ბრძანდებოდა.

*საუბარში* **ანზორ მეზონია** *ჩაგვერთო.*

**– ბატონო ანზორ, ზვიადი რომ ღურწკაიების ოჯახში მიიყვანეს, მაშინ თქვენც იქ ბრძანდებოდით?**

- არა, მე მაშინ იქ არ ვყოფილვარ, ზვიადის გარდაცვალება რომ შემატყობინეს, მაშინ მივედი ღურწკაიებთან, ზვიადის ცხედრის გადმოსასვენებლად. ზურაბ გუჩუა სხვაგან იმალებოდა, მასთან მივედი და ერთად გავემართეთ ძველი ხიბულასაკენ.

**– თქვენთან თავს როგორ გრძნობდა ზვიადი?**

- მერე და მერე უფრო გათამამდა, ეტყობოდა, ბუნებით მოკრძალებული ადამიანი იყო. გარეგნულად კი იყო კარგად, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ნერვიულობდა. ინერვიულებდა, აბა, რა იქნებოდა, როცა ამდენი ხალხი დასდევდა დასაჭერად. ვაი, სირცხვილო! ამხელა კაცს, ამხელა პიროვნებას, განსწავლულს, პრეზიდენტს, მაიმუნები დასდევდნენ დასაჭერად. ამისთანა სიბნელე გაგონილა? ისე, პირველ სამ დღეს უფრო იყო მოკრძალებული; მერე გათამამდა და უკეთესადაც ჭამდა.

**– სადღაც ამომიკითხავს, დედათქვენმა ბაბუცა ხარჩილავამ დაიჩემა, ზვიადს უნდა ვუთხრა რაღაცაო...**

- დედაჩემი ოთარაანთ ქვრივის ტიპის ქალი იყო. მართლაც დაიჩემა: - რაღაც უნდა ვუთხრა ზვიადსო. რადგან მისი ხასიათი ვიცოდით, არ გვინდოდა პრეზიდენტთან საუბრის უფლება დაგვერთო, ემანდ, გული არ ატკინოსო, მაგრამ არა და არ მოგვასვენა...

**– მაინც, რა უთხრა ასეთი ზვიადს ქალბატონმა ბაბუცამ?**

- „ბატონო ზვიად, შენ ასეთი ნასწავლი, ასეთი ჭკვიანი და ანგელოზივით კაცი როგორ ენდე ლოთი ქობალიასო?“ მეგრულად ლაპარაკობდნენ ორივენი.

**– ზვიადმა არ ჰკითხა ბაბუცას, რა საბუთი გაქვთ, ლოთიზე ასე რომ საუბრობთო?**

- არა, არ უკითხავს. ამასობაში, მეც შევუძახე ბაბუცას: ქალო, ნუ აწუხებ-მეთქი ბატონ ზვიადს.

ისე კი, მაშინ მაინცა და მაინც ასე, დღევანდელივით, არ ვიცოდი, პრეზიდენტი გაყიდული რომ ჰყავდათ, საკუთარ ტყავს რომ გაუფრთხილდნენ და სამოწყალოდ დაგვიტოვეს ასეთი დიდი კაცი.

**– რატომ ბრძანებთ ამას, ბატონო ანზორ?**

- იმიტომ, რომ ყველა ზუგდიდელი გაიქცა და მხოლოდ წალენჯიხელ ზურაბ გუჩუას შერჩა იგი.

**– ზვიადის თანმხლებნი როგორღა გრძნობდნენ თავს?**

- ზვიადი უფრო კარგად იყო, ვიდრე მისი ხალხი. ის კი არადა, ერთხელ გუგუშვილი გაგვიხდა ძალიან ცუდად. თურმე, ჩეჩნეთში რაღაც არეულობის შესახებ მოუსმენია, ამაზე უნერვიულია და თირკმლის მწვავე შეტევა ჰქონდა. ჩემმა მეუღლემ რაღაც წამლები დაალევინა და, როგორც იქნა, გადაუარა. თვითონ ზვიადი ცხიმიანს არ მიირთმევდა, კუჭი აწუხებდა, ტყეში გაღიზიანებოდა. წამლების სმა არ უნდოდა. ამიტომაც, მიირთმევდა მშრალ საჭმელებს.

**– ზვიადი ვისი ოჯახიდან მოიყვანეს თქვენთან?**

- ვისი ოჯახიდან, არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი ჭალე-ფახულანში რომ ჰყავდათ, ერთ ღამეს დამიბარეს და გზაში შევხვდით ერთმანეთს.

**– ვინ დაგიბარათ?**

- ვინ და ზურაბ გუჩუამ. ჩემი ძმადნაფიცია. კაცი გამომიგზავნა და მამცნო, ასე და ასეა საქმე და სამი-ოთხი დღე უნდა შემინახოთო.

**– აქაურობა თუ მოეწონა ზვიადს?**

- გახედეს, გამოხედეს. თქვენც ხედავთ, როგორი მიუვალია აქაურობა. არც დღისით და არც ღამით, აქ უცხო ვერავინ მოვიდოდა; იქით წალენჯიხაა, აქეთ ჩხოროწყუ, აგერ კიდევ ჯიხაშკარი. აგერ, აქ იწვნენ. ზვიადი ტანთ არ იხდიდა, გუგუშვილი - კი.

**– პირადად თქვენ ვინ შეგატყობინათ ზვიადის უბედურება?**

- ჩუხუამ, სახელი არ მახსოვს.

**– რა გითხრათ ჩუხუამ?**

- ზვიადმა თავი მოიკლაო, - თქვა. თანაც მთხოვა, ზურაბ გუჩუა მაჩვენეო. წავედით ზურაბთან. რომ მივედით, ზურაბს ზვიადის სიკვდილი მე ვუთხარი. ზურაბი შოკში ჩავარდა. მისი მეუღლე ექიმია. ნემსები გაუკეთა, რაღაც წამლები ასვა და ვაი-ვაგლახით, როდის-როდის გამოაბრუნა.

**– სად გადაასვენეთ ზვიადის ცხედარი?**

- ღურწკაიებიდან ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში მივასვენეთ. ჯონსონის სახლი იმ ადამიანებიდან მხოლოდ მე ვიცოდი და, ცხადია, ამ საქმეს თავად ვხელმძღვანელობდი. სხვათაშორის, ზვიადის ცხედრის დაკრძალვა ჩემს ეზოში მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ჯიხაშკარის ტერიტორიაზე ის ტრაქტორი გაგვიჩერდა, რომლითაც ზვიადის ცხედარი გადმოგვყავდა; თანაც, ჯიხაშკარის ტერიტორიაზე დილამ მოგვისწრო. ტრაქტორს ვეწვალებოდით. ბესო გუგუშვილმა ბრძანა, ღვინო ჩავასხათო და, წარმოიდგინეთ, ტრაქტორი ამოძრავდა. ამ დროს ჯონსონიც შეგვხვდა. მე არ ვიცოდი, ადრე ზვიადი მის სახლში რომ ჰყავდათ, ანუ ჩემთან სტუმრობის შემდეგ. ყველაფერი უცებ გადაწყდა და ზვიადის ცხედარი ჯონსონის ეზოში ავიყვანეთ.

**– რამდენადაც ვიცი, ძველ ხიბულაში ზვიადს მხოლოდ დაცვის ორი წევრი ახლდა. დანარჩენი ორი სადღა იყო?**

- თურმე, ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან რომ წაიყვანეს ზვიადი, ორი მცველი იქვე დატოვეს. მე რომ ჯონსონთან მივედი და შევატყობინე, ზვიადს თავი მოუკლავს-მეთქი, დაცვის ის ორი წევრი კინაღამ გადაირია, რას ლაპარაკობთ, ზვიადი თავს არ მოიკლავდაო.

**– ბატონო ანზორ, თქვენც და თქვენმა მეუღლემაც ბრძანეთ, რომ ზვიადი დაფიქრებული და ძალზე სევდიანი იყო. ამის შემდეგ, რატომ გამორიცხავთ, რომ შეიძლებოდა თავი მოეკლა?**

- სევდიანიც იყო და დაფიქრებულიც, მაგრამ თავს არავითარ შემთხვევაში არ მოიკლავდა.

**– შეიძლება ადრე არც ეფიქროს ადამიანს თვითმკვლელობა, მაგრამ ვითარებამ უცებ მიიყვანოს ასეთ გადაწყვეტილებამდე, მით უმეტეს, თქვენ იცით, როგორ ეძებდნენ ზვიადს, როგორ სდევდნენ მოსაკლავად. არ მეთანხმებით?**

- არ გეთანხმებით. ზვიადი ისეთი უპასუხისმგებლო კაცი არ იყო, რომ თავი მოეკლა. მოკლული ზვიადი ახალგაზრდა ექიმ დათო კვარაცხელიას ვაჩვენე. იგი ჯიხაშკარის ექიმი გახლდათ, ახლა თბილისის რომელიღაც სავადმყოფოში მუშაობს. მან დაათვალიერა ცხედარი, საფეთქელთან გასინჯა და მითხრა, ანზორ ბიძია, ზვიადი მოკლულია. თავი რომ მოეკლა, იარაღი ხომ უნდა გაესროლა, ამას კი იარაღი ხელთ ეპყრა. თანაც, ტყვიას მარჯვენა საფეთქელში რომ დაი-



**სოფელი ჯალირა, ანზორ მეზონიას სახლი**

რტყამ, მარცხენა ყურის ძირში არ უნდა გამოვიდესო.

**– ბატონო ანზორ, თქვენ კარგად ნახეთ ზვიადის ცხედარი?**

- ჩემსავით, შეიძლება, არავის უნახავს. ეს იყო ულამაზესი ცხედარი, ხელისა და ფეხის ფრჩხილებიც იშვიათად ლამაზი ჰქონდა. მთელი სხეული ჩამოსხმულს უგავდა.

**– ვისი იყო ის ტრაქტორი, რომლითაც ზვიადის ცხედარი ჩამოასვენეთ ძველი ხიბულადან?**


გონა მოლაშხია


ჟურნალისტი ბელა შალვაშვილი ინტერვიუს იღებს ანზორ მებონიასგან


გივი ჯოლბორდის ფოტოები

ზვიად გამსახურდიასა და ბესარიონ გუგუშვილის საწოლი მებონიებთან

- არაფერი ვიცი არც ტრაქტორისა და არც ტრაქტორისტის შესახებ, არც ის ვიცი, ვინ მოიყვანა. მერე ჩვენი ხელით გავაკეთეთ რაღაცა ყუთი და ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში დავკრძალეთ.

**– მერე სხვა კუბო გააკეთებინეთ?**

- სამესხიოში მუხურიდან ჩამოვიტანე მასალა და მესხიას გავაკეთებინეთ კუბო. ვალიკო ზარანდიას სახელოსნოში იმ კუბოთი დავკრძალეთ. **საცოდავი ვალიკო ზარანდია აწამეს და იმ წამების მერე გარდაიცვალა, შარშან კი, უმცროსი ვაჟი მოუკლეს...**

**აკი, შემომტირა კიდეც ნათელა ზარანდიამ – ვალიკოს მეუღლემ, შევარდნაძე იმას მაპატიებდა, ზვიადი ჩემს ეზოში რომ დავკრძალე? ჯერ ქმარი მომიკლა, ახლა – შვილიო.**

**– სხვას კიდევ რას მეტყვით, ბატონო ანზორ?**

- კიდევ ერთს, უმთავრესს იმას გეტყვით, რომ ყველაფერი ლოთი ქობალიას ბრალია. სად გაქრა, სად დაიკარგა? ზვიადი ისეთი ხალხის ხელში დატოვა, წალენჯიხა საით იყო და ზუგდიდი საით, არ იცოდნენ. ახლა, თქვენ რომ აქ მარტო დაგსვან, ამ თქვენთვის უცნობ მხარეში, სად წახვალთ? ხომ დაიბნევით? ლოთი გაიქცა, ფული წაიღო ჩემოდნით, დოლარებია, თუ რაღაც ოხრობა, რა ვიცი...

**– ბატონო ანზორ, ხომ იცით, ცილისწამების გამო შეიძლება პასუხისგებაში მიგცენ...**

- აუცილებლად დაწერეთ, არ გამოგრჩეთ. ეს ყველაფერი მათგანვე ვიცი. დაცვამ უთხრა ზვიადს: ლოთის ფული მიაქვს, დავხვდებით და წავართმევთო. ზვიადმა უთხრა, შეეშვით, არ შეერგებაო. მე გიჟი ხომ არა ვარ, ან ჩემი თავის მტერი, რომ ასეთები მოვიგონო?

**– ბატონო ანზორ, თუ ლოთი ქობალიამ ზვიადსაც უღალატა და ფულიც გაიტაცა, მაშინ შევარდნაძის ხელისუფლებამ რატომ დააპატიმრა?**

- ეგ სპეციალურად დააპატიმრეს. შევარდნაძეს ვერაგობას ვინ ასწავლის. მან იცოდა, რაც უნდა ექეთებინა. ისიც გახმაურდა, ლოთი ციხეში მეფურად რომ ცხოვრობდა და თიკნებს კლავდა... დაცვის ბიჭებისგან ვიცი ყველაფერი. თუ ჩემი არ გჯერათ, ზურაბ გუჩუას ჰკითხეთ, ისიც ისმენდა ამ ყველაფერს. აი, ვალტერ შურღაია რომ გვერდით ჰყოლოდა ზვიადს, დღესაც ცოცხალი გვეყოლებოდა... ძლიერი მოაშორეს, სუსტის გვერდით დატოვეს, ლოთის რომ შეატოვეს ზვიადი, ის უკვე მკვდარი იყო. ვალტერ შურღაია სპეციალურად ჩამოაშორეს ზვიადს, რადგან საქართველო ყველაფერზე მეტად უყვარდა. ლოთი რას წარმოადგენდა? ფოთიდან თბილისში ორჯერ არ იყო ნამყოფი. ასეთი კაცი დაუყენეს გვერდით ზვიადს. კაცი, რომელსაც ცხოვრებაში ქურდობის მეტი არაფერი უკეთებია.

**– ბატონო ანზორ, მინდა კვლავ შეგახსენოთ, როგორც ცუდის, ასევე კარგის მტკიცებაც ფაქტებით შეიძლება მხოლოდ. საიდან იცით, ვალტერ შურღაია რომ ასეთი სანდო და ერთგული კაცია?**

- ვალტერი პირველი ნახვისთანავე შევიცანი. ჩემი ქალიშვილი სოხუმში იყო გათხოვილი. ახალდაბა უკვე დაცემული გახლდათ, სასწაული ხდებოდა იქ... ლოთიმ ჯარი შეიყვანა და თბილისიდან რომ ხალხი ჩამოვიდა, იმათ გავყევი ოჩამჩირეში. ახალდაბის შესასვლელი - კინდღი უკვე გადაკეტილი იყო, შესვლა არ შეიძლებოდა. იქ ვნახე ვალტერ შურღაია. მივცვივდით. იმ ღამეს ზღვიდან ის ტერიტორია დაბომბეს და ვინც ცოცხლები გადავრჩით, გამოვბრუნდით.

ამ დროს შურღაიამ მანქანა გამოაგზავნა. საჭესთან ქებურია იჯდა. ქებურიამ თქვა, ვალტერ შურღაიამ გამომგზავნა და ზვიადისთვის ტანსაცმელი გამომატანაო. თვითონ შურღაიას ზვიადის ნახვა უნდოდა. ზვიადი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ტყუილად უთხრეს, ზვიადი ცუდად არის, არავის ღებულობსო.

**– ვინ უთხრა ვალტერს, ზვიადი ცუდად არის და არავის ღებულობსო?**

- რობიზონმა. ამას მე ვისმენდი...

**– რას ფიქრობთ, რატომ დაუმალა ზვიადის სიკვდილი რობიზონ მარგველანმა ვალტერს?**

- ამაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან გულში ვის რა უდევს, ამის ამოცნობის ნიჭი არ მაქვს.

უკვე გამოვდიოდით მებონიების ეზოდან, ქალბატონმა გონამ რომ მითხრა: ჩვენს ეზოსთან „ბეტეერი" გაჩერდა. ზვიადი უკვე რამდენიმე დღის დაკრძალული იყო, „ბეტეერიდან" იარაღიანები გადმოვიდნენ. არ იცოდნენ, ზვიადი სად იყო დაკრძალული და მიცვალებულს ეძებდნენ. ირგვლივ ყველაფერი გადაჩხრიკეს. აი, იქ, რაღაცისთვის სულ პატარაზე იყო გათხრილი და ჩემს ბიჭს - ბესიკს უბრძანეს ეს ადგილი გათხარეო. ეგონათ, ზვიადი იქ გვყავდა დაკრძალული. ავტომატებით აშინებდნენ, შენი დედა ვატირე, ჩქარა ამოთხარეო - ეუბნებოდნენ. ამან, ჩემმა შვილმა უთხრა, ნუ მაგინებთო. მივარდნენ საცემრად, შუაში მე ჩავდექი, არ გრცხვენიათ, ბიჭებო, რას სჩადითმეთქი. გალეულები იყვნენ. როცა დარწმუნდნენ იქ არ იყო დაკრძალული, წავიდნენ. ის უბედურები შიშით მიცვალებულებს ჰგავდნენ, მთის მწვერვალებისკენ იყურებოდნენ, ეგონათ, იქიდან ტყვიებს დაუშენდნენ.

***გაგრძელება შემდეგ გვერდებზე***


გოდერძი მებონია

# ჩვენ მივიღეთ თავისუფლება ბარაბას გზით –
# აი, მიზეზი ჩვენი განადგურებისა!

...დღეს შევიკრიბეთ ამ მიწაზე, სადაც დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში იმართებოდა მიტინგები და შეკრებები. დღეს ჩვენთან არიან ის სულები, საქართველოს თავისუფლების ქომაგნი, საქართველოსათვის მრავალი მათგანი შემდგომში წამებულნი, საქართველოს დამოუკიდებლობის სულის ჩამდგმელნი და ამ დღეს გვმართებს დიდი დაფიქრება და დიდი ანალიზი ჩვენი ბრძოლის, ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორი კურსის განსაზღვრისათვის.

მეგობრებო! გილოცავთ ყველა ქართველისათვის ამ ღირსსახსოვარ დღეს. და დღეს, მეგობრებო, უნდა ითქვას სიმართლე, რამეთუ სიმართლისათვის მოგვავლინა უფალმა ჩვენ, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ღვთის გზის ჭეშმარიტება, რათა მან სწამოს ქრისტესთვის, რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიო ხალხთა წინაშე, ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა. მეგობრებო, ნუ იყოფინ ორპირობა და გულაღრძნილობა ამ დღეს, ამ წმინდა მიწაზე, სადაც წინაპართა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ, სადაც სულმნათი მერაბ კოსტავა გადმოგვცქერის ზეციური საქართველოდან, სადაც წმინდა ილია მართალი დაგვცქერის ჩვენ, ჩვენს მიერვე წამებული ილია მართალი. ძმანო და დანო! ქართველი ერი ქრისტეს მცნებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე და მე მინდა შეგახსენოთ იგავი იოანეს სახარებისა, რამეთუ ეს იგავი მიესადაგება ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, ჩვენს გუშინდელ დღეს, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს დამოუკიდებლობას - იმჟამად წართმეულს, იმჟამად დამარცხებულს და ჩვენ დღეს უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა არჩევანის წინაშე ვდგავართ. ეს იგავი სახარებისა არის შემდეგი: **როდესაც მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე გამოიყვანეს ებრაელი ხალხის წინაშე რომაელებმა და მისმა მტანჯველებმა, ისრაელს ჰქონდა წესჩვეულება: სიკვდილით დასჯილი ერთ-ერთი ადამიანი ამ დღეს, ისრაელის წმინდა დღესასწაულის დღეს, უნდა მიეტევებინათ ხალხისათვის. მაშინ რომაელთა ხელისუფლებამ მიმართა ისრაელის ერს: ვინ მოგიტევოთ? და წარუდგინა ქრისტე – ღმერთკაცი და ბარაბა – ავაზაკი. მაშინ იხუვლა ისრაელის ერმა: ჯვარს აცუ ეგე და მოგვიტევე ჩვენ ბარაბა, მოგვიტევე ავაზაკი და ის ავაზაკი გულში ჩაიხუტა ერმა და ჯვარცმად გაუშვა ქვეყნად მოვლენილი მესია-ღმერთკაცი.**

**ძმანო!** უსაშინელესი ტრაგედია დაატყდა ისრაელს ამის შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა ოცი საუკუნის მანძილზე, მათ დაკარგეს დამოუკიდებლობა, დაკარგეს სახელმწიფოებრიობა, დაკარგეს ენა, დაკარგეს ტერიტორია, განიფანტნენ მთელ მსოფლიოში, არნახული ტანჯვით ვიდოდნენ და მხოლოდ ორი ათასი წლის შემდეგ შეუნდო უფალმა ის, რომ მათ აირჩიეს ავაზაკი, ავაზაკის გზა და უარყვეს ქრისტე. და, აი, **ქართველი ერი, ღვთის ერი, ასევე ღვთის რჩეული, ვით ისრაელი, ვიდოდა ქრისტეს ეკლიანი გზით. მოვიდა მეოცე საუკუნემდე და მის წინაშე წარდგა არჩევანი. აი, ეროვნული მოძრაობა დიდი ილიასი, დიდი ჰუმანისტებისა, დიდი დემოკრატებისა და, აჰა მოძრაობა ყაჩაღებისა, ავაზაკებისა და უღმერთო ერისა, ბარაბასი.** და როდესაც ისტორიამ სამსჯავროზე ჩვენს წინაშე გამოიყვანა დიდი ილია და გამოიყვანა ავაზაკი, **ჩვენ ავირჩიეთ ავაზაკი,** ჩვენ უარვყავით დიდი ილია და ჩვენ ტყვია ვესროლეთ მას.

**და, აი, დადგა ჟამი ჩვენი განთავისუფლებისა, ჩვენ მივიღეთ თავისუფლება, მაგრამ ბარაბას გზით. ბარაბას გზა ავირჩიეთ და ეს თავისუფლებაც უფალმა ისე წაგვართვა, ვით მოგვივლინა, და დაგვატეხა თავს არნახული სასჯელი, რომელიც სამოცდაათი წელი გვანადგურებს.**

აი, ამის გამო მივიღეთ, ძმანო, ეს სასჯელი, **რამეთუ უარვყავით ქრისტე**, ქრისტეს მოვლენილი კაცი, მესიად მოვლენილი კაცი და ავირჩიეთ ბარაბა ავაზაკის, სოციალ-დემოკრატიის და მსგავსთა მისთა გზა.

**აი, მიზეზი ჩვენი კატასტროფისა, აი, მიზეზი 26 მაისის დამარცხებისა, აი, მიზეზი იმისა, რომ ვიქმენით ჩვენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი, მტერთაგან ძლეულნი.** მამული ჩვენი მტერთა ფეხქვეშ გაითელა და ჩვენ დღეს უფსკრულის პირას ვართ. **და აი, მოდის ახალი არჩევანი,** წარმოგიდგათ უფალი, ძმანო და დანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ: **ქართველო ერო, შენ წინაშე არის ორი გზა. შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მივიდა გზაგასაყართან. აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა, აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა!** აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებული იყოს უკუნისამდე.

ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი - **ანტიქრისტე,** რომელიც წარმოგვიდგა და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება.

**გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას!**

**კურთხეული იყოს ილია მართლის გზა!**

**გაიღვიძე, ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას, ამინ!**


მარად ცოცხალი შეგონება

# ვინ დაადევნა სიკვდილი

**სისხლიანი კვალი**

# ზვიად გამსახურდიას

*წინა გვერდიდან*

## ზვიადის პირველი საფლავი

### ჯიხაშკარი, ჯონსონ კვარაცხელიას ეზო-კარი

***ქართველთა დიდი ნაწილისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ზვიად გამსახურდიას ცხედარი ჯიხაშკარში გადმოასვენეს ტრაქტორით სოფელ ძველი ხიბულადან და ჯონსონ კვარაცხელიასთან მიასვენეს, სადაც ჯერ კიდევ სიცოცხლეში, ხუთიოდე დღე გაატარა ზვიად გამსახურდიამ. ბატონი ჯონსონისათვის, როგორც ჩანს, ჟურნალისტების მიმოსვლა უკვე ჩვეულებრივ ამბად ქცეულა და ხალისით გვეგებება. ოთხი შვილი ჰყავს ბატონ ჯონსონს და სახლში ამჯერად, მხოლოდ მისი ქალიშვილი დარიკო დაგვხვდა, რომლისთვისაც ჯონსონ კვარაცხელიას „პრეზიდენტის მზარეული" დაურქმევია. აუარება ლამაზ კარ-მიდამოს ნახავთ მთიანი სამეგრელოს ამ ღვთივკურთხეულ ადგილას, მაგრამ ჯონსონ კვარაცხელიას კარ-მიდამოსნაირს - ვერაფრით. განაპირაა, ვერ იტყვით ამ ეზო-კარზე, ის უფრო ცალკე რესპუბლიკასავით არის, ბატონი ჯონსონ კვარაცხელია ანზორ მებონიასავით კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა.***

**- ბატონო ჯონსონ, როდის მოიყვანეს თქვენთან ბატონი ზვიად გამსახურდია თავისი მხლებლებით?**

- 22 დეკემბრის საღამოს.

**- წინასწარ გაგაფრთხილეს, რომ ასეთი სტუმრები მოჰყავდათ თქვენთან?**

- გაფრთხილება რად მინდოდა, მაგრამ მითხრეს მაინც.

**- ვინ გაგაფრთხილათ?**

- გუჯუჯი ებრალიძემ. გუჯუჯიმ ბატალიონი შექმნა „ჯიხას" სახელწოდებით. ჰოდა, ის მოვიდა და გამაფრთხილა, მანვე მითხრა, ფახულანში არისო ზვიადი, მწყემსებთან და, ვერ არისო კარგ პირობებში, კარვებში ცხოვრობენო; ეს ადრე მითხრა გუჯუჯიმ, მაშინ ძმის ორმოცი მქონდა გადასახდელი. ძმა მომიკლეს იმ გარეწრებმა. 11-12 დეკემბერს უწევდა ორმოცი. ვუთხარი, ეს ამბავი ორმოცის გადახდამდე ვერ მოხდებოდა, რადგან ეს ხალხი შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა მოწვეულთათვის.

**- კერძოდ ვინ მოიყვანა თქვენთან ზვიადი და მისი დაცვა?**

- ვახო ზარანდიამ. ეგ ვახო ვითომ ზვიადის მომხრე იყო და მერე მაგათ მილიციაში აღმოჩნდა სამსახურად.

**- რითი მოვიდნენ?**

- გუჯუჯი სოფლის გამგებელი იყო და სოფსაბჭოს „უაზით" მოვიდნენ. გუჯუჯიც მათთან იყო და ვათა ზარანდიაც.

**- ზვიადს ვინ ახლდა?**

- სტუმართაგან ზვიადს ახლდნენ გუგუშვილი, რობიზონი, ბაჩუკი, ზაზა და გოჩა.

**- საერთოდ, ზვიადი რომ პრეზიდენტი გახდა, ამ ამბავს როგორ შეხვდით?**

- აღტაცებით, იმიტომ, რომ ჩემს პატრიოტულ გრძნობებს შეეწონა ისეთი კაცის გახდომა პრეზიდენტად, როგორიც ზვიადი იყო, მე ხომ მთელი სიცოცხლე დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველო მენატრებოდა და თავისუფლად ამოვისუნთქე, - ნატვრა ამიხდა - ისეთი ქვეყანა გვექნება-მეთქი, დავითის დროს რომ იყო: დიადი, ძლიერი, თავისუფალი; ყველასთან ერთად, მეც კარგად ვიცოდი ზვიადის მოღვაწეობა, მისი დისიდენტური საქმიანობა ბავშვობიდანვე და, ერთი სიტყვით, დიდი სიხარული ვიგრძენი... მე მაშინ საკრებულოს წევრიც ვიყავი და საარჩევნო კომისიისაც.

**- რა პროცენტით გაიმარჯვა თქვენთან ზვიადმა?**

- მხოლოდ 3 პროცენტი მიიღო ადვაძემ, დანარჩენი 97 პროცენტი - ზვიადმა.

**- ყოველივე ამის შემდეგ, თქვენთვის თავზარდამცემი იქნებოდა ზვიადის დაცვით სიარული თქვენს მხარეში - სოფელ-სოფელ და ოჯახ-ოჯახ...**

- რასაკვირველია!

**- ბატონო ჯონსონ, ეს ფაქტი თქვენთვის ზვიადის, როგორც სახელმწიფოს პირველი პირის სისუსტე იყო თუ...**

- სისუსტე, არავითარ შემთხვევაში, არამც და არამც!

**- ეს კითხვა იმიტომ დაგისვით, რომ ბევრნი სისუსტედ უთვლიან ზვიადს იმ ამბავს, რაც დაემართა...**

- ეს დაემართა მას თავისი დიდი, ჰუმანური ხასიათის გამო. ზვიადს ხომ კაცის მოკვლა ვერც კი წარმოედგინა.

**- რითი ამტკიცებთ?**

- თუნდაც იმით, რომ აქ, ჩემთან, პარტიზანები მოვიდნენ, უმცირესი მსხვერპლით შეგვიძლია ამ მდგომარეობის გამოსწორება და თქვენი დაბრუნებაო, - უთხრეს ზვიადს. ზვიადმა უთხრა, არაო, მე ადამიანებს სასიკვდილოდ ვერ გავიმეტებო.

**- ბატონო ჯონსონ, აი, მოიყვანეს თქვენთან ზვიად გამსახურდია, შემოვიდა თქვენს ეზოში, მიიხედა, მოიხედა და მოსალმების შემდეგ რა თქვა ისეთი, დასამახსოვრებელი, პირადად თქვენ რა გითხრათ?**

- ჩვეულებრივად მომესალმა და მეტი არაფერი, მაგრამ თქვენ რომ მობრძანდით აქ და მითხარით, უჰ, ბატონო ჯონსონ! ეს რა სამოთხეში გიცხოვრიათო, ზვიადსაც ასე უთქვამს ბიჭებისათვის - ამ კაცს რა სახლ-კარი ჰქონია, სამოთხეა თუ რა არისო. ასეთი ადგილი, ვერ წარმომედგინა, სადმე თუ იქნებოდა, ეს სად მომიყვანეთო. გუგუშვილსაც ძალიან მოსწონდა, სულ ამ ტყეში დადიოდა...

**- რას ჭამდა ზვიადი?**

- ჩემი ქალიშვილი დარიკო უმზადებდა სადილებს, ამიტომაც „ზვიადის მზარეული" შევარქვი მას. მაშინ ჩემი ქალიშვილი 16 წლისა იყო მხოლოდ. საჭმელებს ის უმზადებდა ზვიადს, მაგრამ რა გინდა - ძალიან ცოტას ჭამდა.

*ახლა დარიკოს ვეკითხები:*

**- რას მიირთმევდა ზვიადი?**

- ძალიან ცოტას ჭამდა. კარგად მოხარშულ ვარიას ცოტას თუ მოწიწკნიდა, უმარილოს ჭამდა. უფრო რძის ნაწარმს ეტანებოდა. პირველად რომ დაინახა სოფლის მაწონს რა სქლად ჰქონდა ნაღები, გაიკვირვა, ეს როგორიაო, ამის ჭამა შეიძლებაო? როგორ არა-მეთქი, ბატონო პრეზიდენტო! მერე ჩემზე უთქვამს, როგორ შევაწუხეთ ეს ბავშვიო.

**- დარიკო, ისეთი რამ არ უთქვამს ზვიადს, შენთვის ხშირად რომ იგონებ?**

- ერთხელ მკითხა, აქ თუ არიან ჩემი მომხრეებიო. როგორ არა, სუყველა-მეთქი. რამდენი მოსახლეაო, ორმოცდაათი ოჯახი და აქედან 10 კაცი თუ იქნება, თქვენი მოწინააღმდეგე, დანარჩენი ყველა თქვენი მომხრეა - მეთქი. ბედნიერი კაცი ვყოფილვარო, ისე თქვა, თითქოს თავის თავს დასცინისო.

**- თამამად იყო?**

- ოჰ, არა, პირიქით, გადამეტებით მოკრძალებული იყო.

**- რაზე საუბრობდით ზვიადთან ბატონო ჯონსონ?**

- არაფერზე, თითქმის არაფერზე, უფრო დუმდა, დაფიქრებული დადიოდა. ვინმე თუ რაიმე სასიკეთოს იტყოდა, კარგი თუ ძმა ხარო, ჩაილაპარაკებდა და დაჯდებოდა. ერთხელ ვუთხარი, წადი აქედან, ქვეყანა სხვის ხელშია, იქნებ სხვაგან წახვიდე და მერე დაბრუნდები-მეთქი. მიპასუხა: სად წავიდე, ყველა გზა მოჭრილი მაქვსო. ერთი სიტყვით, გაიფიქრებდი კაცი, რომ აქ ისინი ტყვეებივით იყვნენ.

**- ბიჭები რაღას აკეთებდნენ ან ბატონი ბესარიონი?**

- ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, სხვა რა უნდა ეკეთებინათ. აქ ხომ არავინ და არაფერი უშლიდათ და დადიოდნენ აქეთ-იქით. გუგუშვილს ტყეში სიარული უყვარდა. მეზობლები, ხომ ხედავთ, აქედან ძალიან შორს, ქვევით არიან. უკან ხევია, აქ სრული განმარტოება შეეძლოთ და საიმედოდაც იყვნენ.

**- მაშ, რატომღა წავიდნენ აქედან, თანაც ძველ ხიბულაში, ღურწკაიების სახლში, ეს სახლი ხომ ზედ გზის პირასაა.**

- აქედან იმიტომ წავიდნენ, რომ ადგილს იცვლიდნენ ხოლმე, მაგრამ სადაც წაიყვანეს, იქ წაყვანა არ შეიძლებოდა, იქ არ უნდა წაეყვანათ, ის ხომ, ფაქტიურად, ცენტრალური ქუჩაა! ღურწკაიების სახლი საშიში იყო და, შედეგიც საშინელი მოჰყვა...

**- ბატონო ჯონსონ, როდის და ვისი პირით შეიტყვეთ ზვიადის სიკვდილი?**

- აღარ მახსოვს, გითხარით თუ არა, რომ ჩემგან რომ წავიდნენ, დაცვის ორი წევრი - გოჩა და ზაზა აქ დატოვეს. უთხრეს, წაგიყვანთო, მაგრამ გავიდა ერთი დღე, ორი, სამი და არავინ მოაკითხათ. და აი, 30 დეკემბრის ღამით, სამი საათი იქნებოდა და ჩემთან მოვიდა ერთი კაცი - გულიკო ტიბუა. ბიჭები უნდა წავიყვანოო, - თქვა ტიბუამ. აღმართი ცოტაზე რომ ჩაიარეს, გულიკო ტიბუა მობრუნდა და მითხრა, ზვიადი მკვდარია, თავი მოიკლაო. ბიჭები ისე წაიყვანა, აქ არაფერი უთქვამს მათთვის. ღურწკაიებთან უჩხუბია ზაზას, როგორ თუ თავი მოიკლაო, ალბათ, ვიღაცამ მოკლაო.

**- რა განცდა გქონდათ, ზვიადის სიკვდილი რომ გაიგეთ?**

- ადვილი გამოსაცნობია, რა განცდაც მექნებოდა, - თავზარი დამეცა, ღმერთმა მაპატიოს და, საკუთარი ძმა ასე არ განმიცდია.

**- თქვენთან ზვიადის დაკრძალვა როდის გადაწყდა?**

- ჩემთვის არაფერი უთქვამთ, 1 იანვრის დილის ოთხი საათი იქნებოდა, რომ მოვიდნენ და მითხრეს, ჯიხასთან ახლოს ვიღაცამ სახლი გაყიდა, ჯერ არავინ ცხოვრობს იმ სახლში, სრულიად ცარიელია და იქ დავასვენოთო. როგორ შეიძლება-მეთქი იქ დასვენება, მთელი ჩემი სახლიცა და ყველაფერიც თქვენთვის დამითმია, იქ კი არაფრით მოგცემთ უფლებას რომ დაასვენოთ-მეთქი. მოვიდნენ, ზვიადის ცხედარიც მოიყვანეს, რა თქმა უნდა, გუგუშვილმა თქვა, რა ვქნა, ცუდი მეკვლეები ვართ, მაგრამ მოხდა ეს საშინელება და ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ განგების ნების წინააღმდეგო...

**- ბატონო ჯონსონ, ის კი მიკვირს, იქვე რატომ არ დატოვეს მიცვალებული, როგორ გააწამეს მისი ცხედარი...**

- თქვენ კარგი გამახსენეთ. მე შეიძლება გადამვიწყებოდა. აუცილებლად ჩაწერეთ, **ᲓᲐᲔ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲦᲣᲠᲬᲙᲐᲘᲔᲑᲛᲐ ᲘᲥ ᲐᲠ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ ᲖᲕᲘᲐᲓᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ;** ბატონი ბესარიონი და ბიჭები გამწარებულები იყვნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, აბა, მე რა ვიცოდი, - თუ ღურწკაიებმა გამოყარეს ეს ხალხი. ასე უთქვამთ: აქედან მოშორდით, ხვალ სტუმრები უნდა მოგვივიდნენო. აი, ასეთი ხალხი ყოფილა ეს ღურწკაიები, უნდა იცოდეს მთელმა საქართველომ. თუ ცოცხალი გააჩერეს, მკვდარიც გაეჩერებინათ. მკვდრის დამალვას რა უნდოდა!

**- როგორ დაკრძალეთ ზვიადი და რა ხანი იყო თქვენთან დაკრძალული?**

- რაღაც ყუთივით გავაკეთეთ. გაპარსეს ბიჭებმა, ჩააცვეს და იმ ყუთით დავკრძალეთ. ჩემთან 1 იანვრიდან 8 იანვრის საღამომდე იყო დაკრძალული.

**- ახლა ის მაინტერესებს, თქვენგან რატომღა გადაასვენეს?**

- ამაზე მეც მიფიქრია. მე მაგათ ვენდობოდი, მათი ნათქვამი კანონად მიმაჩნდა. ნეტავი არ გადაესვენებინათ. რომ მცოდნოდა, ასე გააწვალებდნენ, სადღაც გადავმალავდი. მერე ერბინათ და ეძებნათ.

**- ის ყუთი რა იქნა, რომლითაც დაკრძალეთ?**

- 9 იანვრის დილით ყუთი მაღლა დავდე. სისხლიანი იყო, ტალახიანი და მთლად დაფხავებული. მთელი ზამთარი იდო და თოვლისა და წვიმისაგან სულ გადასვლოდა სისხლის ლაქები, თან დამპალიყო... ახლა, ამოვდივარ აქ, ხშირად ღვინოს გადავუქცევ, აღდგომას კვერცხს ვდებ, მიუხედავად იმისა, რომ აქედან ძალზე შორსაა მისი ცხე-



ჯონსონ კვარაცხელია ზვიად გამსახურდიას პირველ საფლავთან (ჯიხაშკარი. ჯონსონ კვარაცხელიას ეზო)



ჯონსონ კვარაცხელიას სახლი



ჯონსონ კვარაცხელიას სახლი ინტერიერში



ჯონსონ კვარაცხელია და მისი ქალიშვილი დარიკო

# „შევარდნაძე იმას მაპატიებდა, ზვიადი რომ ჩემს ეზოში დავკრძალე? არც მაპატია, ხომ ხედავთ: ჯერ ქმარი მომიკლა, მერე — შვილი...“


ნათელა ზარანდია — ვალიკო ზარანდიას ქვრივი


ზარანდიების სახლს მდინარე ტარჩია ჩაუდის

დარი, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი წმინდა სული. სიზმრად მეჩვენება ხშირად. საოცარია, როცა მე თვითონ ხელზე მესვენა მისი სხეული, ზოგიერთები მეუბნებიან, ცოცხალიაო. ხომ ხედავთ, ხალხს ისე უყვარდა, მისი სიკვდილიც ვერაფრით დაიჯერა.

**- ხელზე მესვენაო, ბრძანეთ. რაიმე მნიშვნელოვანი ხომ არ გახსენდებათ, როგორი მიცვალებული იყო?**

- ხელზე რომ მესვენა, თავი ავუწიე და - რაღაცნაირად დაიხრჩიალასავით. ერთი დათო ჯალაღონიაა, ნასწავლი კაცია, ექიმი, მოსკოვში მუშაობს. იმან მითხრა, სწავლული კაცის გასროლილს ჰგავს ის ტყვია, ან თვითონ ისროდა კარგად, ან უშიშროების მუშაკის ნასროლიაო. რომ მოკვდება კაცი და გაქვავდება, ისე კი არ იყო, რბილი იყო, ხელში ვერ აიყვანდი, ხელებიც, თავიც, კისერიც უმოძრავებდა. იმ ჯალაღონიამ თქვა, მოწამლულმა იცის ასეო.

ეჰ, დიდი კაცი კი დავკარგეთ და... *ამოიოხრა ბატონმა ჯონსონმა და გაყუჩდა.*

# ზვიადის მეორე საფლავი

## ჯიხაშკარი. ვალიკო და ნათელა ზარანდიების ეზო-კარი

***შარშან, ივნისის თვეში, ამ ოჯახის უმცროსი ვაჟი - თენგიზ ზარანდიაც ჩაცხრილეს მანუჩარ ზარანდიასა და მამუკა გვაზავასთან ერთად. ეს საშინელება ზუგდიდთან ახლოს, კორცხელის ეკლესიასთან მოხდა. საცოდავი ნათელა ზარანდია ამდენ მწუხარებას ერთიანად გამოუყვანია წონასწორობიდან. ჯერ ერთი, თავის ნათქვამს აზრს მაინცდამაინც ვერ ატანს; მეორეც - უჩვეულოდ ხმამაღლა ლაპარაკობს, უფრო სწორად, ყვირის. არ გამკვირვებია მისი ეს მდგომარეობა, - ქალს ჯერ ასაკოვანი მეუღლე მოუკლეს წამებით, შარშან კი ვაჟი - თენგიზი. ამ ფონზე, ჩემთვის უფრო გასაოცარი ის გახლდათ, რომ ნათელა ზარანდიამ უმალვე მიცნო - შენ, შარშან, ჩემი შვილის უბედურებაზე იყავიო. თვალი ველარ გამისწორებია ამ მწუხარებით გათანგული ქალისათვის. ავდივარ ზარანდიების სახლის მეორე სართულზე. ნათელა ზარანდია მიყვება: რობიზონი რომ მოვიდა და მთხოვა, ზვიადის ცხედარი თქვენთან დამასვენებინეთო, გავბრაზდი, ზვიადი ცოცხალი უნდა მოგეყვანა ჩემთან და ერთი ვინ გამიბედავდა აქ მოსვლას და ზვიადის მოკვლას, ნახავდი-მეთქი. რობიზონმა მითხრა, მე ხომ არ ვიცოდი, თქვენი ოჯახი ასეთი სანდო თუ იყოო.***


ხვიჩა ზარანდია — ჩვენი კეთილი მეგზური

**- რა ვითარებაში მოიყვანეს ზვიადის ცხედარი?**

- სამ გრძელ ფიცარზე იყო დასვენებული. მე და ვალიკოს საწოლებს შორის სამი ღამე იდო მისი ცხედარი...

**- ალბათ, გეშინოდათ?**

- ზვიადის რატომ უნდა შემშინებოდა, იმ ყაჩაღებისა მეშინოდა, სოფელ-სოფელ რომ დაძრწოდნენ და ეძებდნენ მის ცხედარს.

**- რომ მოეგნოთ, მიწას ვიდრე მიაბარებდით, რას იზამდით?**

- შევაკვდებოდი და არ დავანებებდი მის ცხედარს...

მერე, როცა კუბოც მოიტანეს და ზვიადის ცხედარიც ჩაასვენეს კუბოში, ის სამი ფიცარი, რომელზედაც ზვიადი ესვენა, სრულიად გასისხლიანებული ყოფილა... რა უყავით ის სისხლიანი ფიცრები? - *ვეკითხები ნათელა ზარანდიას.*

ვიფიქრე, ზვიადის ეს სისხლიანი ფიცრები არ გაიბნეს-მეთქი და ვალიკოს ვუთხარი, რაიმე გააკეთე ამ ფიცრებისაგან, არ დაიკარგოს, ეს ძვირფასი ფიცრებია-მეთქი. ჰოდა, იმ ფიცრებისაგან ვალიკომ ეს მაგიდა გააკეთა.

პირველად ზარანდიების ოჯახში 2001 წლის თებერვალში ვიყავი. მაშინ ამ მაგიდას ცხადად ეტყობოდა სისხლის ლაქები. ახლა ლაქები თითქმის აღარც ატყვია მაგიდას. გამიკვირდა. ქალბატონ ნათელას ვკითხე, რა მოხდა, ხომ არ გაწმინდეთ მაგიდა-მეთქი? გაიკვირვა, რატომ გავწმენდდი, როცა მაგიდა მე თვითონ გავაკეთებინე ვალიკოს. ფიცარმა თვითონ შეიწოვაო ზვიადის სისხლის ლაქები...

**- მაინც რატომ არ გსურდათ ზვიადის ცხედარი რომ აქ დაგესვენებინათ, იმდენი რატომ ახვეწნინეთ რობიზონს, რობიზონი მარტო იყო, როცა თქვენთან მოვიდა?**

- დამღუპეს და დამაქციეს. იმას ვჩიოდი, ქმარი მომიკლეს-მეთქი და, თურმე, უარესი უბედურება მელოდა, როგორ წარმოვიდგენდი! **შევარდნაძე იმას მაპატიებდა, ზვიადი რომ ჩემს ეზოში დავკრძალე? არც მაპატია, ხომ ხედავთ: ჯერ ქმარი მომიკლა, მერე - შვილი...**

*ყვირის, ყვირილით საუბრობს ქალბატონი ნათელა, თავს ვერ აკონტროლებს, ძნელია მის მდგომარეობაში თავის კონტროლი...*

**- დამშვიდდით, ქალბატონო ნათელა. სხვას რას გვეტყვით?**

- თავს მაინც არ მოვიკლავ იქამდე, ვიდრე არ გავიგებ, ჯერ ზვიადი ვინ მოკლა, მერე კი ჩემი შვილი და ის ბიჭები (*გულისხმობს მანუჩარ ზარანდიასა და მამუკა გვაზავას*). მე არ უნდა მიმეცა უფლება ზვიადის აქ დაკრძალვისა, უნდა მცოდნოდა, არავინ შემარჩენდა ამ საქციელს...

**- ექიმი არ მოგიყვანიათ?**

- აქაურია ერთი, ნიჭიერი ახალგაზრდა - დათო კვარაცხელია. იმან თქვა, მამაჩემი ბალახებისაგან ისეთ წამალს აკეთებდა, მიცვალებული ცოცხალივით ინახებაო.

**- ეგ ბალახეული წაუსვეს ზვიადის ცხედარსაც? ამბობდნენ, კარგად შენახული იყოო მისი ცხედარი.**

- ალბათ, ზუსტად არ ვიცი.

**- ქალბატონო ნათელა, თქვენ არ გითხრათ დაცვამ, ზვიადმა თავი მოიკლაო?**

- კი მითხრეს, მაგრამ არ მჯერა. იცით, რა მითხრა ჩემმა თენგომ? დედა, ნეტავი მე და შენ დავხოცილიყავით და ზვიადი არაო. თავი მოიკლაო (*ბრაზობს*)... მე ვუთხარი რობიზონს, ზვიადმა თუ თავი მოიკლა, მაშინ თქვენც უნდა დაგეხოცათ თავები. რატომ, რატომ არ დაიხოცეთ-მეთქი? (*ბრაზობს*).

კიდევ ერთხელ შევდივარ ზარანდიების სახელოსნოში, იქ დადგმული მემორიალური დაფა გვაუწყებს, რომ აქ, ერთი თვის განმავლობაში 1994 წლის 18 იანვრიდან 17 თებერვლამდე განისვენებდა ზვიად გამსახურდია.


ზარანდიების სახლი ჯიხაშკარში

გივი ჯოლბორდის ფოტოები


ზარანდიების სადურგლო, სადაც ზვიადი იყო დაკრძალული


მემორიალური კუთხე ზარანდიების სადურგლოში, სადაც ზვიადის მეორე საფლავი იყო


ზარანდიების სახლში არის მაგიდა, რომელიც ვალიკო ზარანდიამ ზვიადის სისხლით გაჟღენთილი სამი ფიცრისაგან შეკრა

# ვინ დაადევნა სიკვდილი ზვიად გამსახურდიას

**სისხლიანი კვალი**

*წინა გვერდებიდან*

***ზურაბ გუჩუას სახელი, ზვიადთან ახლოს მყოფ პირთაგან დიდი ხანია ვიცოდი. ვიცოდი, რომ იგი იყო უზენაესი საბჭოს დეპუტატი, პარალელურად — წალენჯიხის პრეფექტი, ეროვნული მოძრაობის დასაწყისიდანვე აქტიურად იყო ჩაბმული ამ მოძრაობაში, ახლო ნაცნობობა ჰქონდა ზვიადთან და მერაბთან, რადგან ისინი ხშირად ჩადიოდნენ წალენჯიხაში. ეროვნული ხელისუფლების განდევნისა და შემდგომში, დასავლეთ საქართველოში ზვიადის დამარცხების შემდგომ, ზურაბ გუჩუა სამეგრელოს მთიან რაიონებში ზვიადის კონსპირაციის მიზნით მიმოსვლისას, ხელმძღვანელობდა ზვიადისა და მის თანმხლებთა საიმედო ოჯახებში დაბინავებას. შევარდნაძის რაზმების გამარჯვების შემდეგ და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობისთანავე, გაძლიერდა ზურაბ გუჩუაზე ზეწოლა-დევნა, რის გამოც მან ჯერ რუსეთში იცხოვრა თითქმის 3 წელი, 1996 წლიდან კი გერმანიაში ცხოვრობს. სამშობლოში მისი დაბრუნებისთანავე გადავწყვიტე ბატონი ზურაბის ნახვა, მით უფრო, რომ შევიტყვე, მალევე აპირებდა გერმანიაში გაბრუნებას. და აი, წალენჯიხაში ვართ. ჩემდა გასაოცრად, ბატონი ზურაბ გუჩუა ცოტა ცივად შემხვდა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ჟურნალისტის მოუზომავი ფანტაზიის გამო — ზვიადი ცოცხალია, აქა და აქ იმყოფება, უცხოპლანეტელებთან არის წასულიო და სხვა, აიძულა ზურაბ გუჩუა ყველა ჟურნალისტისთვის ეჭვით შეეხედა — როგორ შეიძლებაო, ამბობდა იგი, ეს ხომ პირველი პრეზიდენტის მასხრად აგდებააო, როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდესო, ბრძანებდა იგი. იმედი რომ გადავიწყვიტე, ჩვენი საუბარი არ მოხერხდებოდა, როგორღაც დაიწყო დიალოგი.***



წალენჯიხა, ზურაბ გუჩუასთან

ფოტოზე: ხვიჩა ზარანდია და ზურაბ გუჩუა

**- ბატონო ზურაბ, რა მოხდა 1993 წლის ნოემბერში და რატომ დამარცხდა კანონიერი ხელისუფლება?**

- 1993 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, როდესაც ხუნტის კრიზისი უმაღლეს ფაზაში შევიდა და თბილისში დღედღეზე მოელოდნენ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას, შევარდნაძემ და მისმა უკანონო ხელისუფლებამ უმალ საშველად უხმო რუსეთს. 1993 წლის ნოემბერს ფოთის ნავსადგურს რუსეთის სამხედრო-საზღვაო გემები მოადგა. მათ დაბომბეს სენაკი და მისი მიმდებარე ტერიტორიები. უეცრად მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, დავკარგეთ მართვის სადავეები, დაიწყო უკანდახევა, დავკარგეთ კონკრეტული მოქმედების გეგმა. არეულობა, შესაბამისად, წალენჯიხაშიც დაიწყო.

**- თქვენ, როგორც პრეფექტმა რა იღონეთ?**

- ჩემმა თანამოაზრეებმა და წალენჯიხის პრეფექტურის წევრებმა: სოსო ჟვანიამ, ავთანდილ კინწურაშვილმა, ელგუჯა მესხიამ, ვლადიმერ აბრალავამ და მე ვითათბირეთ და ჩვენი ერთ-ერთი თანამოაზრის - ზურაბ ფიფიას ოჯახს შევაფარეთ თავი სოფელ ჩქვალერში. ეს სოფელი წალენჯიხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს და მაღალმთიანია. იმავე საღამოს ვაპირებდით ტყეში გასვლას, მასპინძელსაც გავანდეთ ჩვენი განზრახვა, ის კი ჩვენს გადაწყვეტილებას მაინცდამაინც არ ეთანხმებოდა. ამ დროს, ჭიშკართან მეზობლის ქალი მოდგა და ჩვენი მასპინძელი იხმო. იგი მოსულს გაეგება და სწრაფადვე შემობრუნდა, - სოფელში სამხედროები ყოფილან შემოსულები, თქვა შეცბუნებულმა მასპინძელმა.

ზურაბ ფიფია, როგორც თავისი სოფლის კარგად მცოდნე, მეგზურობასაც გვიწევდა. წავალ, ვნახავ ვინ არიანო, თქვა და წავიდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, სოფელში შემოსულები მხედრიონელები გვეგონა, მაგრამ ზურაბ ფიფიას მობრუნებას მაინც დავუცადეთ. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მობრუნდა გახარებული ჩვენი მასპინძელი და გვაუწყა, რომ სოფელში პრეზიდენტი, პრემიერი და მათი დაცვა იყო შემოსული.

**- ბატონო ზურაბ, პირადად თქვენ რა რეაქცია გქონდათ ამ ცნობის შემდეგ?**

- რა რეაქცია უნდა მქონოდა, როცა მე იგი სრულიად საიმედო ადგილას მეგულებოდა, თუნდაც საზღვარგარეთ, უფრო მეტიც, დღედღეზე ვფიქრობდი კონტაქტს მასთან და მითითებებსაც ველოდი: აი, ასეთ დროს, იგი რამდენიმე მცველის ამარა შემოჰყავთ, ფაქტიურად მტრის მიერ ალყაშემორტყმულ წალენჯიხის ტერიტორიაზე, რომელსაც ხუნტა ზვიადისტების უკანასკნელ თავშესაფარს უწოდებდა და რაღა დაგიმალოთ, შევცბი, თუმცაღა, თბილად გადავეხვიეთ ერთმანეთს.

**- როგორ მოხვდნენ ისინი ჩქვალერში?**

- სვანეთისკენ ჰქონიათ გეზი აღებული, მაგრამ ზვიადმა არ ისურვა თურმე იქით წასვლა და მობრუნებულან. დაცვაში იყო ერთი ცეზარ ბაჯალაძე და იმას მიუყვანია ისინი მიშა ფიფიას ოჯახში, რომელიც ცეზარის ბიძა ყოფილა. ამ სოფელში ერთი ჩვენი პოზიციის კაცი, ანზორ ფიფია ცხოვრობს, რომელიც შეცბუნებული დარჩენილა მიშა ფიფიას ოჯახში პრეზიდენტის სტუმრობით, მან განზე გაგვიხმო და გვითხრა: სოფელში სულ ხუთიოდე ოჯახია ჩვენი მოწინააღმდეგე, ერთ-ერთი აქტიური კი თქვენი დიასახლისია და აქ ვინ მოგიყვანათო. ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა. აღმოჩნდა, რომ დაცვის ეს წევრი ძალზე წინდაუხედავად მოიქცა, როცა ზვიადი და მისი ხალხი თავისი ბიძის სახლში მიიყვანა. ძალიან გონებაშეზღუდული უნდა იყოს კაცი, რომ იმ მძიმე სიტუაციაში, ვერ გაერკვეს საკუთარი ბიძაბიცოლას პოზიციაში და ასეთ ხალხთან მიიყვანოს პრეზიდენტი თავისი მხლებლებით. დაცვის ეს წევრი რობიზონს აღარ გაუკარებია, მაგრამ ასეა თუ ისე, ეს ფაქტი ჩვენი შემდგომი ტრაგიკული გზის დასაწყისი აღმოჩნდა. კი, პატივისცემით უმასპინძლეს სტუმრებს, მაგრამ იქიდან ძალიან მალე გავიდა ინფორმაცია პრეზიდენტის სტუმრობისა.

**- საბოლოოდ, როდის გახვედით ტყეში?**

- ექვს ნოემბერს.

**- რამდენნი იყავით?**

- რვა კაცი - დაცვის წევრები, ჩვენ წალენჯიხელები - ხუთნი, ორი გოგონაც იყო, სულ ჩვიდმეტნი ვიყავით.

**- ვინ იყვნენ ის გოგონები?**

- სტუდენტები იყვნენ, ზუგდიდში რაღაც საშიშროება შექმნოდათ და ჩვენ წამოგვყვნენ.

**- თავიდან მაინც ძალიან გაგიჭირდებოდათ?**

- წვიმიანი იყო, ბნელოდა. ქარაფებზე ხელჩაკიდებულები გადავდიოდით, ყოველ წუთს შეიძლებოდა ხრამში გადავჩეხილიყავით. თანაც, ხანდახან გეჩვენება, ხელის გაწვდენაზეა სადაც მიდიხარ, საათები კი სჭირდება იქ მისვლას. დავიღალეთ, მაგრამ მაინც მხნედ მივაბიჯებდით. გამოცდილი მეგზური - ჯანი შეროზია მოგვყვებოდა, ცდილობდა, უმოკლესი გზით ვეტარებინეთ. გამთენიისას მივაღწიეთ ერთი მწყემსის კარავს. ცოტა სული მოვითქვით, რაღაც შეჭამადს შევექეცით, იმ დღეს იქ დავრჩით. ეს კარავი, არ გამოგვადგებოდა, უფრო ღრმად უნდა შევსულიყავით ტყეში. ვიარეთ, ვიარეთ და სამი ერთმანეთს 600-იოდე მეტრით დაშორებული კარავი აღმოვაჩინეთ და ამ კარვებში განვლაგდით.

**- ასე შორს საკვებით ვის უნდა მოემარაგებინეთ, არ გიფიქრიათ ამაზე?**

- ნაცნობები ამოდიოდნენ, ამოდიოდა ზურაბ ფიფიაც, ვალერი ფიფიაც, ზურას დაც.

**- როგორ განლაგდით კარვებში?**

- პრეზიდენტი, მისი დაცვის რამდენიმე წევრი და ბატონი ბესარიონი ერთ კარავში მოთავსდნენ, დაცვის რამდენიმე წევრი და მანდილოსნები მეორე კარავში, ხოლო წალენჯიხელები - მესამე კარავში.

**- ძალიან გიჭირდათ ალბათ. პრეზიდენტი როგორ გრძნობდა თავს?**

- რა თქმა უნდა, გვიჭირდა. ციოდა და შუაცეცხლი გვენთო და კვამლისაგან თვალები ამომწვარი გვქონდა. ჩემთვის ძნელია ბატონი ზვიადის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა. ზოგს ძალიან ეადვილება. შეჭირვებული კი იყო, მაგრამ არიქა, რა ვქნათ, ეს რა დაგვემართაო, მსგავსი არაფერი დასცდენია.

**- საჭმელი არ შემოგკლებიათ?**

- სოფელში ერთხელ საეჭვო არეულობა ყოფილა და ვერ მოგვაწოდეს საჭმელი, მაგრამ ტყეში ღორი დავკალით და მე პირადად, არც მერე და არც მანამდე, ისეთი გემრიელი მწვადი არ მიჭამია. ალბათ იმიტომ, რომ გარეული ღორი იყო. ზვიადმა კი ინერვიულა, ვინ იცის, საცოდავ მის პატრონს მარტო ეგ ერთი ღორი ჰყავდაო, მაგრამ აშკარად, გარეული იყო ის ღორი.

**- როგორ ჭამდა ზვიადი?**

- ძალზე თავშეკავებულად. მაგრამ უკეთეს დროსაც მინახავს სუფრაზე, დიდი მჭამელი არც იქ იყო.

**- თქვენ დიდი ხნის ნაცნობობა გქონდათ ზვიადთან. როგორი საურთიერთო პიროვნება იყო?**

- მე მას ვიცნობდი, როგორც ეროვნული მოძრაობის ლიდერს, მაგრამ ცხადია, ტყეში უფრო დავახლოვდით. ერთი კია, არც ზვიადი იყო ისეთი პიროვნება, უცებ რომ გაუშინაურდებოდი და არც მე ვარ ამ ტიპის კაცი. იმასაც ვიტყვი, რომ თვითონ თუ დამიძახებდა, თორემ მე თავს ვიკავებდი მისვლაზე, მაინც მეკრძალებოდა. მახსოვს, ციხიდან რომ გამოვედი, გროზნოში ჩავედი, ჭიშკრის გაღებისთანავე ვუცნივარ, ზურაბი არ არისო? უკითხავს და ჩემსკენ გამოეშურა... თან გერიდებოდა მის გვერდით, თან სითბოსაც გრძნობდი. კარავში ყოფნისას, სადაც ნაბადი იყო გაშლილი და გვერიდებოდა მის სიახლოვეს ჯდომა, თვითონ დაგვიძახებდა, მოდი, კაცო, აქ დაჯექიო. ამის შემდეგ, ჩვენ გადავწყვიტეთ ტყიდან გამოსვლა.

ნოემბერი ხომ მთებში ძალიან ცივი პერიოდია, შეშას ვაგროვებდით და ცეცხლს ვაჩაღებდით, კვამლისგან, დილით, სულმთლად გაშავებულები ვიყავით. პატარა, ნარებივით ხის ტახტებზე ვიწექით, ზოგიერთი პირდაპირ მიწაზე იძინებდა. ზვიადი ყოველნაირად ცდილობდა, სხვაზე უკეთესი ადგილი არ რგებოდა. როგორც რელიგიურსა და პოეტურ სამყაროს ნაზიარევი ადამიანი, ისიც ზოგჯერ გულუბრყვილოდ გვეჩვენებოდა. მერე ტყიდან გამოსვლა გადავწყვიტეთ.

**- ტყეში გასვლის საჭიროება რამაც შექმნა, ცნობილია. რამ გამოიწვია ტყიდან გამოსვლის საჭიროება?**

- ბარიდან გახშირდა ინფორმაციები, რომ შეიძლება მოწინააღმდეგეს შვეულმფრენით მოვეძებნეთ. მაშინ კი წალენჯიხელებს გვეთათბირა და გადავწყვიტეთ, გაგვეშვა კაცი, სხვა ადგილს რომ მოიძიებდა ჩვენთვის. ჩემს ნათესავებს დავუკავშირდი და გადაწყდა, მუჟავას ტერიტორიაზე გადავსულიყავით, მაგრამ იქამდე, ჯერ მთიდან დაბლა ჩამოსვლა იყო საჭირო. ესეც არანორმალური გზა იყო, ძალიან გავწვალდით. მახსოვს, ერთხელ, უფსკრულივით ადგილას, ბატონი ბესარიონი კინაღამ გადაიჩეხა. ბიჭებმა ხელი სტაცეს და ამოიყვანეს. აი, მაშინ თქვა ბესარიონმა: მე არაუშავს რა, ჩემისთანა ბევრია, მაგრამ მაგას (ზვიადს) გაუფრთხილდითო. ღამით ძალიან ძნელ გზაზე ვიარეთ. ხელახლა შეირჩა პრეზიდენტის გამყოლი ჯგუფი. წალენჯიხელები, თვით დაცვის უფროსი, დაცვის ერთ-ერთი წევრი ბესო მიქავა და გოგონებიც ადგილზე დარჩნენ.

**- სად გაჩერდით იმჯერად?**

- ჯანი შეროზიას უნდა მივეყვანეთ პალადი ქარდავასთან. ამ ოჯახში უნდა შეცვლილიყო ჩვენი მეგზური. იქ დაგვხვდებოდა ოთარ არქანია. მივედით. სველები ვიყავით, გავშრით. კარგად გვიმასპინძლეს. რაულ ფიფიამ გაგვაცილა, ჯანომაც და მის ძმას - ფაზას ჩაგვაბარეს. ფაზა ზედმეტი სახელი იყო, ნამდვილი სახელი არც ვიცი. ორმოციოდე წუთის გასულები ვიყავით, სროლა გაისმა. ეს იყო ჩქვალერიდან მუჟავაში გადასვლისას. ჩვენ ხომ არ ვიცოდით ვინ ვის ესროდა, რომც გვცოდნოდა, რას გავაწყობდით. მერე გავიგეთ მხოლოდ: სადაც ვიყავით, იმ ოჯახის უფროსისთვის უსვრიათ. ქალიშვილისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავგამოდებული ჩვენიანები იყვნენ, მათ არ იცოდნენ ვის უმასპინძლეს. გავაგრძელეთ გზა და მივადექით მდინარე მაგანას. ტანსაცმლით გადავცურეთ მდინარე, მარტო გუგუშვილმა გაიხადა შარვალი, დანარჩენებმა ასე გავცურეთ და სველებმა ვიარეთ თოვლში. ზედ შემოგვაშრა ტანსაცმელი. ნორმალურ მდგომარეობაში შეიძლება ვერც გადაგვეტანა, აქ კი არც გავციებულვართ. გამთენიისას ოთარ არქანიას სახლში მივედით. სხვათაშორის, იქ დაგვხვდა ჩემი მეუღლეც და გვიმასპინძლეს. ზვიადი კარგ ხასიათზე დადგა, ორიოდე ჭიქა არაყიც გადაჰკრა, მერაბ კოსტავა გაიხსენა, მერე ვაჟა ფშაველას პოეზიაზე საუბრობდა. ძალზე ამაღლებულ ხასიათზე ვიყავით. სხვათაშორის, იქ დაგვხვდა ბადრი ზარანდიაც. სული რომ მოვითქვით, ზვიადმა თქვა, ბადრის დაველაპარაკებიო. ისხდნენ და ლაპარაკობდნენ.

**- რა ითქვა, თუ იცით, მათ შორის?**

- არ ვიცი. ხომ არ ვკითხავდი, თუ თვითონ არ იტყოდა?

**- რა უნდოდა იქ ბადრი ზარანდიას?**

- შორიდანვე გვესმოდა, რომ ბადრი ზარანდია იქ, ჩვინარეში იდგა თავისი ბატალიონით. ამბობდნენ 2000 კაცი ჰყავსო ბატალიონში და არ გვჯეროდა. ჩვენ მართლები აღმოვჩნდით. ბადრის 60-ოდე კაცი ჰყავდა, მათ შორის ქალები და ბავშვებიც.

**- ამის შემდეგ, საით წახვედით?**

- მასპინძელი ოთარ არქანია უკვე წასული იყო პალურში. მკითხველმა მინდა იცოდეს, რომ ოთარ არქანია ძალიან მოსწონდა ზვიადს. რა ქურციკივით ყმაწვილიაო, ამბობდა. პალური არის სოფელ ლიას უბანი, ენგურს გაღმა. იქიდან მას ჩემი ბიძაშვილი ჩიგო უნდა გადმოეყვანა, რომელიც ჩვენს დაბინავება-უსაფრთხოებაზე იზრუნებდა, მაგრამ ბადრი ზარანდიასთან საუბრის შემდეგ პრეზიდენტმა უარყო შეთავაზებული მარშრუტით გზის გაგრძელება. საღამოს მთელი ჯგუფი ჩვინარეში გადავიდა. მე ადგილზე დამტოვეს. მეორე დღეს ბაჩუკი მოვიდა და მითხრა, პრეზიდენტი გიბარებსო. გავყევი. ბატონ ზვიადს ჩემი დანახვა გაეხარდა. თავის გვერდით, საწოლზე მიმითითა, მითხრა, აქ დაწექიო.

**- ან რატომ დაგტოვათ, ან რატომ დაგიბარათ?**

- ბანაკში 60 კაცი მაინც ირეოდა. ვინ როდის გადიოდა და ვის შეხვდებოდა, ვინ იცის! უნებლიედ ჩვენი გამჟღავნება სრულიად შესაძლებელი იყო. შეიძლებოდა, ვინმე უცხოც შემოსულიყო ტერიტორიაზე... მეგრულად გადმომილაპარაკა, - „თაქი ვარე ჯგირო საქმე“. აქ კარგად არ არისო საქმე...

**- ჰო, მართლა, ჯაღირაში ყოფნისას, ანზორ მებონიამაც მითხრა, დედაჩემი მეგრულად ელაპარაკაო ზვიადს. როგორი მეგრული იცოდა?**

- ჩემნაირი მეგრული, ცხადია, არ ეცოდინებოდა, მაგრამ ყველაფერი ესმოდა და წინადადებებსაც სწორად გამოთქვამდა.

**- იმ ამბავს დავუბრუნდეთ, მეგრულად რომ გითხრათ, აქ კარგად არ არისო საქმე. რატომ გითხრათ ასე?**

- ვკითხე და აღარაფერი მიპასუხა. ბაჩუკის მეოხებით გავიგე, რომ ბადრი ზარანდია, პრეზიდენტის სურვილის საწინააღმდეგოდ, რამდენჯერმე შეხვედრია იქ მოძალადეთა პოლიციის შეფს გია გულუას. ამან ზვიადი საგონებელში ჩააგდო. ამის შემდეგ, გადავწყვიტეთ ისევ გავსულიყავით ტყეში. წინადღით, ჩვენს ჯგუფს ისევ შემოუერთდა სოფელ ჩქვალერში დარჩენილი რობიზონ მარგველანი...

**- ბატონო ზურაბ, გამახსენდა ზურაბ ფიფიას ეჭვები, ვითომდა რობიზონის არასაიმედოობაზე. რას იტყვით ამის თაობაზე, ამიტომ ხომ არ დატოვეთ ჩქვალერში რობიზონი?**

- მე, საერთოდ, ასეთი ეჭვები და ვარაუდები მაღიზიანებს. რა არგუმენტი ჰქონდა საამისო? ცხადია, არავითარი. უსაფუძვლო დაეჭვებანი უჭკუობის ბრალია და მეტი არაფერი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია... ჩვენი იქიდან წასვლის მსურველი იყო თვით ბადრი ზარანდიაც. მე იგი მერე აღარ მინახავს. ბადრის მოადგილე „პუშკინამ“ კი, მოსკოვში შეხვედრისას მითხრა, რომ გია გულუასთან ბადრის შეხვედრები გამოწვეული იყო სიფრთხილით, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, გულუა მას, თურმე, თავდასხმით ემუქრებოდა.

**- მთებში ასვლისას, რამდენნი იყავით დარჩენილი?**

- ჩვინარედან წამოსვლის დღეს, ეს იყო მგონი 15 ნოემბერი, დაგვშორდნენ ვაჟა ჭინჭარაული და მერაბ გოგაძე. სამწუხაროდ, მათი ბედი დღესაც გაურკვეველია. დავრჩით ზვიადი და ბესარიონი, დაცვის ხუთი წევრი და მე. დიდხანს ვიარეთ მთებში. ვნახეთ კარავი და იქ დავბინავდით. შორიახლოს მეორე კარავიც ვნახეთ, ნაწილი იქ გადავიდა.

სიცივემ უმატა. თოვლიც მოვიდა კიდევ, შეშა კი გვქონდა, მაგრამ კარვის პირობებში ცხოვრება მაინც ძნელი იყო. გადავწყვიტეთ, გამოქვაბულში გამოგვეზამთრა, მაგრამ ძალიან შორს იყო და დიდთოვლობის დროს საკვებით მომარაგება გაჭირდებოდა.

**- ძველი თანამებრძოლი ნუთუ არავინ გეძებდათ?**

- ამასობაში, შევიტყვეთ, რომ სოფ. ლიაში, პალურის უბანში, ერთ-ერთ ოჯახში ძმები ჩუხუები გამოჩნდნენ. პრეზიდენტის ნებით, სასწრაფოდ გავაგზავნეთ მეკავშირე, მაგრამ ჩუხუები იქ აღარ დახვდნენ, წინა დღით წასულიყვნენ.

**- ზვიადისათვის შეგითავაზებიათ თუ არა საქართველოდან გასვლა, ეს ხომ ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა?**

- მაშინაც და ახლაც მგონია, რომ საქართველოს ტერიტორიის დატოვება აუცილებელი იყო, რადგან ზუგდიდი - წალენჯიხის ტერიტორიაზე უსაფრთხოების გარანტია არ არსებობდა, იქ ხუნტის სამხედროები ყველა კუთხე-კუნჭულს აკონტროლებდნენ. სამწუხაროდ, ზვიადი კატეგორიული წინააღმდეგი იყო იქიდან სადმე წასვლისა. და აი, ერთხელ თითქოს დავიყოლიეთ პრეზიდენტი. მე და ორი ახალგაზრდა წავედით აფხაზ მესაზღვრეებთან მოსალაპარაკებლად. ძალიან სახიფათო აღმოჩნდა მათთან მისვლა, კინაღამ სროლა აგვიტეხეს. თეთრი ნაჭერი ავაფრიალეთ და

ამან გვიშველა. „აფხაზებმა“ წესიერად მიგვიღეს, ერთის გვარი ძე-ზე მთავრდებოდა, სხვა ორისა - იაზე. დაგვითქვეს შეხვედრის დრო, შეგვპირდნენ, უფროსებთან მოვილაპარაკებთო. ჩვენ, რასაკვირველია, ზვიადი არ გვიხსენებია, ვუთხარით, რომ შევარდნაძის ხელისუფლება გვსდევდა. მეორე დღეს ზვიადი უკვე აღარ იყო წასვლის ხასიათზე. წყენა რომ შეგვატყო, გვითხრა: მე არ წავალ და თქვენ წადით, თუ გინდათო.

**– რას ნიშნავდა ეს მისი საქციელი, როგორ ხსნით?**

- არ ვიცი. მერე ბაჩუკი მომიყვა სპეცმანქანის მეშვეობით როგორ დაუკავშირდნენ გროზნოში პრეზიდენტის ოჯახს. არაფრით არ დაელაპარაკა თურმე, თავის ვაჟიშვილს, მერე იქ მყოფთ განაწყენებულმა მიმართა: არ მინდა, რომ მათ ჩემი ადგილსამყოფელი გაიგონ, კარგია განა, ისინიც აქეთ რომ წამოვიდნენო?

**– მთებიდან რომ ჩამოხვედით, სად და ვისთან გაჩერდით?**

- ისევ მუჟავაში, არჩილ და ზაურ ანთიებისას გავჩერდით. მამა-შვილი იყო, დიდი მოწიწებით გვექცეოდნენ. მამა უსინათლო იყო. აი, აქ იყო, ზვიადმა რომ ისევ ისურვა ბადრი ზარანდიასთან შეხვედრა. ჩვენს კითხვაზე - რა საჭიროა ეს შეხვედრაო, თქვა, - იქნებ რაიმე ახალი გავიგოთო. ეს მაინც იმას ნიშნავდა, რომ ბოლომდე ნდობა არ ჰქონდა დაკარგული ბადრი ზარანდიასი. ორჯერ ამოვიდა ბადრის მოადგილე, „პუშკინას“ ეძახდნენ. რაზე საუბრობდნენ, არ ვიცი. დაცვა კი ესწრებოდა. მერე თქვეს, ეს სახლი უნდა დავტოვოთ, ხვალ შეიძლება აქ მხედრიონი მოვიდესო. აღარ მახსოვს, ეს ბაჩუკიმ თქვა თუ რობიზონმა. ზვიადმა კი თქვა, - ზურაბი აქ დარჩეს, აქაური კაციაო.

**– რატომ თქვა ზვიადმა თქვენზე, დარჩესო?**

- მე არ მწყენია, იმიტომ, რომ კონსპირაციის მიზნით, ბევრის ერთად სიარული მოუხერხებელიც იყო და ძნელიც. ძნელი იყო ოჯახებისთვის ამდენი ადამიანის შენახვაც, ამიტომ იშორებდნენ თანდათან ადამიანებს, მაგრამ რობიზონმა უთხრა ზვიადს - ზურაბის გარეშე როგორ შეიძლებაო. ისინი უკვე ზუგდიდის ტერიტორიაზე აპირებდნენ გადასვლას და ვიფიქრე, ალბათ, ჩემი მისია შესრულებულია-მეთქი. თან, როგორც გავიგე, მათ ვახო ზარანდია უნდა შეხვედროდათ. სოფელი ფახულანია ერთი, ენგურზე უნდა გადასულიყვნენ და იქ დახვდებოდათ ვახო ზარანდია. მე ვუთხარი, რადგან მიდიხართ, იქით ჩემი ბიძაშვილი ცხოვრობს და მეც წამოგყვებით-მეთქი. დიდი მანქანა იყო და ძარაზე დავსხედით. ჩემი ბიძაშვილის სახლთან რომ მივედით, ზვიადმა მთხოვა, ვინმე გამოგვაყოლე, ენგური რომ იცოდეს, სად უფრო თხელია, მანქანით შიგ რომ არ ჩავრჩეთო. ჩემი ბიძაშვილი დათო გუჩუა გავაყოლე. არ მითქვამს, ზვიადი რომ იყო და მათთვის რომ უნდა გაეწია მეგზურობა. სახლში რომ შევედი, არც იქ მითქვამს. სხვათაშორის, ადრე, ჩქვალერის ტყეში დატოვებულთაგან, ერთის წერილი მივიღე. მწერდა, თუ პრეზიდენტს სურს, ქალბატონ მანანასთან წავალ, ან ვინმეს გავგზავნიო გროზნოში. წერილი ბატონ ზვიადს ვუჩვენე. ამჯერადაც უარი თქვა ამ შეთავაზებულ სამსახურზე. ბიძაშვილი ზვიადს მეგზურად რომ გავაყოლე, გავიდა დიდი დრო, ველოდით, ის კი არა და არ გამოჩნდა. შემეშინდა და მამამისს სინამდვილე ვუთხარი, რადგან ისიც თავგამოდებული ზვიადიანი იყო. წავედით დათოს საძებნელად, ჩავედით ამდენი ხნის შემდეგ და ვნახეთ, ისევ ენგურის სანაპიროზე იდგნენ გათოშილები, გაყინულები. რა ხდება-მეთქი? არავინ მისულიყო მათთან, ფახულანში. ასე ხომ არ დავტოვებდი მათ? დავაბრუნე უკან, მივედით ჩემი ბიძაშვილის სახლში. ჩემს ბიძაშვილს გულიკო ჰქვია, დათო მისი შვილია. გათბნენ, ვუმასპინძლეთ. დავაწვინეთ ზვიადი და ყველანი. მეორე დღეს ჩემი ბიძაშვილი ჩიგოც მოვიდა.

**– ჩიგო რატომღა მოვიდა?**

- ადრე ხომ ბადრის გამო ვიცვალეთ მარშრუტი და ახლა ჩიგოს ხელახლა უნდა მოეძებნა საიმედო ოჯახები.

**– ბატონო ზურაბ, თუ გახსენდებათ ერთი შემთხვევა მაინც, ცივად რომ მიეღოთ ზვიადი?**

- ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. პირიქით, არაჩვეულებრივი სითბოთი ხვდებოდნენ მას. მახსოვს, ერთმა მოხუცმა ქალმა ზვიადის მუხლებზე მთხვევა მოისურვა, მაგრამ მან არაფრით დაანება. ზოგიერთებმა ხმები გაავრცელეს, თითქოს პრეზიდენტს ცივად ღებულობდნენ და გულგრილად უმასპინძლდებოდნენო. უბრალო ხალხის სიკეთისა და გულუხვობის ამგვარი შეფასება, მკრეხელობა და უსულგულობაა მხოლოდ.

**– ისიც გამიგონია, პრეზიდენტის მიღებისა ეშინოდათო.**

- მართალია, ჩვენი მასპინძლობა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ შიშის გამო მასპინძლობაზე უარი არავის უთქვამს. ხშირი იყო შემთხვევა, ჩვენი სტუმრობის შემდეგ იმ ოჯახებს არბევდნენ.

**– ამჯერად ვისთან წაგიყვანათ ჩიგომ?**

- ჩიგომ იაქტიურა. 2 დეკემბრის ღამეს გადაგვიყვანა მანქანით პალურში, სოფელ ლიას უბანში, ვესტუმრეთ გივი პაჭკორიას ოჯახს. მიღება კი არაჩვეულებრივი გვქონდა, მაგრამ ადგილი ძალზე მოუხერხებელი იყო ჩვენთვის, ამიტომ მეორე ღამესვე დავტოვეთ ეს სტუმართმოყვარე ხალხი. გივი პაჭკორიას შემდეგ ჩვენ კიდევ ორი ოჯახი გამოვიცვალეთ. სოფლები: ტყაია და ჩხორია. ორივე ოჯახის თავი სამუშია იყო და ორივეს გურამი ერქვა. ესენიც შესანიშნავი ოჯახები იყო, მაგრამ იძულებულები ვიყავით ისინიც დაგვეტოვებინა, რადგან აქაც საშიში იყო დარჩენა.

არაჩვეულებრივი სითბო გამოიჩინეს ჩემი ბიძაშვილის მეზობლებმა: მეგონა სამუშიამ, ნოდარ

# თხემით ტერფამდე ქართველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას საბედისწერო დევნილობა შევარდნაძითა და რუსული შრიფტით ოკუპირებულ საქართველოს რუკაზე




და მოგელი სამუშიებმა. მათი მეშვეობით გამომეხმაურა მეგობარი, რომელიც ჯაღირაში მთავაზობდა გადასვლას. მაგრამ ჯაღირამდე ჯერ შორი გზა იყო და ფეხით ან ცხენებით უნდა გვევლო. მომავალ მასპინძელთან ნოდარ სამუშია გაემგზავრა. საოცარი იყო ამ კაცის მონდომება, ორი ღამის განმავლობაში, იქით-აქეთ, ორჯერ გაიარა ორმოც კილომეტრამდე მანძილი ფეხით.

**– როდის მიხვედით ჯაღირაში?**

- ჯაღირამდე, როგორც გითხარით, ჯერ დიდი გზა იყო. 12 დეკემბერს გზად ზედა ეწერში გავჩერდით გონელი თორდიას ოჯახში. იქ ერთ საღამოს დავყავით. იმავე ღამეს სოფელ კორცხელში გავჩერდით, სამწუხაროდ, მასპინძლის სახელი არ მახსოვს. მეორე ღამეს, მასპინძელმა და მისმა ვაჟიშვილმა მიგვიყვანეს წალენჯიხის ჩაის მეურნეობის ტერიტორიამდე. იქ, ჩვენ ნაცატუში, გიული გაბედავას ოჯახში არ გავჩერდით, მაგრამ შევედით კი. შემდეგ, 13 დეკემბერს, ობუჯში, თამადა მესხიას ვესტუმრეთ. ეს მცირე შეჩერებები იმიტომ იყო საჭირო, რომ შორ მანძილზე არ დაგვთენებოდა. კორცხელში კი დაგვხვდა ჩვენი მეგობარი ანზორ მებონია; ანზორმა მცირე ხნით ჯაღირას გზის მონაკვეთში დაგვტოვა, თვითონ კი წავიდა, რათა კიდევ ერთხელ შეემოწმებინა უსაფრთხოების პირობები, რომ უვნებლად შევსულიყავით სოფელში. ანზორ მებონია, მეორე დღეს, ხუთ საათზე უნდა მოსულიყო. ზვიადმა უკვე სამი საათიდან დაიწყო ნერვიულობა, ეგონა, ანზორი საერთოდ არ მოვიდოდა. შევეცადეთ, ბატონი ბესარიონის ავტორიტეტი გამოგვეყენებინა ზვიადის დასამშვიდებლად. გუგუშვილმა ხუმრობით მიმართა ზვიადს, დავნიძლავდეთ, რომ მებონია ზუსტად დანიშნულ დროს მოვაო.

**– ეჭვიანობის რა საფუძველი გააჩნდა ზვიადს?**

- არ ვიცი, მაგრამ ანზორ მებონია კი, მართლაც, დანიშნულ დროზე გამოცხადდა.

**– როგორ მიგიღოთ მებონიას ოჯახმა?**

- დიდებულად. ხბო დაგვიკლეს. ოჯახის დიასახლისი ყოველთვის ცდილობდა, ზვიადისთვის სასურველი სადილი მოემზადებინა. სამწუხაროდ, პრეზიდენტი ნაკლებად ჭამდა საჭმელს.

**– ეკითხებოდით თუ არა, რატომ არ მიირთმევდა საჭმელს?**

- როგორ არა. კუჭნაწლავის ავადობით ხსნიდა იმას, საჭმელს რომ ცოტას ჭამდა. გვეუბნებოდა, გადასახლებაში ცუდი წყლის სმისგან დამემართაო. საერთოდ, მუცლის არეში ტკივილებს უჩიოდა.

**– რა ხანი იყავით მებონიების ოჯახში?**

- რვა-ცხრა დღე. ბოლოს მასპინძელს შეატყობინეს, რომ ჩვენი იქ ყოფნა გახმაურდა. ამ პერიოდში, ახალი ადგილის მოსაძებნად გვყავდა კაცი გაგზავნილი. ამ დროს ისევ გამოჩნდა ბადრი ზარანდიაც, რომელმაც პრეზიდენტს შემოუთვალა, ჯიხაშკარში ერთი მიტოვებული სახლია და იქ გაჩერდითო, იქ უფრო მოსახერხებელიაო.

**– რა თქვა ზვიადმა?**

- ზვიადმა თქვა, თუ ასეა, მაშინ თვითონაც მოვიდეს და ჩვენთან ერთად იმ სახლში იცხოვროსო, მეტი არაფერი. ამ დროს, გაჩნდა ინფორმაცია, რომ აბსანძის ხალხი გვეძებდა, რამაც იმედი ჩაუნერგა ზვიადს. მეორე მხრივ, ანზორ მებონია მპირდებოდა, რომ ზვიადსა და ბესოს სრულიად უვნებლად შეინახავდა საიმედო ადგილას. რამდენიმე პიროვნება დამისახელა, რომლებთანაც, ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეიძლებოდა პრეზიდენტისა და ბესოს მიყვანა. აღნიშნული ოჯახები მართლაც საიმედო იყო, მაგრამ დაცვის ჩამოშორება მიზანშეწონილად არ მიმაჩნდა.

**– რას გულისხმობდა ანზორის ეს წინადადება?**

- მარტივად აიხსნება. მასაც მიაჩნდა, რომ შვიდთან შედარებით ორი კაცის დამალვა ბევრად ადვილი იყო. მაგრამ როგორც მინიმუმი, მიმაჩნდა, რომ ორი მცველი მაინც უნდა ხლებოდა პრეზიდენტს.

**– ასეთი საშიშროების დროსაც არ სურდა ზვიადს საქართველოდან გასვლა?**

- ჩემი ყურით გამიგონია, რობიზონი ვერტალიოტით აფრენასა და გადაყვანას რომ სთავაზობდა ზვიადს, პასუხად ესმოდა, არ გამაგონო ეს შენი ვერტალიოტებიო.

**– ანზორ მებონიას შემდეგ, ზვიადი და მისი თანმხლებნი ჯონსონ კვარაცხელიას სახლში მიიყვანა ვახო ზარანდიამ. იმის გამო, რომ ვახო ზარანდია ორი თუ სამი დღის შემდეგ დაა-**

*გაგრძელება 25-ე გვერდზე*




# სენსაციური დასკვნა,

## რომელიც გამორიცხავს ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიას

*საზოგადოებას უკვე კარგა ხანია, არ სჯერა, რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, თუმცა, მისი ტრაგიკული აღსასრულის ამ ვერსიას ჯიუტად ამკვიდრებდა შევარდნაძის ხელისუფლება და, რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ამ ვერსიას ადასტურებდნენ ის ადამიანებიც, რომლებიც იმ საბედისწერო ღამეს ზვიად გამსახურდიას გვერდით იმყოფებოდნენ - ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე და სხვები. მართლაც გასაოცარია, რომ ადამიანები, რომლებიც პრეზიდენტის უერთგულეს პირებად იყვნენ მიჩნეულნი, კვერს უკრავდნენ და ადასტურებდნენ გამსახურდიას დაუძინებელი მტრის, შევარდნაძის მიერ უტყუარ ფაქტად შემოთავაზებულ დასკვნას, რომ გამსახურდია კი არ მოკლეს, არამედ მან თავი მოიკლა. ამ დასკვნით შევარდნაძე და მისი ხელისუფლება, ცხადია, აბსოლუტურად თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან. რატომ გახდნენ გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლები შევარდნაძის თუნდაც უნებლიე მოკავშირენი? რატომ დაემთხვა შევარდნაძის ინტერესებს ამ ადამიანთა ჩვენებები? რატომ ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ დღემდე ისინი იმას, რაც აშკარად შევარდნაძის წისქვილზე ასხამდა და ასხამს წყალს? რა არის ეს? მოვლენათა ბრმა დამთხვევა, ბედის ირონია თუ ღალატი? იქნებ არც ერთი, არც მეორე, არც - მესამე. უბრალოდ, ეს არის, კარგად დაგეგმილი და იუველური სიზუსტით განხორციელებული სპეცოპერაცია, რომლის შედეგად გამსახურდიას თანმხლები პირები დაარწმუნეს, რომ პრეზიდენტმა ნამდვილად თავი მოიკლა. როგორ და რანაირად შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, - სწორედ ამაზე გვექნება საუბარი ამ წერილში.*

### საბედისწერო სახლი

როცა უბედური შემთხვევა ხდება, პროფესიონალი დეტექტივით, პირველ ყოვლისა, გამოძიება შემთხვევის ადგილის დათვალიერებით იწყებს - თუ ასეთი შემთხვევა ბინაში მოხდა, ხდება ბინის დეტალური შესწავლა. ნებისმიერმა დამწყებმა დეტექტივმა იცის, რომ ეს აუცილებელი ნორმაა, რომლის გარეშეც დანაშაულის გახსნა და მისი კვალიფიცირება თითქმის შეუძლებელია.

სახლი, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, ღურწკაიების სახლია ძველ ხიბულაში.

**აი, აქ, ამ სახლში დატრიალდა ის ტრაგედია, რომელიც დღემდე ბურუსითაა მოცული.**

**ამ სახლში დასრულდა ზვიად გამსახურდიას სიცოცხლე და მასთან ერთად დასრულდა საქართველოს თავისუფლების წამიერი გარიჟრაჟი.**

ზვიად გამსახურდიას სიკვდილის შემდეგ უცხოელთა მიერ მოსყიდულმა შინაურმა დამპყრობლებმა საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას წერტილი დაუსვეს.

მაგრამ ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს, ახლა კი იმ სახლს მივუბრუნდეთ, სადაც 1993 წლის 30-31 დეკემბრის გზაგასაყარზე, ახალწლის ღამეს, ზვიად გამსახურდიამ „თავი მოიკლა“.

**გამსახურდიას „თვითმკვლელობა“ მაინცდამაინც ღურწკაიას სახლში შემთხვევით არ მომხდარა. ის სპეციალურად იქნა შერჩეული იმ ობიექტად, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ დაგეგმილი ოპერაცია სისრულეში უნდა მოეყვანათ და მსხვერპლის ლიკვიდაცია თვითმკვლელობად მოენათლათ.**

სანამ ამ საბედისწერო სახლამდე მოვიდოდნენ, პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ რამდენიმე სახლი გამოიცვალა და გამსახურდიას, ის, რაც ღურწკაიების სახლში „ჩაიდინა“, თავისუფლად შეეძლო სხვაგანაც „ჩაედინა“, ვთქვათ, - მებონიების სახლში ან სოფელ ჯალირაში ან ჯონსონ კვარაცხელიას სახლში, ანდა სულაც სოფელ ჯიხაშკარში, მანამდე კიდევ სხვაგან და სხვაგან, მაგრამ **პრეზიდენტმა „თვითმკვლელობის“ ადგილად, მაინცდამაინც, ღურწკაიების სახლი „აირჩია“.**

### რატომ?

**იმიტომ რომ სწორედ ამ სახლში იყო შესაძლებელი მკვლელობის თვითმკვლელობად შერაცხვა და ამ სცენის იმგვარად დადგმა და გათამაშება, რომ თვით გამსახურდიას გარემოცვასაც კი დაეჯერებინა, რომ ეს მკვლელობა კი არა, თვითმკვლელობა იყო.**

**პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, რომ ღურწკაიების სახლი სოფლის ცენტრალური გზის პირას დგას, სადაც უამრავი ადამიანი აივლის და ჩაივლის. აი, ამ ცენტრალური გზის პირას მდებარე სახლში მიიყვანეს კაცი, რომელსაც მდევარი ფეხდაფეხ მისდევდა და რომლისგან თავის დასაღწევად აქამდე მივარდნილ და თვალს მოფარებულ სახლებს ირჩევდნენ...** ასეთი იყო ანზორ მებონიას სახლი სოფელ ჯალირაში - მას მხოლოდ ერთი მხრიდან თუ მიუდგებოდა კაცი, მეორე მხარეს ფრიალო კლდეა. გარშემო ახლომახლო, არავინ ცხოვრობს. ასეთი იყო ჯონსონ კვარაცხელიას სახლიც, მთის კორტოხზე განმარტოებით მდგარი, ასწლოვანი ხეებით დაბურული ეზოთი. ისიც, მებონიას სახლივით, სოფლის განაპირას დგას და გამვლელ-გამომვლელის თვალს არ ეჩხირება. ორივე სახლი დევნილთა თავშესაფრად სწორად იყო შერჩეული. ამ შერჩევაში არის ლოგიკა, რომელიც დევნილთა უსაფრთხოების გარანტიას იძლეოდა და უცებ **ასეთი ალოგიკური და ყოველგვარ სიფრთხილეს მოკლებული გადაწყვეტილება - თავშესაფრად ირჩევენ სახლს, რომელიც ცენტრალურ გზაზე დგას.(!) თითქოს არც არავინ მისდევთ, თითქოს არც არავინ ეძებთ და არსაიდან არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ.**

სინამდვილეში კი დევნილები ძალზე შიშობენ, რადგან შესანიშნავად იციან, რომ მთელ სამეგრელოში სპეცჯგუფები დაძრწიან და მათ ეძებენ. ამიტომაც იცვლიან ისინი ადგილს წარამარა - ეშინიათ, ვინმემ არ გასცეთ, ეშინიათ, ნებსით თუ უნებლიეთ, ვინმემ მდევარი კარზე არ მიაყენოს. უცებ კი... ეს შიში და სიფრთხილე ქრება.

# რით შეიძლება ასეთი მოულოდნელი მეტამორფოზის ახსნა?

როგორც ჩანს, ვიღაცამ მტკიცედ დაარწმუნა გამსახურდია და მისი თანმხლები პირები, რომ ღურწკაიების სახლში უკეთ იქნებოდნენ დაცულნი, ვიდრე ჯონსონ კვარაცხელიასთან.

ღურწკაიების სახლის ადგილმდებარეობის შესახებ, რა თქმა უნდა, არც გამსახურდიამ იცოდა რაიმე, არც გუგუშვილმა, არც მარგველანმა და არც გვანცელაძემ. მათ არ შეიძლება წარმოდგენა ჰქონოდათ, სად იდგა ეს სახლი, ვინ იყვნენ მათი მომავალი მასპინძლები, რა წყობისა და განლაგებისა იყო სახლის შიდა ინტერიერი, სად იყო ის ოთახი, სადაც პრეზიდენტს უნდა ეცხოვრა, სად იყო მეორე ოთახი, სადაც დაცვა უნდა განთავსებულიყო და ა.შ.

**რასაკვირველია, ყოველივე ამის შესახებ გამსახურდიამ, გუგუშვილმა და დაცვამ არაფერი იცოდნენ, მაგრამ აუცილებლად იყო ვიღაც, რომელიც გარანტიას იძლეოდა, რომ ღურწკაიებთან დევნილებს არანაირი განსაცდელი არ ელოდათ.**

**ამ პირის (თუ პირების) ვინაობა შესანიშნავად იცის გუგუშვილმაც, გვანცელაძემაც, მარგველანმაც, კვარაცხელიამაც, მაგრამ** არცერთ მათგანს რატომღაც არასოდეს არავისთან არ გამოუთქვამს ეჭვი იმ მეგზურების მიმართ, რომლებმაც ისინი ამ სახლში მიიყვანა.

**ღურწკაიებთან გადმოსვლამდე ხდება კიდევ ერთი გამაოგნებელი ფაქტი, რომელსაც ასევე არავინ აქცევს ყურადღებას - დაცვის ოთხი წევრიდან ორს კვარაცხელიას სახლში ტოვებენ.** მათ მხოლოდ ორი თუ სამი დღის შემდეგ ამოაკითხავენ, მაშინ, როდესაც ტრაგედია უკვე მომხდარია, ხოლო ტრაგედიით გაოგნებულ დაცვის წევრებს ძლივს აკავებენ. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ გამსახურდიამ თავი მოიკლა და მზად არიან, დახოცონ ისინი, ვინც ეს საშინელი ამბავი ჩაიდინა.

მაინც რატომ დატოვეს ეს ორი კაცი კვარაცხელიას სახლში და რატომ არ წაიყვანეს თან? ამ კითხვას მარტივი პასუხი აქვს - **მეგზურებმა გამსახურდია დაარწმუნეს, რომ ღურწკაიების სახლში ამდენი ადამიანისთვის ადგილი არ ეყოფოდათ**. არადა, ღურწკაიების სახლი, როგორც ეს ფოტოზეც კარგად ჩანს, ორსართულიანი, საკმაოდ დიდი ფართის სახლია, სადაც დამატებით ორი კაცის განთავსება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. არაფერს ვამბობთ პირველ სართულზე. მეორე სართულზე არანაკლებ ოთხი ოთახია, სტუმრებს მხოლოდ ორი ოთახი ჰქონდათ დაკავებული.

მაშ, რატომ აიძულეს ეს ორი ადამიანი კვარაცხელიას სახლში დარჩენილიყვნენ? უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი რაღაცით ხელს შეუშლიდნენ იმ გეგმის სისრულეში მოყვანას, რომელიც უკვე არსებობდა და **ამ გეგმის დეტალები კარგად იცოდა მან, ვინც ეს ორი ადამიანი დევნილებს მოწყვიტა.**

ყოველ შემთხვევაში, ვერსად წავუვალთ იმ ფაქტს, რომ გამსახურდიამ „თავი მოიკლა“ მაშინ, როდესაც დაცვის ეს ორი წევრი დევნილთა ჯგუფს ჩამოშორდა.

იმ პირთა შესახებ, რომლებიც გამსახურდიას ჯონსონ კვარაცხელიას სახლში ესტუმრნენ და მომავალ ადგილსამყოფელად ღურწკაიების სახლი შესთავაზეს, ჩვენ მოგვიანებით ვისაუბრებთ, **ახლა კი ვალერი კვარაცხელიას მიერ ბაჩუკი გვანცელაძესთან აღებული ინტერვიუს ერთ ფრაგმენტს დავაკვირდეთ.**

# ვინ ვის იცავდა – ზვიად გამსახურდია თავის დაცვას თუ დაცვა გამსახურდიას?

ინტერვიუში ვკითხულობთ:

**„- თქვენს ოთახებს ერთმანეთში გამავალი კარები ჰქონდა?**

**- დიახ, უფრო სწორად, ღია გასასვლელი ჰქონდა.**

**კარები ჩამოხსნილი იყო.**

**- რატომ იყო კარები ჩამოხსნილი?**

**- არ ვიცი, ჩვენ ჩამოხსნილი დაგვხვდა.**

**- ესე იგი, თქვენ თქვენი ოთახებიდან ერთმანეთს ხედავდით კიდეც.**

**- დიახ!**

**- პრეზიდენტისა და გუგუშვილის საწოლები თუ ჩანდა თქვენი ოთახიდან?**

**- დიახ!“**

ინტერვიუს ამ ფრაგმენტიდან მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეექმნას, რომ დაცვამ სწორად გათვალა ყველაფერი და პრეზიდენტის ეფექტურად დაცვის მიზნით ისეთი ადგილი შეარჩია, საიდანაც გამსახურდია მათი მუდმივი კონტროლის ქვეშ იყო - მათი „სათვალთვალო პუნქტიდან“ პრეზიდენტის და გუგუშვილის საწოლებიც კი ჩანდა.

როგორც ჩანს, ბატონი ვალერის ყურადღება იმ ფრაზამ მოადუნა, რომელშიც გვანცელაძე ამბობს, რომ ოთახები ერთმანეთთან ღია გამავალი კარით იყო დაკავშირებული და დაცვა „დასაცავ ობიექტს“ დაუბრკოლებლად ხედავდა.

**ჭკუათმყოფელი კაცი, უეჭველად იფიქრებს, რომ ამ ერთმანეთთან გამავალი კარებით დაკავშირებული ორი ოთახიდან დაცვას წინა ოთახი აქვს დაკავებული ანუ მკვლელმა დაცვის ოთახი უნდა გაიაროს, რომ პრეზიდენტამდე მიაღწიოს.**

სწორედ ასე ჩათვალა ბატონმა ვალერიმაც და ამიტომაც არ უცდია, დაეზუსტებინა სად იყო პრეზიდენტის ოთახი და სად იყო დაცვის ოთახი. მას ისიც არ დაუზუსტებია, - ეს ოთახები ერთმანეთის გვერდიგვერდ იყო განლაგებული თუ ერთმანეთის მიჯრით. არ დასმულა კითხვა იმის შესახებაც - რა იცავდა პრეზიდენტს იმ მხრიდან, სადაც დაცვა არ იყო.

**ახლა კი ისეთ დეტალს მოგახსენებთ, ალბათ, გაოგნდებით - პრეზიდენტი იწვა კიბის თავთან განლაგებულ პირველსავე ოთახში, რომელსაც ღია აივანი გასდევს, ოთახის პირდაპირ კი, ასიოდე მეტრში, ცენტრალური გზაა. ფოტოზე ისიც კარგად ჩანს, რომ პრეზიდენტის ოთახის პირდაპირ, ეზოში. ორი ხე დგას, რომლებიც პრეზიდენტის ოთახის ფანჯრებს უყურებენ - საკმარისია, ამ ორი ხიდან რომელიმე ხეზე ავიდეს კაცი და იქიდან ხელისგულივით ჩანს პრეზიდენტის საძინებელი ოთახი. დაცვის ოთახი კი ამ ოთახის უკან არის, არა გვერდით, არამედ უკან, ასე რომ, დაცვას არ შეუძლია, დაინახოს - რა ხდება აივანზე, რა ხდება ეზოში, რა ხდება სახლის წინ გამავალ ცენტრალურ გზაზე, რა ხდება იმ ხეებზე, რომლებიც პრეზიდენტის საძინებელი ოთახის ფანჯრებს უყურებენ - დაცვის ხედვის არეალს პრეზიდენტის ოთახი კეტავს. დაცვა აბსოლუტურად იზოლირებულია გარე სამყაროსაგან, ჩაკეტილ სივრცეში იმყოფება და რაიმე რომ მოხდეს, ვერანაირ რეაგირებას ვერ მოახდენს - დაცვა განიარაღებულია. უფრო მეტიც, - სინამდვილეში დაცვა კი არ იცავს პრეზიდენტს, არამედ პრეზიდენტი იცავს თავის დაცვას იმ მხრიდან, საიდანაც საშიშროებაა მოსალოდნელი.**

როდესაც მარგველანს კითხეს, თუ რატომ აირჩია დაცვამ არა წინა, არამედ უკანა ოთახი, მან უპასუხა: - სახლს ამოსასვლელი უკანა მხრიდან ჰქონდაო.

კი, ბატონო, **სახლს ამოსასვლელი უკანა მხრიდანაც ჰქონდა, მაგრამ წინა მხრიდან არ ჰქონდა?** განა ამოსასვლელი არ არის სახლის წინა ფასადზე მიდგმული უზარმაზარი კიბე, რომელზეც ერთდროულად 20-30 კაცს თავისუფლად შეუძლია ავიდეს. სახლს, უფრო სწორად, **იმ ოთახებს, სადაც პრეზიდენტი და დაცვა ცხოვრობდნენ, უკანა კარი ჰქონდა, მაგრამ ასევე ჰქონდა ღია აივანზე გამავალი წინა კარი, რომლებიც აბსოლუტურად დაუცველი იყო!**

მოდით, ნუ დავიდებთ ცოდვას და დაცვის ეს საქციელი მხოლოდ და მხოლოდ მათი არაპროფესიონალიზმით ავხსნათ, თუმცა **რა პროფესიონალიზმი სჭირდება იმის ცოდნას, რომ საწოლი იმ კაცისა, რომელსაც მოკვლას უპირებენ, კიბის თავზე, ღია აივანზე, ქუჩის პირას, სამიზნედ არ უნდა გამოდგა და შენ კი უკანა ოთახში არ უნდა წამოწვე - აქაოდა, უკანა ამოსასვლელს ვიცავო.**



*წერილზე მუშაობისას კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ მერაბ ჩუხუას. ბატონი მერაბი კავკასიური, მათ შორის, ვაინახური ენების ცნობილი სპეციალისტი გახლავთ. მან თავის დროზე საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ეროვნული მოძრაობის და კავკასიელ ხალხთა ლიდერების დამეგობრებისა და საქმიანი ურთიერთობების დამყარების საქმეში. ბატონი მერაბი ახლოს იცნობდა ჯოჰარ დუდაევს. სწორედ მისი ინიციატივით და ძალისხმევით მოხდა დუდაევისა და გამსახურდიას გაცნობა და დაახლოება, რაც შემდგომში მათ სამაგალითო მეგობრობაში გადაიზარდა. ბოლო პერიოდში ის საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსი იყო. ბატონ მერაბ ჩუხუას კომენტარისთვის იმიტომაც მივმართეთ, რომ სამეგრელოსა და სამურზაყანოში ყოფნის მთელ პერიოდში ის თან ახლდა ზვიად გამსახურდიას. ასე რომ, მისთვის კარგად არის ცნობილი ყველაფერი, რაც იმ ავბედით 1993 წელს ხდებოდა სამეგრელოში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბატონი მერაბ ჩუხუა არ ეთანხმება ჩვენს წერილში გამოთქმულ ვერსიას. არის კიდევ ერთი მომენტი, რის გამოც მერაბ ჩუხუას კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ — იგი ზაურ ჩუხუას ვაჟი გახლავთ. როგორც მკითხველისთვის არის ცნობილი, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში სხვებთან ერთად სწორედ ძმებმა ჩუხუებმა გაუწიეს მეგზურობა დევნილობაში მყოფ საქართველოს პრეზიდენტს. კომენტარის ნაცვლად ბატონმა მერაბმა ვრცელი ინტერვიუ მოგვცა. ახლა გაგაცნობთ ინტერვიუს მხოლოდ იმ ნაწილს , სადაც საუბარია ჯიხაშკარსა და ძველ ხიბულაში განვითარებულ მოვლენებზე.*



# სენსაციური დასკვნა

## თემის გაგრძელება

*„— ზვიად გამსახურდია დევნილობაში სამურზაყანოში იმყოფებოდა. დევნილობის პერიოდში შეხვდა მამაჩემსა და ბიძაჩემს. (1990 წლის ივლისში ზვიად გამსახურდია ბიძაჩემის სახლში იყო სტუმრად. შემდგომში მეც და მამაჩემიც ბატონ პრეზიდენტს ე.წ. ბუნკერშიც გვერდით ვედექით და იარაღით ვიცავდით).*

***ჯონსონ კვარაცხელიასთან** პრეზიდენტისა და მისი მხლებლების მეგზური **გუჯუჯი ებრალიძე** იყო, ჯიხაშკარის იმდროინდელი გამგებელი.*

*მაშინ მოსახლეობა ძალიან დაშინებული იყო. ყოფილა შემთხვევები, როცა სახლიდან 15 წუთის გასული სტუმრების შემდეგ ოჯახს „მხედრიონი“ მივარდნია და აუწიოკებია. ამიტომაც ზოგიერთები ერიდებოდნენ პრეზიდენტის მიღებას. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ძალზე ძნელი გახლდათ თავშესაფრის მოძებნა. ფაქტიურად, არჩევანი ძალზე იყო შეზღუდული.*

*მამაჩემი ჯიხაშკარში ორჯერ შეხვდა პრეზიდენტს. ბატონი ზვიადი **გულიკო ტიბუას** მეშვეობით დაუკავშირდა მას.*

*მამა ახლა იხსენებს, თუ როგორი შეშფოთებული იყო ზვიადის გარემოცვა მისი ჯანმრთელობით. პრეზიდენტი ფაქტიურად უარს ამბობდა საკვების მიღებაზე. მამაჩემს მიზეზი რომ უკითხავს, პრეზიდენტს უპასუხნია: მწვავე ტკივილს ვგრძნობ მუცლის არეში, თანაც სუსტად ვარ, სიარულიც მიჭირსო.*

*რაც შეეხება **ღურწკაიების** სახლს, ის ერთი სოფლის ბოლოშია და მეორე სოფლის დასაწყისში. კვარაცხელიას სახლიდან ღურწკაიების სახლამდე 6-7 კილომეტრი მაინც იქნება. ეს არ არის მოკლე მანძილი. ზვიადი მაშინ **ღურწკაიებთან** გადაიყვანეს არა თეთრი მანქანით, როგორც ამას **ჯონსონ კვარაცხელია** ამბობს, არამედ მუქი ნაცრისფერი 24-10-ით, სადაც მაქსიმუმ ექვსი კაცი ეტევა, ამას დაუმატეთ ტანსაცმელი, იარაღი და სხვა აუცილებელი ნივთიც. ამიტომაც დარჩნენ **კვარაცხელიას სახლში** დაცვის ორი წევრი, ისინი მანქანაში ვერ ჩაეტეოდნენ.*

***კარლო ღურწკაიას** სახლი ზვიადმა მისვლისთანავე კარგად დაათვალიერა. ისიც უკითხავს, სახლში ტუალეტი თუ არისო. სამეგრელოში, და არა მარტო სამეგრელოში, მოგეხსენებათ, ასეთი სახლი იშვიათია, ამ მიზეზის გამო შემდეგ ბიძაჩემს და მამაჩემს სხვა სახლის მოძებნა დაევალა.*

***ღურწკაიებთან** გამსახურდია მხლებლებით მეორე სართულზე ცხოვრობდა. მეორე სართულს უკანა მხრიდან აქვს შიდა ასასვლელი, რის გამოც იქ შემთხვევით ვერავინ მოხვდება. დაცვას სწორედ ის ოთახი ჰქონდა დაკავებული, რომელიც შიდა ასასვლელის თავთან მდებარეობდა.*

***ღურწკაიების** სახლიდან მეტ ნაკლებად კონტროლდებოდა მიმდებარე ტერიტორია და შეუმჩნევლად მისვლა ამ სახლთან ძნელი იყო.*

*რაც შეეხება გზას, რომელიც სახლის წინ გადის, ეს არ არის ცენტრალური გზა, როგორც ამას **ჯონსონ კვარაცხელია** ამბობს. ეს ჩვეულებრივი სოფლის გზაა.*

***ჯონსონ კვარაცხელიას** ნათქვამი აქვს, რომ მან **გუჯუჯი ებრალიძე** რამდენიმეჯერ ნახა აფხაზეთის უშიშროების თანამშრომლის **გია მხეიძის** სახლში. თუ ეს მართალია, მაშინ ისმის კითხვა: რა უნდოდა ზვიად გამსახურდიას მეგზურს და მასპინძელს უშიშროების თანამშრომლის სახლში?*

***ბატონ ჯონსონს** ისიც აქვს ნაბრძანები, რომ მის ოჯახში გამსახურდიას სტუმრობის დროს მასთან მივიდა თანასოფლელი **აკაკი სიჭინავა** და უთხრა: — მომილოცავს, საინტერესო სტუმრები გწვევიაო.*

*თუ **ჯონსონ კვარაცხელიას** ამ სიტყვებს სარწმუნოდ მივიჩნევთ, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ სადამსჯელო რაზმებისთვის, რომლებიც სამეგრელოს მთელ ტერიტორიას იყვნენ მოდებულნი და მათი ნაწილი კი ჯიხაშკარშიც იმყოფებოდა, ზვიად გამსახურდიას და მისი მხლებლების გადაადგილების და ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციები ცნობილი იყო.*

*სხვათაშორის, არის ვარაუდი, რომ მდევარი ზვიად გამსახურდიას ჯიხაშკარში მოსვლამდე გაცილებით ადრე ჩაუდგა კვალში.*

*მიმაჩნია, რომ ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულის საქმე კომპეტენტურმა და მიუკერძოებელმა კომისიამ უნდა შეისწავლოს. მხოლოდ ასე გაირკვევა ვინ იყო ზვიადის ერთგული და ვინ უღალატა მას და საქართველოს.*

*დილეტანტურმა მსჯელობამ ამ საკითხის გარშემო შეიძლება ერთგულები მოღალატეებში არიოს, რაც კიდევ ერთი მიუტევებელი დანაშაული იქნება.*

*ამბობენ, **ღურწკაიებმა** ზვიადი ცუდად მიიღეს, ტრაგედიის შემდეგ მიცვალებული სახლში არ დაატოვებინესო და ა.შ.*

***მინდა საჯაროდ განვაცხადო: ღურწკაიების ოჯახი უწესიერესი და უპატიოსნესი ოჯახია. მათ უდრტვინველად მიიღეს უმძიმესი ჯვარი და ასევე უდრტვინველად ზიდეს იგი.***

*თქვენ გახსოვთ, საქართველოს დამაქცევარმა ე. შევარდნაძემ როგორ მიმართა მსოფლიოს ქვეყნებს, არ მიეცათ თავშესაფარი ზვიად გამსახურდიასთვის. ეს იყო პირდაპირი სასიკვდილო ვერდიქტი, რომელიც სისრულეში მოიყვანეს.*

*მინდა გავიმეორო კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას სიტყვები: **არსებითი მნიშვნელობა არა აქვს პრეზიდენტი უფსკრულში თვითონ გადაეშვა თუ ვინმემ წაასწვლა ხელი. მთავარი დამნაშავე ის არის, ვინც ის ამ უფსკრულამდე მიიყვანა“.***

ბატონი მერაბ ჩუხუას ნაამბობი, მართალია, აბათილებს ჩვენი წერილის პირველ მონაკვეთში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას, მაგრამ იმავე დროს კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ ზვიად გამსახურდიას მდევრებს შეიძლება სცოდნოდათ გამსახურდიას და მისი ჯგუფის გადაადგილების მარშრუტი. არა მარტო ჯიხაშკარში ყოფნისას, არამედ უფრო ადრეც, **სოფელ მუჟავადან დაწყებული, ჯონსონ კვარაცხელიასა და კარლო ღურწკაიას სახლით დამთავრებული.**

ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ იმ პერიოდში, როდესაც გამსახურდია და მისი გარემოცვა საიმედო თავშესაფრის ძებნაში წამდაუწუმ იცვლიდნენ ადგილსამყოფელს, სამეგრელოს რეგიონის თითქმის ყველა რაიონსა და სოფელში იმყოფებოდნენ ე.წ. სამხედრო საბჭოს რაზმები, „მხედრიონი“, სპეცსამსახურების თანამშრომლები, გაურკვეველი წარმოშობის ბანდფორმირებები, საშოვარზე ჩამოსული ათასი ჯურის კრიმინალები და ა.შ.

გაგრძელება მე-12 გვერდზე



## არა არს დაფარული...

# სენსაციური დასკვნა,

*დასაწყისი მე-10 გვერდზე*

ზვიად გამსახურდიასა და მის ჯგუფს, ფაქტიურად, მდევრების ალყაში უწევდათ გადაადგილება და ცხოვრება. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მდევართა ამ მრავალრიცხოვანი ჯგუფებიდან, რომელიმეს კარგად სცოდნოდა გამსახურდიას ჯგუფის გადაადგილების მარშრუტი.

წერილის პირველ მონაკვეთში, გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაყრდნობამ, ჩვენ ზედმეტად მკვეთრი აქცენტები გაგვაკეთებინა მეგზურების მისამართით, მაგრამ თუ უფრო ღრმად გავაანალიზებთ იმ გარემოს და სიტუაციას, რომელშიც გამსახურდია და მისი თანმხლები პირები იმყოფებოდნენ, ადვილად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ **მდევრებს არ სჭირდებოდათ დამატებითი ინფორმაციები - დევნილები, ფაქტიურად, მათ თვალწინ მოძრაობდნენ, მათი თვალთახედვის არეში იმყოფებოდნენ.**

თუმცა მეგზურებში იყო ერთი პიროვნება, რომლის მისამართით, გარკვეული ეჭვი გამოთქვა **ჯონსონ კვარაცხელიამ**. ეს პიროვნება გახლავთ **ბუჯუჯი ებრალიძე** (ჯიხაშკარის იმდროინდელი გამგებელი).

გვინდა ხაზგასმით განვაცხადოთ: ჩვენ ვიმეორებთ მხოლოდ **ჯონსონ კვარაცხელიას** ნათქვამს, რომელსაც ბატონი **მერაბ ჩუხუაც** ადასტურებს.

**ჯონსონ კვარაცხელიას** თქმით, მან **ბუჯუჯი ებრალიძე** რამდენჯერმე ნახა აფხაზეთის უშიშროების სამსახურის მუშაკის, ვინმე **ბია მხეიძის** სახლში.

დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ **ჯონსონ კვარაცხელიას** სახლში გამსახურდია და მისი ჯგუფი სწორედ **ბუჯუჯი ებრალიძემ** მიიყვანა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ებრალიძე გამსახურდიასა და მისი გარემოცვის ნდობით აღჭურვილი პირი იყო. რა უნდოდა ასეთ პიროვნებას უშიშროების მუშაკის სახლში? - ამ კითხვას სვამს **ჯონსონ კვარაცხელია** და ჩვენც ამ კითხვის გამეორებით დავკმაყოფილდეთ - მართლაცდა, რა ესაქმებოდა ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილ პირს უშიშროების სამსახურის წარმომადგენლთან?

მოგვიანებით **ჯონსონ კვარაცხელია** იმასაც განაცხადებს, რომ იმ დროს, როცა ზვიად გამსახურდია მის სახლში იმყოფებოდა, მასთან (ჯ. კვარაცხელიასთან - ვ.ხ.) პურის ყიდვის დროს მივიდა მისი თანასოფლელი **აკაკი სიჭინავა** და უთხრა: მომილოცავს, საინტერესო სტუმრები გყოლიაო.

საიდან გაიგო **სიჭინავამ,** კვარაცხელიას „საინტერესო" სტუმრები რომ ჰყავდა?

მარტო ერთმა, **სიჭინავამ,** იცოდა ეს ამბავი თუ იცოდნენ სხვებმაც?

ალბათ, იცოდნენ სხვებმაც და **სიჭინავამ** უბრალოდ სხვისგან მოწოდებული ინფორმაცია გაიმეორა და ეს ხდება იმ სოფელში, რომელიც გაჭედილია გამსახურდიას მადევარი შეიარაღებული ადამიანებით, რომლებიც ხან „ბეტეერებით", ხან ფეხით, სისტემატურად დადიოდნენ სოფლის მოსახლეებთან არყის, ღვინის, სურსათ-სანოვაგის შესაძენად. ადვილი დასაშვებია, რომ მათ რომელიმე არაკეთილსინდისიერი ადამიანისგან დაუბრკოლებლად მიეღოთ ზუსტი ინფორმაცია გამსახურდიას ადგილსამყოფელის შესახებ.

როგორც ჩანს, გამსახურდიას და მისი ჯგუფის კონსპირაციული ყოფნა სამეგრელოში, კერძოდ კი ჯიხაშკარსა და ძველ ხიბულაში, არც თუ ისე საიმედოდ იყო კონსპირირებული. ეს, ალბათ, შეუძლებელიც იყო, თუ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ იმ ფაქტს, რომ გამსახურდიას და მის ჯგუფს, მადევრების გარემოცვაში, მათ თვალწინ, მათ გვერდიგვერდ უხდებოდათ გადაადგილება და ცხოვრება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ გამსახურდია **ღურწკაიების** სახლში მისვლამდე გაცილებით ადრე მიზანში ჰყავდათ ამოღებული და შესაფერის დროსა და მომენტს ელოდნენ ჩანაფიქრის განსახორციელებლად. აქვე გვინდა დავამატოთ, რომ **ღურწკაიებს**, რომელთა სახლშიც მოხდა ტრაგედია, ახასიათებენ როგორც უაღრესად პატიოსან და კეთილშობილ ადამიანებს, რომელთა კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანა დიდი ცოდვა იქნებოდა.

მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ღირსეული მასპინძლობა გაეწიათ სათაყვანებელი პრეზიდენტისთვის, ხოლო ის, რაც შემდეგ მათ ოჯახში მოხდა, მოვლენათა განვითარების გარდაუვალი ლოგიკით მოხდა და მისთვის ხელის შეშლა ან მისი თავიდან აცილება **ღურწკაიებს** არ შეეძლოთ!

**ნუ დაგვავიწყდება, რომ ხუნტის მიერ სამშობლოს მოღალატედ გამოცხადებული (!) საქართველოს პრეზიდენტის შეფარება იმ სიტუაციაში სულაც არ გახლდათ უსაფრთხო ამბავი. დევნილი პრეზიდენტის მასპინძლობაში ეჭვმიტანილებს სასტიკად უსწორდებოდნენ, აპატიმრებდნენ, აწამებდნენ, ასახიჩრებდნენ.**

**ჯიხაშკარში, ვალიკო ზარანდიას ოჯახს ცოცხალი პრეზიდენტის შეფარება კი არა, პრეზიდენტის ცხედრის მიწისთვის მიბარება და პატრონობა არ აპატიეს და ოჯახი გაუნადგურეს.**

ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელი იყო პრეზიდენტისთვის საიმედო თავშესაფრის მოძიება. ზოგს ეშინოდა, ზოგი კი მასპინძლობაზე უარს იმის გამოც ამბობდა, რომ ოჯახს საპატიო სტუმრების გამასპინძლების სახსარი და საშუალება არ გააჩნდა. სამეგრელო იმ დროისთვის აბსოლუტურად გაპარტახებული და გაჩანაგებული იყო. ადამიანები შიმშილობდნენ.

ყოველივე ამის ფონზე, განსაკუთრებული მადლობისა და პატივისცემის ღირსნი არიან ის ოჯახები, რომლებიც არაფერს შეუშინდნენ და თავიანთი სახლის კარები უყოყმანოდ გაუღეს პრეზიდენტს.

უაღრესად დიდ პატივისცემასა და მადლობას იმსახურებენ ის ადამიანებიც, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მეგზურობა გაუწიეს დევნილებს და ყველაფერი გააკეთეს მათი უსაფრთხოებისთვის.

არა მარტო ცალკეულმა ადამიანებმა, არამედ მთელმა სამეგრელომ მართლაც ღირსეულად უმასპინძლა ზვიად გამსახურდიას. დარწმუნებული ვართ, საქართველოს ნებისმიერი კუთხე ისეთივე თავგანწირვით, თავდადებით და ერთგულებით უპატრონებდა მას, როგორც ეს სამეგრელომ გააკეთა...

სიცოცხლის ბოლო დღეებში გამსახურდიას, ერთი უბრალო გლეხის ოჯახში შეხიზნულს, ასეთი რამ უთქვამს: - **მე აქედან არსად არ წავალ, აქ მინდა მოვკვდეო.**

რატომღაც მგონია, რომ სწორედ იქ, უბრალო, მაგრამ გულწრფელი თანაგრძნობით და ტკივილით გაჯერებულ გარემოში იგრძნო გამსახურდიამ, მთელი არსებით, თუ რა არის სამშობლო. ამ ადამიანების გულწრფელმა სიყვარულმა, თანადგომამ და თავგანწირვამ დაანახა მას ნამდვილი სამშობლო, რომელიც პოეტის თქმისა არ იყოს, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა...

მართლაცდა, სად უნდა წასულიყო იმის შემდეგ, რაც მან ამ უბრალო, მაგრამ ჭეშმარიტი ქართველი გლეხების ოჯახებში ნახა და შეიგრძნო...

## საბედისწერო სახლი

წერილზე მუშაობის პერიოდში მიღებული ახალი ინფორმაციების შემდეგ შევთანხმდეთ, რომ ღურწკაიების სახლი არც ისე დაუცველია, როგორც ეს ფოტოზე ჩანს. ისიც გაირკვა, რომ სახლის წინ გამავალი გზა ცენტრალურ გზად არ შეიძლება ჩაითვალოს - ის ჩვეულებრივი სოფლის გზაა. **ღურწკაიების სახლის ხელმარჯვნივ მდგარი სახლიც ღურწკაიების ახლობლებისაა - ისინი, ფაქტობრივად, ერთ ოჯახად ცხოვრობენ.** ნათელი მოეფინა იმ ფაქტსაც, თუ რატომ დატოვეს კვარაცხელიებთან დაცვის ორი წევრი - მანქანაში ადგილი არ იყო. უნდა გამოვრიცხოთ ის ვერსიაც, რომ ღურწკაიების სახლი სპეციალურად იქნა შერჩეული და ამაში გამსახურდიას რომელიმე მეგზურს რაიმე მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული.

დიახ, **უარვყოთ და ბათილად ვცნოთ ყველა ის მოსაზრება, რაც წერილის დასაწყისში, ღურწკაიების სახლთან მიმართებაში ითქვა, მაგრამ ვერანაირად ვერ უარვყოფთ იმ ვერსიას, რომ გამსახურდიას მდევარმა, ჩვენთვის უცნობი საინფორმაციო წყაროებიდან, შესანიშნავად იცოდა გამსახურდიასა და მისი ჯგუფის გადაადგილების მიმართულება,** იცოდა მათი ადგილსამყოფელი, იცოდა ისიც, რომ გამსახურდია **ჯონსონ კვარაცხელიას** სტუმრობდა და, ალბათ, იცოდა ისიც, რომ **კვარაცხელიას** სახლიდან დევნილები **ღურწკაიების** სახლში გადავიდნენ. ამის გასაგებად კი სულაც არ იყო აუცილებელი მაინც და მაინც გამსახურდიას გარემოცვიდან ან მისი რომელიმე მეგზურიდან მიეღოთ ოპერატიული ინფორმაციები. როგორც ვთქვით, ჯიხაშკარსა და ძველ ხიბულაში მრავლად იყვნენ როგორც სპეცსამსახურის თანამშრომლები, ასევე მხედრიონელები. მათთვის კი საჭირო ინფორმაციის მიღება და გამსახურდიას ჯგუფზე კონტროლის დაწესება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ იმ მოსაზრებას, რომ ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც გამსახურდიას ლიკვიდაცია ჰქონდა დავალებული, დავალების მიმცემთა მოთხოვნით უნდა შეესრულებინათ ერთი აუცილებელი პირობა, კერძოდ, გამსახურდიას ლიკვიდაცია უნდა წარმოეჩინათ როგორც თვითმკვლელობა, ამ პირობის სისრულეში მოსაყვანად და მის განსახორციელებლად დროც და ადგილიც შესაფერისი უნდა აერჩიათ. როგორც ჩანს, ასეთ ადგილად ღურწკაიების სახლი იქნა მიჩნეული. ძნელი სათქმელია, რატომ და რა ნიშნით იქნა არჩეული ღურწკაიების სახლი გეგმის განხორციელებისთვის ყველაზე შესაფერის და მოხერხებულ ადგილად?

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მინდა ხაზგასმით განვაცხადო - ჩვენ კატეგორიულად გამოვრიცხავთ ზვიად გამსახურდიას თანმხლები პირების ან მეგზურების, ან ძველი თუ ახალი მასპინძლების რაიმე ფორმით კავშირს გამსახურდიას ლიკვიდაციის გეგმასთან და მიგვაჩნია, რომ ვინც ასეთი ჭორების გავრცელებით არის დაკავებული, ის არა მარტო ამ უდანაშაულო ადამიანებს აყენებს ჩრდილს, არამედ, ნებსით თუ უნებლიედ, ხელს უწყობს სინამდვილის გაყალბებას და სიმართლის მიჩქმალვას ზვიად გამსახურდიას ტრაგიკულ აღსასრულთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, მდევარი, ყოველ შემთხვევაში, მდევართა რომელიღაც ჯგუფი, კვალში მისდევდა გამსახურდიას და მის გადაადგილებას აკონტროლებდა. მათ ნებისმიერ დროს თავისუფლად შეეძლოთ პრეზიდენტისა და მისი მცირერიცხოვანი გუნდის განადგურება. ამის გაკეთება მათ შეეძლოთ გადაადგილების ამა თუ იმ მონაკვეთზე ჩასაფრებით, გნებავთ, რომელიმე იმ სახლზე პირდაპირი იერიშით, სადაც გამსახურდია იმყოფებოდა, მაგრამ მათ ეს არ მოიმოქმედეს, რადგან ამის ღიად და საჯაროდ გაკეთება აუცილებლად გამოიწვევდა როგორც საერთაშორისო დონის სკანდალს, ასევე სახალხო მღელვარების ახალ ტალღას.

ბოლოს და ბოლოს, ზვიად გამსახურდია ვინმე შარაგზის ყაჩაღი ხომ არ იყო - ის საქართველოს კანონიერი გზით არჩეული პრეზიდენტი გახლდათ და მას ისე თავხედურად და ღიად ვერ ესროდნენ, როგორც ესროლეს უამრავ პატრიოტ ქართველს.

სპეციალურად გავრცელებული ბლეფი გვგონია ის მოწოდებებიც, რომლებიც მაშინ ვრცელდებოდა დროებითი სამხედრო საბჭოს მიერ - ზვიად გამსახურდია შეეპყროთ და გაესამართლებინათ.

დავუშვათ და, ასეთი სასამართლო პროცესი რომ შემდგარიყო კიდევაც, დარწმუნებული ვართ, მისი პირველივე სხდომა თვით ამ პროცესის მომწყობთა საბრალდებო დასკვნად იქცეოდა. ეს ძალიან კარგად ესმოდათ როგორც სამხედრო საბჭოს წევრებს, ასევე იმ ძალებს, რომლებიც კულისებიდან მართავდნენ ამ ცინიზმით, დემაგოგიით, სისასტიკით გაჯერებულ დრამას.

ასე რომ, **გამსახურდიას გაუვნებელყოფის ორივე ვარიანტი, პირდაპირი ლიკვიდაცია ან გასამართლება და ციხეში გამომწყვდევა, ხელს არ აძლევდა ხუნტას და მის ზურგს უკან მდგარ ძალებს**. ორივე ვარიანტი ბუმერანგივით უკან შეიძლებოდა დაბრუნებოდა ამ ვარიანტების განმხორციელებლებს და შემსრულებლებს.

**რჩებოდა ერთადერთი, ყველაზე ოპტიმალური, ყველაზე მომგებიანი, უმტკივნეულო ვარიანტი - თვითმკვლელობა.** თვითმკვლელობა იყო ის, რაც პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა ხუნტას და მის სამართალმემკვიდრე მომავალ ხელისუფლებას.

თვითმკვლელობა, აი, ნანატრი და საამო გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან!

ზვიად გამსახურდიამ რატომღაც ნატვრა „შეუსრულა" თავის დაუძინებელ მტრებს და საკუთარი სიცოცხლე ისეთი ფორმით მიართვა მათ, რომ პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა ისინი, როგორც ისტორიის, ასევე ხალხის სამსჯავროს წინაშე.

რატომ გაუკეთა ასეთი საჩუქარი ზვიად გამსახურდიამ თავის პირსისხლიან მტრებს? მას, როგორც გონიერ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს, განა არ ესმოდა რა სამსახურს გაუწევდა თავისი თვითმკვლელობით მისი ქვეყნის ამაოხრებელ მანქურთებს?

რა თქმა უნდა, ესმოდა, **ამიტომაც, გამოიყურება აბსურდულად ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსია.**

კი მაგრამ, რა ვუყოთ ამ შემზარავი ამბის თვითმხილველთა იმ მტკიცებას, რომ ეს ყველაფერი მათ თვალწინ მოხდა. მითუმეტეს, რომ ეს თვითმხილველები გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლები არიან?!

**ალბათ, კიდევ ერთხელ გავაკვირვებ მკითხველს თუ ვიტყვი, რომ არავითარი თვითმხილველები და მოწმეები არ არსებობენ,** ხოლო რატომ არ არსებობენ ისინი, ამის დამტკიცებას წერილის მომდევნო თავებში შევეცდებით.

## ნატყვიარი საწოლზე მსხვილი პლანით




## გასროლა

**31 დეკემბერი, ღამის პირველის ნახევარი, სოფელი ძველი ხიბულა, ღურწკაიების სახლი. იდგა 1993 წლის 31 დეკემბრის შუაღამე, უფრო ზუსტად პირველის ნახევარი, როცა ღურწკაიების სახლის მეორე სართულზე, პრეზიდენტის საძინებელ ოთახში გასროლის ხმა გაისმა - პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა.**

**ასეთია ამ ტრაგედიის ოფიციალური, სამთავრობო ვერსია.**

**ამ ვერსიას ადასტურებენ იმ დროს იქ მყოფი ადამიანები - ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე.**

აი, როგორ ყვება ამ სამწუხარო ამბავს **ბაჩუკი გვანცელაძე** - გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი.

***„- ბაჩუკი, თქვენ უკანასკნელ წუთებამდე ზვიად გამსახურდიასთან იყავით. რა მოხდა მაშინ, დარწმუნებული ხართ, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა?***

*- დიახ!*

***- თქვენი თვალით ნახეთ თვითმკვლელობა?***

*- დიახ... თითქმის.*

***- რას ნიშნავს, თითქმის, თვითმკვლელობის სცენა თქვენი თვალით ნახეთ თუ არ გინახავთ?***

*- უშუალოდ თვითმკვლელობა არ მინახავს. მაგრამ პრაქტიკულად მაინც ჩემს თვალწინ მოხდა ყველაფერი. გასროლის ხმა გავიგეთ და მე და რობიზონ მარგველანი - პრეზიდენტის დაცვის უფროსი, იმავე წუთს შევვარდით პრეზიდენტის საძინებელ ოთახში.*

**- რომ გთხოვათ, გაჩუმდით და დაისვენეთო, იმის შემდეგ ალბათ დაგეძინათ.**

*- არა. ძილი ასე ადვილად არ მოდიოდა, მაგრამ ჩუმად ვიყავით. დაღლილ-დაქანცულებს, რა თქმა უნდა, ძილი გვინდოდა.*

**- მერე?**

*- დაახლოებით ნახევარი საათი იქნებოდა გასული, სროლის ხმა რომ გაისმა.*

**- ამ დროს ოთახში სრული სიბნელე იყო?**

*- არა. პრეზიდენტის ოთახში ნავთის ლამფა ბჟუტავდა. მკრთალი შუქი ჩვენს ოთახშიც აღწევდა.*

**- სროლის გარდა რამე სხვა ხმა თუ გაიგეთ, ან შეყვირება, ან რაღაც ამდაგვარი?**

*- არა. გავიგეთ მხოლოდ სროლის ხმა და იმავე წუთში გამსახურდიას ოთახში შევვარდით.*

**- რა ნახეთ?**

*- კარებთან ბესარიონ გუგუშვილი შემოგვეფეთა, იძახოდა, არიქა, რობიზონ, პრეზიდენტი ცუდად არისო. პრეზიდენტს ტუჩის კუთხეზე ჩამავალი შავი ზოლი შევნიშნე..."*

**- ესე იგი, პრეზიდენტ გამსახურდიას თვითმკვლელობის ფაქტში თქვენ ეჭვი არ გეპარებათ?**

*- არა. აქ რა ეჭვი შეიძლება არსებობდეს? პრეზიდენტს იარაღი ხელიდან თვითონ რობიზონმა აართვა. მას საფეთქელი ჰქონდა გახვრეტილი. ტყვია მეორე ყურის ძირში იყო გასული.*

**- გასროლის შემდეგ, როდესაც გამსახურდიას ოთახში შეხვედით, რა მდგომარეობაში ნახეთ იგი?**

*- იგი ოდნავ წამოწეული იყო საწოლზე, ისე,*

# რომელიც გამორიცხავს ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიას



*რომ ბალიშს მარცხენა მხრით ეყრდნობოდა. თავი საწოლის დაფაზე ჰქონდა მიდებული. იარაღიანი მარჯვენა ხელი ქამართან ჰქონდა ჩამოვარდნილი".*

*გასროლის მომენტში, როგორც თვითონ ამბობს, ბესარიონ გუგუშვილს ეძინა და რაღაცის დაცემის ხმამ გამოაღვიძა.*

*„რაღაც ბრაგვანის ხმამ გამომაღვიძა, ვხედავ, პრეზიდენტს თავი განზე აქვს გადავარდნილი", - ასე ჰყვება გუგუშვილი მომხდარს.*

შეშინებული გუგუშვილი მეორე ოთახისკენ გარბის ყვირილით: „არიქა, რობინზონ, პრეზიდენტი ცუდად არისო".

გუგუშვილი არ ამბობს, პრეზიდენტი მოკლეს ან თავი მოიკლაო, ის ამბობს, რომ პრეზიდენტი ცუდადაა, რაც აბსოლუტურად არ გამოხატავს მომხდარის შინაარსს ანუ ცუდად ყოფნა მაინც და მაინც იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე მოკლეს ან ვინმემ თავი მოიკლა.

რით შეიძლება აიხსნას გუგუშვილის ეს არაადექვატური სიტყვები? ახლადგამოღვიძებულმა გუგუშვილმა მართლაც ვერ გაარკვია, რა სჭირდა პრეზიდენტს, მიუხედავად იმისა, რომ მას „საფეთქელი ჰქონდა გახვრეტილი", „ტუჩის კუთხეზე შავი ზოლი" (სისხლის - ვ.ხ.) ჩასდიოდა, ხოლო „იარაღიანი მარჯვენა ხელი ქამართან ჰქონდა ჩამოვარდნილი".

ამ ქამართან ჩამოვარდნილ იარაღიან ხელს ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით, ახლა კი ისღა დაგვრჩენია ვიკითხოთ, **ზემოთ ჩამოთვლილი დეტალების შემდეგ რატომ ვერ მიხვდა გუგუშვილი, რომ პრეზიდენტი ცუდად კი არ გახლდათ, იგი მკვდარი იყო?**

ლოგიკური იქნებოდა, გუგუშვილს დაცვის ბიჭებისთვის ეთქვა, პრეზიდენტმა თავი მოიკლა ან პრეზიდენტი მოკლესო, მაგრამ ამის ნაცვლად ის სრულიად ალოგიკურ ფრაზას ამბობს.

ასეა თუ ისე, ცხადზე ცხადია, რომ გუგუშვილის დასახელება თვითმხილველად ან მოწმედ, აბსურდია - **მას არ დაუნახავს როგორ მოიკლა თავი გამსახურდიამ. მან მხოლოდ გამსახურდიას გარდაცვალება დააფიქსირა.**

ასევე არაფერი არ უნახავთ მარგველანსა და გვანცელაძეს. ის კი არა, საკითხავია, მართლა გასროლის ხმაზე წამოვარდნენ ისინი საწოლებიდან თუ გუგუშვილის ყვირილზე.

არც გუგუშვილს, არც მარგველანს, არც გვანცელაძეს არ უნახავთ, როგორ მოიკლა თავი გამსახურდიამ. ისინი ვერ ჩაითვლებიან ვერც თვითმხილველებად და ვერც მოწმეებად.

ამიტომაც არა აქვს მტკიცებულების სტატუსი მათ განცხადებებს, რომლებიც ვარაუდის და ვერსიის ფარგლებს ვერ სცილდება.

დასკვნის სახით ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია განვაცხადოთ: ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულის თვითმხილველი და მოწმე არ არსებობს.

**ის ჭრილობის დათვალიერება და აღწერა, რომელმაც პრეზიდენტის სიკვდილი გამოიწვია, სწორედ რომ საპირისპიროზე ანუ იმაზე მიგვითითებს და მიგვანიშნებს, რომ პრეზიდენტმა თავი კი არ მოიკლა, არამედ მოკლეს.**

**დათო ჯალაღონია,** ექიმი, რომელმაც პირველმა დაათვალიერა ცხედარი, ჭრილობას ასე აღწერს: **ტყვია შედიოდა მარჯვენა თვალის გასწვრივ, საფეთქელთან და გამოდიოდა, მარცხენა ყურის ძირთან, დაბლა.**

ანუ ტყვიის მოძრაობის ხაზი მიდის არა ქვემოდან მაღლა, არამედ მაღლიდან ქვემოთ, ალმაცერად. ტყვიის ამ უცნაურ, ალოგიკურ ტრაექტორიას, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს თვითმკვლელობის ალბათობა, მავანნი და მავანნი იმით ხსნიან, რომ ზვიად გამსახურდია მაღალი კაცი იყო, ჰქონდა გრძელი მკლავები და ადვილად შეიძლებოდა მას იარაღიანი მარჯვენა ისე მოეხარა და ტყვია ისეთი კუთხიდან ესროლა, რომ მას სწორედ ასეთი დაღმავალი ტრაექტორიით გაევლო თავის ქალა.

ამ მოსაზრების უსუსურობას ისიც აძლიერებს, რომ ტყვია ნასროლია არა მიბრჯნით, არამედ დაახლოებით 15-20 სანტიმეტრიდან, რის გამოც ცხედარს მარჯვენა საფეთქელთან ნატყვიარი ადგილი მხოლოდ ოდნავ ჰქონდა შეტრუსული.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანი, რომელმაც მტკიცედ გადაწყვიტა თავი მოიკლას, 15-20 სანტიმეტრიდან ესვრის საკუთარ თავს. უფრო ლოგიკურია, თუ ის იარაღის ლულას საფეთქელთან მიიბჯენს და ისე გაისვრის, ვინემ ის, რომ 15-20 სანტიმეტრიდან დაიმიზნებს, მითუმეტეს გამორიცხულია ეს, თუ ამ ადამიანს გრძელი მკლავი აქვს.

სწორედ იმან, რომ ტყვია ზემოდან ქვემოთ იყო ნასროლი, **ამ ტრაგიკული შემთხვევისთანავე დაბადა ვერსია, რომ მკვლელი წინასწარ იყო სხვენზე დამალული და საბედისწერო გასროლა სწორედ ჭერიდან მოხდა.**

ეს ვერსია ალბათ ბევრს მოუსმენია, მაგრამ ცოტას თუ უფიქრია იმაზე, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ავტორი.

ამ ვერსიის ავტორი შეიძლებოდა ის ადამიანი ან ადამიანები ყოფილიყვნენ, რომლებმაც თვითონ ნახეს ჭრილობა და ტყვიის მოძრაობის მკვეთრად დაბლა დაქანებული ხაზის გამო იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ტყვია ზემოდან, მაღლიდან იყო ნასროლი.

**მათ, როგორც ჩანს, ვერ დაუშვეს იმ ვერსიის არსებობა, რომლის დროსაც მკვლელი ჭერიდან კი არა, იქვე ახლოს, გამსახურდიას თავთან იდგა და გასროლაც ამ მდგომარეობიდან, ანუ მაღლიდან დაბლა, განახორციელა.**

ამ ვერსიის გამორიცხვა კი, ალბათ, იმან გამოიწვია, რომ მკვლელს, პრეზიდენტამდე რომ მიეღწია, ჯერ დაცვის ოთახი უნდა გაევლო, **დაცვას კი ეღვიძა, როგორც ამას თვით დაცვის წევრები ამტკიცებენ.** სხვა შესასვლელი პრეზიდენტის ოთახს არ ჰქონდა - კარები შიგნიდან იყო ჩაკეტილი, ფანჯრები კი დარაბებით დახურული.

ასე გაჩნდა ამ ვერსიაში ჭერი, სადაც მკვლელი იყო მოკალათებული და საიდანაც განხორციელდა გასროლა.

თუ ეს ვერსია სინამდვილეს შეეფერება, მაშინ იქვე ჩნდება კითხვა: **ვინ ჩაუდო მოკლულს პისტოლეტი „სტეჩკინი" მარჯვენა ხელში?** ეს იარაღიანი ხელი, როგორც **გვანცელაძე** ამბობს, გამსახურდიას ქამართან იყო ჩამოვარდნილი.



ფოტოზე ზემოთ: ***მათარა, რომლითაც წყალი დაჰქონდა ზვიად გამსახურდიას;*** ფოტოზე ქვემოთ მარჯვნივ: ***ჭიქები, რომლითაც უკანასკნელად დალია ჩაი პრეზიდენტმა;*** მარცხნივ — ***ჭიქა, რომლითაც წყალს სვამდა პრეზიდენტი.***

*ზურაბ დათუაშვილის ფოტოები*



ჭერიდან სროლის ვერსიას თუ ვირწმუნებთ, გამოდის რომ ჭერიდან სხვამ ისროლა, გამსახურდიას მარჯვენა ხელში კი იარაღი სხვამ ჩაუდო, ეს სხვა კი მხოლოდ ის ადამიანი შეიძლება ყოფილიყო, ვინც ან გამსახურდიას ოთახში იმყოფებოდა ან დაცვის ოთახში.

ამ ოპერაციის შედეგად ის სურათი რომ მიგვეღო, რაც გამსახურდიას საძინებელ ოთახში დაგვხვდა, მინიმუმ ორ კაცს მაინც უნდა ემოქმედა შეთანხმებულად - **ერთს ჭერიდან უნდა ესროლა, მეორეს კი მიცვალებულისთვის ხელში იარაღი უნდა ჩაედო, რისი გაკეთებაც მეორეს ნამდვილად გაუჭირდებოდა, რადგან ამ მეორის გარდა დაბლა კიდევ ორი ადამიანი იმყოფებოდა.**

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ კიდევ მივუტრიალდებოდით გვანცელაძის შემდეგ ფრაზას: „*იარაღიანი მარჯვენა ხელი ქამართან ჰქონდა ჩამოვარდნილიო*".

ამ ფრაზასთან ერთად ბარემ მეორე ფრაზაც გავიხსენოთ: „*პრეზიდენტს ხელიდან იარაღი თვითონ რობინზონმა აართვა*" (ეს ფრაზაც გვანცელაძეს ეკუთვნის).

- ეს როგორ? - გაიკვირვებს ალბათ ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც სჭერია „სტეჩკინი" ხელში და ერთხელ მაინც გაუსვრია ამ იარაღიდან - კაცმა თავი მოიკლა და იარაღი ისევ ხელში შერჩა? მერე ეს ხელი განზე კი არ გადაუვარდა, არამედ ქამართან ჩამოუვარდა?

ანალოგიურ სიტუაციაში, ასი შემთხვევიდან, ალბათ, ოთხმოცდაცხრამეტში ასეთი რამ მოხდებოდა: იარაღის უკუდარტყმა განზე გადააქანებდა ხელს, ხოლო ხელიდან იარაღი აუცილებლად ძირს დავარდებოდა ან, იატაკზე, ან საწოლზე (ეს ბოლო ვარიანტი ნაკლებად სავარაუდოა!)

კიდევ ერთხელ გავიაზროთ რაც მოხდა: **ზვიად გამსახურდიამ ტყვია საფეთქელში დაირტყა (არა მკერდში, არა მუცლის არეში), ტყვიამ ტვინი მეორე მხარეს გამოიტანა. ეს კი მომენტალური, წამიერი სიკვდილია, რომლის დროსაც მიცვალებულის კიდურები სწრაფად დუნდება და ჩვარივით ხდება.**

როგორ ავხსნათ პრეზიდენტ გამსახურდიასთან დაკავშირებული შემთხვევა? წამის განმავლობაში, მეყსეულად გარდაცვლილ პრეზიდენტს როგორ შერჩა უძალო მარჯვენაში იარაღი და ეს იარაღიანი მარჯვენა როგორ დაესვენა მის მუცელზე, ქამართან?

ჭრილობის აღწერა თვითმხილველის (ექიმის) მიერ, რითაც დასტურდება რომ გასროლა მიბრჯნით არ მომხდარა, ტყვიის ტრაექტორია და ქამართან დასვენებული იარაღიანი მარჯვენა სრულ საფუძველს გვიქმნის დავასკვნათ, რომ **გამსახურდიას თავი არ მოუკლავს, ის მოკლეს და უკვე მიცვალებულს ხელში იარაღი ჩაუდეს, და ეს გააკეთა არა გამსახურდიას რომელიმე თანამხლებმა პირმა, არამედ გარედან შემოსულმა სპეცსამსახურის პროფესიონალმა თანამშრომელმა.**

- კი მაგრამ როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? მართალია, გუგუშვილს ეძინა, მაგრამ დაცვას ხომ ეღვიძა?

## როგორც ჩანს, გუგუშვილთან ერთად დაცვასაც ეძინა. ეძინათ პირველ სართულზე მყოფ ადამიანებსაც.

**ამ ადამიანების ჩაძინება, თუნდაც დროებით „გამორთვა", დროის რაღაც მონაკვეთში, თანამედროვე საშუალებების პირობებში ადვილზე ადვილი საქმე გახლავთ.**

თუ სარწმუნოდ ჩავთვლით ჩვენს მტკიცებას, რომ ღურწკაიების სახლში მყოფ ადამიანებს ეძინათ (უფრო ზუსტად, ისინი დააძინეს), მაშინ იოლად გაეცემა პასუხი ყველა იმ კითხვას, რომლებიც ზემოთ დავსვით და რომლებზეც არგუმენტირებული პასუხები ვერ გავეცით.

დაცვას რომ ეძინა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მძინარე გუგუშვილმა გამოღვიძებაც მოასწრო, ადგომაც, იმის გარკვევაც, რომ პრეზიდენტი ცუდად იყო და ამის შემდეგ დაცვის ოთახისკენ, ბიჭების დასაძახებლად წასვლა.

დაცვა და გუგუშვილი ორი ოთახის დამაკავშირებელი კარის ზღურბლზე შეხვდნენ ერთმანეთს, არადა, მათ ერთმანეთისკენ ერთიდაიგივე მანძილი ჰქონდა გასავლელი.

მძინარემ მღვიძრებს ზღურბლთან მისვლა დაასწრო?!

**თუ დაცვის წევრებს ეძინათ, რატომ ამბობენ ისინი, გვეღვიძაო?**

**გვეძინაო რომ ეთქვათ, მაშინ ხომ ეს საჩოთირო კითხვაც დაისმებოდა: - პრეზიდენტი მოკლეს, თქვენ კი გეძინათო?**

**იქნებ ამ კითხვას მოარიდეს თავი დაცვის ბიჭებმა? ერთხელ დაცდენილმა ერთმა ფრაზამ კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა და კიდევ უფრო აბურდ-დაბურდა ისედაც ბნელით მოცული საქმე.**

კი ბატონო, თუ გნებავთ, ვირწმუნოთ დაცვის წევრების ნათქვამი და დავიჯეროთ, რომ მათ ეღვიძათ. მაგრამ ამას თუ გავაკეთებთ, მაშინ კვლავ ჰაერში გამოეკიდება უპასუხოდ დარჩენილი მრავალი კითხვა და სიტუაცია კვლავ აბსურდულ, ალოგიკურ ხასიათს მიიღებს.

●

ამ წერილში გამოთქმული მოსაზრებები, რა თქმა უნდა, ვერსიაა და მტკიცებულებისა და შეუვალი ჭეშმარიტების პრეტენზია არა აქვს.

**წერილში უფრო მეტად კითხვებია დასმული, რომლებიც, ვფიქრობთ, აუცილებლად გამოადგება გამოძიებას, რომელიც ადრე თუ გვიან შედგება და ამ კითხვების გარდა სხვა კითხვებზეც გასცემს კომპეტენტურ პასუხს.**

ფაქტი ერთია: ის ტრაგედია, რომელიც 1991 წლის 2 სექტემბერს დაიწყო და 1993 წლის 30-31 დეკემბრის ღამეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიკვდილით „დაგვირგვინდა", არა მხოლოდ ერთი პიროვნების, არამედ მთელი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება იყო.

ზვიად გამსახურდიასთან ერთად მაშინ საქართველოსაც დაუპირეს მოკვლა და ეს ნაწილობრივ შესძლეს კიდევაც...

საქართველოს დღესაც კლავენ, ოღონდ კლავენ არა ძველ ხიბულაში გამოყენებული პრიმიტიული ხერხით, არამედ სხვა ტაქტიკით, სხვა მზაკვრობითა და სხვა მეთოდით.

ეს ის სიკვდილია, პოეტის თქმისა არ იყოს, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია...

საქართველოში დღეს ხრწნის და ლპობის ამაზრზენი სუნი დგას.

ვინც ამას ვერ გრძნობს, ის უკვე მკვდარია, ოღონდ ამის შესახებ არაფერი იცის...

**ვახტანგ ხარჩილავა**

# როგორ გაგვაფრთხილა ზვიადმა



**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე 1991 წლის 8 ოქტომბერს**

**სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით:**

**...ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში სულ მცირე, რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ათეული პრეზიდენტის აღმოცენებას.** უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, ფრჩხილებს არ ვხსნი, ყველანი მიხვდით, ყველამ დაძაბეთ გონება და განსაკუთრებით გთხოვთ, ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, რამეთუ არ იცით, რას ითხოვთ... **ეს უახლეს ხანში გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის სრულ დეზინტეგრაციას და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და, კერძოდ, თბილისში და მე დაგიხატავთ თბილისს, თუ ეს ამბავი მოხდა.** აი, ასეთ შემთხვევაში **თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება** — შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები. **ყოველი უბანი იქნება თითო შეიარაღებული ბანდის ხელში...** მათ შორის ბრძოლა ძალაუფლებისათვის და ზეგავლენისათვის და იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა. **მოიშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები...** საქართველოსაც გადაედება შემდეგ ეს ტენდენცია და საქართველოშიც დაიწყება იგივე ლიბანიზაცია... **საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. აი, რა მოჰყვება ჩემს შესაძლო გადადგომას...**

...ეს არ არის მუქარა... ეს არ არის გადაჭარბება და ეს არ არის ჩემი პიროვნების, ვთქვათ, თავზე მოხვევა თქვენთვის, ანდა სურვილი, რომ მაინცდამაინც მე დავრჩე ამ პოსტზე, ჩემო ბატონებო, ეს არის რეალობა და მე გთხოვთ, გაახილოთ თვალი და გაუმართოთ თვალი აი, ამ რეალობას...

**ზვიად გამსახურდია**

**უკანასკნელ გზაზე**

# კაცი, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს ბალზამირება გაუკეთა

***დავით ჯალაღონია ჩხოროწყუდანაა, მაგრამ თავის დროზე ზუგდიდში დაუწყია მუშაობა ექიმად. იმავედროს ჯიხაშკარშიც უმუშავია. დავით ჯალაღონიას პიროვნებასა თუ პროფესიულ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯიხაშკარელებმა სახლი აუშენეს მას. მთელმა მოსახლეობამ ითავა, თურმე, ამ სახლის აშენება, თანაც სამი სოფლის — ჯიხაშკარის, ჭაქვინჯისა და ყულისკარის გზაგასაყარზე, რადგან ამ სამ სოფელს ემსახურებოდა იგი მაღალ პროფესიულ დონეზე.***

## დავით ჯალაღონია: რომ დავრწმუნდი, მიცვალებული ზვიადი იყო, ავღრიალდი!



ჯიხაშკარსა და ჯაღირაში ყოფნისას, ჩემმა რესპონდენტებმა დავით ჯალაღონია ხან კვარაცხელიად მოიხსენიეს, ხან - ჯალაღონიად, ხან თბილისში მუშაობსო, ხანაც - მოსკოვშიო. ამიტომ, ვწუხდი, როგორ მეპოვნა იგი. და აი, დავით ჯალაღონია თავად გამომეხმაურა ტელეფონით, შემდეგ კი რედაქციაში მესტუმრა.

**- ბატონო დავით, ნათელა ზარანდიამ ჯიხაშკარში ყოფნისას მითხრა, რომ მამათქვენი, თურმე, ისეთ წამლებს ამზადებს ბალახებისგან, რომ მიცვალებული კარგად ინახება. ეტყობა, თქვენც აკეთებთ ამ წამლებს და კარგი მკურნალიც ხართ, თორემ ასე რატომ შეგიყვარებდნენ ამდენი სოფლის მცხოვრებნი?**

- მთელი საიდუმლოება ამ ჩემდამი პატივისცემისა, იმ ერთ ფაქტს უკავშირდება, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ. ერთ-ერთ სოფელში ცოცხალმკვდარ ქალთან მიმიყვანეს, წამლები გავუკეთე და ხმა დამივარდა, - დათო მკვდრებს აცოცხლებსო.

**- ვინ მიგიყვანათ ზვიადის ცხედართან?**

- ანზორ მებონიამ და ჯონსონ კვარაცხელიამ მიმიყვანეს გარდაცვლილი ზვიადის ცხედართან და მადლობელი ვარ, ჩემი სახელი რომ იმ დროს არსად დასცდათ, თორემ ცოცხალს არავინ დამტოვებდა.

**- თქვენ ბალზამირება გაუკეთეთ ზვიადის ცხედარს. მართალია?**

- მიცვალებულთან 36 საათის შემდეგ მიმიყვანეს, ასე დიდი ხნის შემდეგ კი ძნელია ბალზამირება...

**- რა ჰქონდა თვალშისაცემი ზვიადის ცხედარს?**

- თვალშისაცემი ის იყო, რომ როდესაც ადამიანი კვდება, ორი საათის შემდეგ უკვე ხევდება, ზვიადის ცხედარი კი 36 საათის შემდეგაც არ იყო გახევებული. მე ექსპერტი არა ვარ, თერაპევტი გახლავართ და ზვიადის ცხედრისთვის, ასე მჯერა, არაერთ ექსპერტს უნდა ჩაეტარებინა ექსპერტიზა.

**- მაგრამ ეს ამბავი ხომ სრულიად საიდუმლო ვითარებაში ხდებოდა, რაზედაც თქვენ საუბრობთ?**

- ამიტომაც გეუბნებით, რომ ამ საიდუმლო ვითარებაში, მის ბალზამირებას ოთხსაათნახევარი მოვუნდი, რადგან ხუთგრამიანი შპრიცით ვმუშაობდი.

**- როგორი მიცვალებული იყო?**

- როგორც გითხარით, სხეული გახევებული არ იყო, მოძრავი თუ, როგორ გითხრათ, დრეკადი სხეული ჰქონდა...

**- რას აბრალებთ სხეულის ამ მდგომარეობაში ყოფნას?**

- ადრე მეგონა, რომ მოწამლული სხეული არ ხევდება, მერე ვაკვირდებოდი და ის დასკვნა გამოვიტანე, რომ დასუსტებული ორგანიზმი არ ხევდება.

**- საინტერესოა, რატომ არ მიგიყვანეს ზვიადთან გარდაცვალებამდე?**

- სხვათაშორის, სიკვდილამდე სამი დღით ადრე, გაუვალობა დამართნია და ვიღაც ექიმი მიუყვანიათ. თურმე, არაფრით მიუშვა ექიმი, რომ... მოკრძალებული ყოფილა ძალიან. გზა კიდევ ბლოკირებული იყო და ჩემამდეც ვერ მოუღწევიათ. მაშინ მეზობელი მეზობელთან ვერ მიდიოდა, ათასი შეიარაღებული ფორმირება იდგა და ჩემამდეც ვერ მოაღწიეს, იქნებ რაიმე მეშველა...

**- ბატონო დავით, ტელევიზიით ითქვა, თითქოს ზემოდან, რაღაც ღრიჭოდან აქვს ზვიადს ნასროლი. თქვენ რას იტყვით?**

- არა, ღრიჭოდან ნასროლს არ ჰგავდა.

**- ღურწკაიებმა როგორ აგიწერეს მკვლელობის ღამე?**

- მითხრეს, კარლო რომ ამოვიდა მეორე სართულზე და რომ ნახა, რაც მოხდა, გული წაუვიდაო.

**- გვერდით ოთახებში თუ იყო ვინმე?**

- არავინ. მახსოვს, რობიზონმა იმ უბედურების მერე უცებ შემოირბინა ყველა ოთახი. იქ რომ ვინმე დახვედროდა, აუცილებლად მეცოდინებოდა.

**- ე.ი. ანზორ მებონია და ჯონსონ კვარაცხელია მოვიდნენ და წაგიყვანეს ზვიადის ცხედრის ბალზამირებისათვის. რას განიცდიდით მაშინ?**

- მივდიოდი მათთან ერთად, მაპატიოს ღმერთმა და ვფიქრობდი, ნეტავი ზვიადის ცხედრის ნაცვლად სხვისი დამხვდებოდეს-მეთქი.

**- მერე, შეიცანით ზვიადი?**

- მე ტყის მხრიდან ამიყვანეს და ჯონსონის სამზადში დავინახე ყუთი. ეს ყუთი, ჩემს გონებაში, ზვიადის სიმაღლეს დავაზომე, ვფიქრობდი, ღმერთო, როგორ გადავიტანო-მეთქი ეს საშინელება...

**- იმ ყუთზე ამბობთ, რომლითაც ზვიადი დაკრძალეს ჯონსონისას?**

- იმაზე გეუბნებით. და რა შემზარავი იყო, როცა მივხვდი, რომ ამ ყუთში ჩაეტეოდა ზვიადი. მერე გუგუშვილი დავინახე, - წვერი გაპარსული ჰქონდა, სათვალე არ ეკეთა და ვერ ვიცანი. შევედი. სასტუმრო ოთახის იატაკზე, საკაცეზე, ზვიადი ესვენა და ზეწარი ეფარა. ვიცანი, ზვიადი იყო...

**- რითი იცანით?**

- ზვიადს ხომ პარეზი ჰქონდა ტუჩზე. სწორედ ის მეცა თვალში...

**- სხვა, სხვა რითი იცანით?**

- ის იყო და საეჭვო და საიმედოც აღარაფერი დარჩა...

**- წვერი ჰქონდა?**

- ასე, ერთი თვის წვერი ექნებოდა. რომ დავრწმუნდი ზვიადი იყო, ტირილი დავიწყე, უფრო კი - ავღრიალდი. ვერ მასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ ასეთი დიდი პიროვნებისთვის - კონსტანტინეს ვაჟისთვის - მე, დათო ჯალაღონიას, ბალზამირება უნდა გამეკეთებინა, როგორ უნდა გამეტარებინა მის ტვინში ბალზამი. აი, ამას ვფიქრობდი და უცებ ხმამაღლა ვთქვი, ვერა, ბალზამს ვერ გავუკეთებ-მეთქი. ისიც კი ვთქვი, სხვას მოვიყვან, ისეთ ვინმეს მოვიყვან, აზრზედაც ვერ მოვა, ვის უკეთებს-მეთქი ბალზამს.

**- ისეთი ვინ უნდა მიგეყვანათ, ზვიადი რომ ვერ ეცნო?**

- ასე კი ვფიქრობდი და... ამ დროს რობიზონი მოვიდა და მითხრა, ბიჭო, დაიწყე, რაო...

**- ბატონო დავით, ვიდრე ზვიადის ცხედართან მიგიყვანდნენ, იცოდით, რომ ზვიადი სამეგრელოში იყო?**

- ვიცოდი, როგორ არა. ის კი არადა, ჯონსონისას რომ იყო, წამალი დასჭირვებოდათ, კაცი გამოეგზავნათ, მე სახლში არ დავხვდი. მერე სხვისთვის გამოურთმევიათ წამალი.

**- რა წამალი?**

- მგონი ლევომიცეტინი.

**- რობიზონმა რომ გითხრათ, დაიწყეო, უცებ დაიწყეთ?**

- თაფლი მოვითხოვე. მინდოდა, მისი სხეული არ გაფუჭებულიყო და თაფლში შემენახა.

**- რამდენი კილოგრამი თაფლი დასჭირდებოდა?**

- ალბათ, ორასი კილო.

**- მერედა, ისე უცებ, იმდენი თაფლი საიდან უნდა მოეტანათ?**

- სამეგრელოში თაფლს კი არა, რას არ გაიღებდნენ ზვიადისთვის, სულაც მე თვითონ ვიშოვიდი, მაგრამ კუბო იყო ისეთი, თაფლს ვერ დაიჭერდა, თაფლი და წყალი ერთნაირად გასდის ჭურჭელს. წყალგაუმტარი უნდა ყოფილიყო კუბო. ერთი სიტყვით, გუგუშვილმა რომ ჩემი განცდები დაინახა, მიყურა, მიყურა და მერე მითხრა, დღეს შენგან საქართველო და პრეზიდენტი მოითხოვს და უნდა გააკეთოო ბალზამი. ავდექი და, ვაი, იმ დაწყებას, რომ დავიწყე. ბალზამირების ოსტატი მაინც და მაინც არ გახლავართ, მაგრამ რა მექნა, თანაც, მასალაც არ მქონდა. ჩემი მასალა იყო 5 გრამიანი შპრიცი და საბალზამო სითხე.

**- რა ერქვა თქვენს საბალზამო სითხეს?**

- ბიჭებმა საბალზამო სითხედ ფორმალინი მოიტანეს. ამას გარდა, საჭიროა წყალი და არაყი. ბალზამირება შეიძლება პიტნის ნაყენითაც.

**- პიტნის ნაყენით ბალზამირებას ვინ აკეთებდა?**

- თურქები. მაგრამ იანვარში პიტნის ნაყენს სად იშოვი! იძულებული ვიყავი და დავიწყე.

**- რითი დაიწყეთ?**

- ვარჩიე, კუნთები და ღრუები ბალზამით გამეჟღინთა...

**- თქვენ ბრძანეთ, 4 საათნახევარი მოვუნდიო. რატომ მოუნდით ასე დიდხანს?**

- იმიტომ, რომ ხუთგრამიანი შპრიცით ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს. თანაც, ვიმეორებ, როცა შენს წინაშეა ტყვიით მკვდარი შენი საყვარელი პიროვნება, პრეზიდენტი...

**- თუ შეიძლება მითხარით, ზუსტად სად ჰქონდა ტყვია პრეზიდენტს ნასროლი?**

- ზუსტად მარჯვენა საფეთქლის ოდნავ დაბლა, თვალის გასწვრივ, მოჩანდა შემავალი ტყვიის ადგილი და გამოდიოდა მარცხენა მხარეს, უკან, დვრილისებრ მორჩში და ყველაფერი გამონგრეული ჰქონდა. უცებ გავიაზრე, საწოლის თავზე არსებული ტყვიის ანაბეჭდი ემთხვეოდა თუ არა თვალის გასწვრივ ნასროლი ტყვიისას და მივხვდი, რომ ემთხვეოდა.

**- მერედა, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ნასროლი ტყვია სხეულიდან, უფრო სწორად, თავიდან გავიდა და ასე, საწოლზე შეიძლებოდა აღბეჭდილიყო?**

- ალბათ, შეიძლებოდა.

**- არ მიგაჩნიათ, რომ ძალზე არაბუნებრივად არის ტყვია ზვიადის თავში გავლილი?**

- თუ ეს მართლა თვითმკვლელობა იყო, ეტყობა, ასე იმიტომ დაიხალა, გუგუშვილს რომ არ მოხვედროდა.

**- ბატონო დავით, ჯონსონმა მითხრა და, მართლა ასე თქვით, პროფესიულად არისო ტყვია ნასროლი?**

- ბუნებრივია, თუ მოკლავდა, პროფესიონალი მოკლავდა, თუ თვითმკვლელობაა, მაინც ზუსტად არის ნასროლი.

**- როდესაც პირველად შეხედეთ, რა გაიფიქრეთ, თვითმკვლელობას ჰგავდა ეს საშინელება თუ მოკლულს?**

- ისეთი ავტორიტეტის ნათქვამი, როგორიც გუგუშვილია ჩემთვის, დაეჭვების საბაბსაც არ იძლეოდა. იმიტომ, რომ, თუ ისინი ასე ამბობდნენ, საეჭვო რაღა უნდა ყოფილიყო? ეჭვი, რომ სხვამ მოკლა, არ არსებობდა. ამასთანავე, მე, ექიმი მიმიყვანეს იქ და, ვალდებული ვიყავი, ყველაფერი დამემახსოვრებინა ზედმიწევნით და აი, თუნდაც, ამდენი ხნის შემდეგ, მომეთხრო თუნდაც თქვენთვის. რაც გითხარით, ასე იყო.

**- ტყვიის ტრაექტორიამ არ დაგაეჭვათ და იმ ტყვიის გზაზე არსებობს თუ არა რაიმე ძვალი, რომელიც გზას შეუცვლიდა ტყვიას?**

- მე, როგორც ექიმი, ვიმახსოვრებდი იმას, რაც ექსპერტს გამოადგება. აქედან გამომდინარე, შემიძლია ზუსტად ვთქვა აი, რა: იარაღი ზედ საფეთქელზე არ იყო მიდებული, ოდნავ შორიდან არის ნასროლი.

**- რითი ადასტურებთ?**

- რითი ვადასტურებ და იმით, რომ იმ თვალის გასწვრივ ძვალი დამტვრეული არ არის. დამწვარიც კი არ იყო, მაგრამ დენთის ნაკვალევი შეიმჩნეოდა. მიბჯენით ნასროლი რომ ყოფილიყო, ან ჩატყდებოდა, ან იარაღის ნაკვალევი გამოჩნდებოდა. თანაც, ტყვიის ზომის ნახვრეტი იყო და მეორე მხარეს გამონგრეული.

## ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, როგორ და რა ვითარებაში გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ამიტომ ექსპერტიზაა საჭირო!

**- თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ ნასროლი ტყვია ვერ იპოვეს?**

- დიახ, ვიცი.

**- ბატონო დავით, თქვენ იმ მომენტში კი დაიჯერეთ თვითმკვლელობის ვერსია, მაგრამ წლების განმავლობაში გაგიანალიზებიათ თუ არა, გიფიქრიათ თუ არა ამაზე, თვითმკვლელობის ვერსია ხომ არ უარგიყვიათ ტყვიის ტრაექტორიის გამო, თუნდაც, თქვენთვის, საკუთარი თავის წინაშე?**

- ამის შესახებ გამოკვეთილად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ იმაზე კი ბევრი მიფიქრია, ზვიადის სხეული გაშეშებული რომ არ იყო იმდენი ხნის განმავლობაში.

**- ბალზამირებისას რაიმე უცნაური ხომ არ შეგინიშნავთ?**

- უცნაური კი არა, იმ დვრილისებრ მორჩს რომ მივადექი, სადაც ტვინი გარეთ იყო გამოსული, ცუდად გავხდი და დაცვის ერთ-ერთ წევრს ვთხოვე, ამ ჟანეს შპრიცით შეუშვი-მეთქი წამალი.

**- ვინ როგორ იქცეოდა იმ დროს?**

- უკლებლივ ყველანი საოცარი ყურადღებით ექცეოდნენ მიცვალებულს, ცდილობდნენ მოწიწებით მოჰქცეოდნენ.

**- განსაკუთრებულს ხომ არაფერს გაიხსენებთ?**

- რადგან მე ისინი პირველად ვნახე, შეიძლება გვარი მეშლებოდეს, - მგონი, კეკენაძე იყო, მკერდზე ეფერებოდა, მისი ცრემლი ღვარად დასდიოდა ზვიადის მკერდს, კეკენაძე ამ ცრემლებს, თითქოს მკერდი უნდა რომ დაუზილოსო ზვიადს, ხელს უსვამდა, ტიროდა, ტიროდა, კვლავ ხელს უსვამდა მკერდზე დაღვრილ იმ ცრემლებს და ეუბნებოდა: აი, ეს შენ საქართველოსგან, ჩემგანო... ეს იყო სულის შემძვრელი, ამის დავიწყება არ შემიძლია. ამის შემდეგ გუგუშვილი მესაუბრებოდა.

**- რაზე გესაუბრებოდათ?**

- რაზე და იმაზე, რომ ზვიადს უთქვამს, ასე და ასე მოხდებაო, რის შემდეგ რა მოხდებოდა, წინასწარ უთქვამს, როგორც უთქვამს წინასწარ, ისედაც ახდა, თურმე, ყველაფერი.

**- ე.ი. ბალზამირების შემდეგ რომ დაკრძალეს, თქვენც ესწრებოდით დაკრძალვას?**

- არა, მე არ დავსწრებივარ დაკრძალვას, ვიმალებოდი, მერეც, წლების განმავლობაში, ყველას ვემალებოდი, ჟურნალისტებსაც.

**- როგორ მოხდა, რომ თქვენმა სახელმა აქამდე არსად გაიჟღერა?**

- ვთხოვე ამათ, რომ ჩემი სახელი არ ეხსენებინათ. დიდი მადლობელი ვარ, რომ არ გამამჟღავნეს, თორემ მძიმე ხვედრი მექნებოდა.

**- ერთი კვირის მერე რომ ვალიკო ზარანდიას ეზოში დაკრძალეს ზვიადი, იცოდით?**

- როგორ არ ვიცოდი. ბესარიონმა მე მკითხა, ვინ იყვნენ იქ სანდო ადამიანები, და მე მივუთითე ზარანდიებზე.

**- რატომ გახდა აუცილებელი, ჯონსონ კვარაცხელიას ეზოდან ზვიადის ცხედრის სხვაგან გადასვენება?**

- ჯონსონის ეზოში უკვე ბევრმა საეჭვო ადამიანმა მოიყარა თავი და მიცვალებულის იქ დატოვება სახიფათო შეიქნა.

**- ბოლოს რას გვეტყოდით?**

- ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, როგორ და რა ვითარებაში გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. ამიტომ ექსპერტიზაა საჭირო!

*ესაუბრა*
**ბელა შალვაშვილი**



საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას სიკვდილი კიდევ დიდხანს იქნება იდუმალებით მოცული. ცხადია, საინტერესოა ყოველი დეტალი, რის დაზუსტებაც ამ ფაქტთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდება. რაც უფრო მეტად გადაიწევს ისტორიის სიღრმეში ამ ტრაგიკული კაცის სიკვდილის თარიღი, მით უფრო ძნელი იქნება ფაქტების დაზუსტება. ჯერ კიდევ 1998 წელს შევხვდი ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრს — ბაჩუკი გვანცელაძეს და ვთხოვე, მოეყოლა ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის უკანასკნელი დღის ამბები. ბაჩუკი სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, ამიტომ საუბარმა კითხვა-პასუხის ხასიათი მიიღო.

*ვალერი კვარაცხელია*



# საქართველოს პირველი პრეზიდენტის უკანასკნელი დღე

**- ბაჩუკი, თქვენ უკანასკნელ წუთებამდე ზვიად გამსახურდიასთან იყავით, რა მოხდა მაშინ, დარწმუნებული ხართ, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა?**

- დიახ.

**- თქვენი თვალით ნახეთ თვითმკვლელობა?**

- დიახ... თითქმის.

**- რას ნიშნავს, თითქმის, თვითმკვლელობის სცენა თქვენი თვალით ნახეთ თუ არ გინახავთ?**

- უშუალოდ თვითმკვლელობა არ მინახავს, მაგრამ პრაქტიკულად მაინც ჩემს თვალწინ მოხდა ყველაფერი. გასროლის ხმა გავიგეთ და მე და რობინზონ მარგველანი - პრეზიდენტის დაცვის უფროსი, იმავე წუთს შევვარდით პრეზიდენტის საძინებელ ოთახში.

**- ეს ღამით მოხდა?**

- დიახ.

**- იმ დროს, ოთახში თქვენს გარდა, კიდევ იყო ვინმე?**

- არა.

**- პრეზიდენტის ოთახში?**

- იქ იყო ბესარიონ გუგუშვილი.

**- თქვენს ოთახებს ერთმანეთში გამავალი კარები ჰქონდა?**

- დიახ, უფრო სწორედ, ღია გასასვლელი ჰქონდა, კარი ჩამოხსნილი იყო.

**- რატომ იყო კარები ჩამოხსნილი?**

- არ ვიცი, ჩვენ ჩამოხსნილი დაგვხვდა.

**- ესე იგი, თქვენ თქვენი ოთახებიდან ერთმანეთს ხედავდით კიდეც.**

- დიახ!

**- პრეზიდენტისა და გუგუშვილის საწოლები თუ ჩანდა თქვენი ოთახიდან?**

- დიახ!

**- როცა თქვენ თქვენს საწოლებში იწექით, მაშინ თუ ჩანდა თქვენი ოთახიდან მათი საწოლები?**

- არა, ჩვენი საწოლებიდან მათი საწოლები არ ჩანდა.

**- თვითმკვლელობა დღის რომელ მონაკვეთში მოხდა?**

- 1993 წლის 31 დეკემბერს, ღამის პირველის ნახევარზე.

**- ამ დროს თქვენ გეძინათ?**

- არა, იმ საბედისწერო გასროლამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე დავწექით. მე და რობინზონი, პრეზიდენტი რომ არ შეგვეწუხებინა, ხმადაბლა ვლაპარაკობდით, მაგრამ მას ჩვენი ჩურჩულიც ესმოდა და გვთხოვა: გაჩუმდით, დასვენება მინდაო.

**- პრეზიდენტი და გუგუშვილი თუ ლაპარაკობდნენ მანამდე?**

- მანამდე პრეზიდენტი იწვა (იმ პერიოდში შიმშილობდა). გუგუშვილი კი, ბოლთას სცემდა. ხან ჩვენს ოთახში შემოდიოდა, ხან პრეზიდენტის ოთახში შედიოდა. საუბარიც საერთო გვქონდა.

**- საუბრის შინაარსი გახსოვთ?**

- ჩვენს ყოფით, ყოველდღიურ პრობლემებზე ვსაუბრობდით.

**- დაწოლამდე თუ იყო რამე მნიშვნელოვანი?**

- იყო. თუმცა მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. ჩვენმა მეგზურმა ჩუხუამ საჭმელი მოგვიტანა. (ეს ის ჩუხუაა, ვინც ჯიხაშკარიდან ხიბულაში გადაგვიყვანა). ჯიხაშკარი ზუგდიდის რაიონშია, ხიბულა - ხობის, მაგრამ მეზობელი სოფლებია.

**- ეს ხიბულაში თქვენი ყოფნის მერამდენე დღეა?**

- მესამე ან მეოთხე. საერთოდ, სამ-ოთხ დღეზე მეტ ხანს ერთ ადგილზე იშვიათად ვჩერდებოდით.

**- ე. ი. ხიბულადან უკვე წასასვლელად ემზადებოდით?**

- კი. მეორე დღეს, 31 დეკემბერს უნდა წავსულიყავით.

**- სად აპირებდით წასვლას?**

- ეს არ ვიცოდით, მეგზურზე იყო დამოკიდებული, თუ სად წაგვიყვანდა.

**- გამსახურდიამაც არ იცოდა?**

- პრეზიდენტმა ალბათ იცოდა, ეს ჩვენი საქმე არ იყო.

**- წეღან რაღაც მნიშვნელოვანი საუბარიახსენეთ. იქ შეჩერდით, მეგზურმა რომ საჭმელი მოგიტანათ... მერე რა მოხდა?**

- პრეზიდენტმა გვითხრა, მეგზურთან მარტო დამტოვეთო.

**- თქვენც დატოვეთ?**

- რა თქმა უნდა.

**- ესე იგი, მეგზურს ბოლომდე ენდობოდით?**

- რასაკვირველია, სხვა გზა არც გვქონდა.

**- რამდენ ხანს იყვნენ მარტო?**

- დაახლოებით თხუთმეტი წუთი. შემდეგ მეგზური გამოვიდა და ჩვენ ისევ პრეზიდენტთან შევედით.

**- და ის რა იყო, რაც ახლა მნიშვნელოვანი გგონიათ?**

- პრეზიდენტმა გვითხრა, ამაღამ დაისვენეთ, ხვალ ადგილი უნდა გამოვიცვალოთო. შემდეგ რობინზონს უთხრა: შენ მაგარი ბიჭი ხარ, რაც არ უნდა მოხდეს, არ შეგეშინდეთ, არ დაიბნეთ... აქ დამმარხეთო.

**- და თქვენ ამ ნათქვამს განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიანიჭეთ?**

- არა. ეს საერთო სიტუაციის გამოძახილად მივიჩნიეთ. მართლაც ყოველ წუთს შეიძლებოდა რაღაც მომხდარიყო. იმ დღეებში სამთავრობო ფორმირებების ხალხმა ნარაზენში ორი ბიჭი მოკლა. ჩვენ კრიტიკულ სიტუაციაში ვიყავით და ამ ფონზე პრეზიდენტის ნათქვამი უჩვეულოდ და უცნაურად არ მოგვჩვენებია. პრეზიდენტის თვითმკვლელობაზე არც გვიფიქრია. ეს წარმოუდგენლად მიგვაჩნდა.

**- რატომ? ამ მდგომარეობაში მყოფი კაცისგან...**

-პრეზიდენტი ხომ ღრმადმორწმუნე ქრისტიანი იყო.

**- რომ გთხოვათ გაჩუმდით და დაისვენეთო, იმის შემდეგ ალბათ დაგეძინათ.**

- არა, ძილი ასე ადვილად არ მოდიოდა, მაგრამ ჩუმად ვიყავით. დაღლილ-დაქანცულებს, რა თქმა უნდა, ძილი გვინდოდა.

**- მერე?**

- დაახლოებით ნახევარი საათი იქნებოდა გასული, სროლის ხმა რომ გაისმა.

**- ამ დროს ოთახში სრული სიბნელე იყო?**

- არა. პრეზიდენტის ოთახში ნავთის ლამფა ბჟუტავდა. მკრთალი შუქი ჩვენს ოთახშიც აღწევდა.

**- სროლის გარდა რამე სხვა ხმა თუ გაიგეთ, ან შეყვირება, ან რაღაც ამდაგვარი?**

- არა. გავიგეთ მხოლოდ სროლის ხმა და იმავე წუთში გამსახურდიას ოთახში შევვარდით.

**- რა ნახეთ?**

- კარებთან ბესარიონ გუგუშვილი შემოგვეფეთა, იძახოდა, არიქა რობინზონ, პრეზიდენტი ცუდად არისო. პრეზიდენტს ტუჩის კუთხეზე ნიკაპისკენ ჩამომავალი შავი ზოლი შევნიშნე. რობინზონი მაშინვე მასთან მივარდა, მე და გუგუშვილი პანიკაში ჩავვარდით. მასპინძელი ამოვარდა ყვირილით (ჩვენ მეორე სართულზე ვიყავით). შეიქნა ალიაქოთი.

**- იმ ოთახში რამდენი საწოლი იდგა?**

- ორი საწოლი, ერთში პრეზიდენტი იწვა, მეორეში - ბესარიონ გუგუშვილი.

**- საწოლები ცალ-ცალკე იდგა თუ დაწყვილებული?**

- დაწყვილებული.

**- ხის საწოლები იდგა, თუ რკინის, ძველებური?**

- ხის საწოლები იდგა, ახალი.

**- ორივე საწოლთან ცალ-ცალკე მისვლა შეიძლებოდა თუ ერთი კედელს ებჯინებოდა?**

- არა, ორივე საწოლი კედლიდან დაცილებით იდგა.

**- მერე რა მოხდა?**

- რობინზონმა იყოჩაღა, რაც მიცვალებულს სჭირდება, ყველაფერი წესის მიხედვით გააკეთა.

**- ესე იგი, პრეზიდენტ გამსახურდიას თვითმკვლელობის ფაქტში თქვენ ეჭვი არ გეპარებათ?**

- არა. აქ რა ეჭვი შეიძლება არსებობდეს? პრეზიდენტს იარაღი ხელიდან თვითონ რობინზონმა აართვა. მას საფეთქელი ჰქონდა გახვრეტილი. ტყვია მეორე ყურის ძირში იყო გასული. გახვრეტილი იყო საწოლის თავი. ვეძებეთ, მაგრამ ტყვია ვერსად ვიპოვეთ.

**- რა იარაღი იყო?**

- სტეჩკინი.

**- ეს პრეზიდენტის იარაღი იყო?**

- კი, პირადი იარაღი იყო.

**- თქვენ, როგორც დაცვას, იარაღის ჩამორთმევა ხომ არ გიცდიათ?**

- კი, რობინზონმა პირდაპირ რომ ვერ გაუბედა, ასე უთხრა: ეგ იარაღი ოთახში უფრო ადვილი გამოსაყენებელია და თანაც სულ ავტომატი რომ არ მეჭიროს ხელში, მე მათხოვეთო. პრეზიდენტმა უპასუხა: აქ რომ რამე მოხდეს, შენთან ხომ არ გამოვიქცევიო, მე სროლაც კარგი ვიცი და ბრძოლაცო. მეტი არც გვიცდია, ძალით ხომ არ წავართმევდით იარაღს.

**- იარაღის გამოყენება იცოდა?**

- კი, იცოდა.

**- შემდეგ რა მოხდა?**

- პრეზიდენტის ცხედარი მეორე დღეს საღამოს ჯიხაშკარში გადავასვენეთ?

**- მანქანით?**

- არა, ტრაქტორით.

**- რა ტრაქტორი იყო, მუხლუხა?**

- არა, ბორბლებიანი ტრაქტორი.

**- მანქანა ვერ იშოვეთ?**

- ასე უფრო უსაფრთხო იყო.

**- პროცესია გასაიდუმლოებული იყო?**

- დიახ, პროცესია გასაიდუმლოებული იყო.

**- ჯიხაშკარში ისევ იქ მიხვედით, სადაც ადრე იყავით?**

- დიახ.

**- და პრეზიდენტის ცხედარი იქ დაკრძალეთ?**

- პრეზიდენტის ცხედარი ჯიხაშკარში დავკრძალეთ.

**- რამდენი კაცი იყავით?**

- რვა კაცი. დაკრძალვა ღამის ორ საათზე მოხდა.

**- ამ რვა კაციდან ყველა სანდო და ახლობელი იყო?**

- დიახ.

**- რომელიმესთვის რამე უცნაური ქცევა ხომ არ შეგიტყვია, ან ლაპარაკი, ან ზედმეტი გაღიზიანება?**

- ყველანი მძიმე დღეში ვიყავით. რომ გამოვყო რომელიმე მათგანის უცნაური ქცევა ან ლაპარაკი, არ შემიძლია.

**- ამ დროს რას აკეთებდა ბესარიონ გუგუშვილი?**

- ისიც ჩვენს გვერდით იყო და ისევე იქცეოდა, როგორც თითოეული ჩვენგანი.

**- გამსახურდია და გუგუშვილი გვერდიგვერდ საწოლებში იწვნენ. როგორ ახსნით იმას, რომ გამსახურდიას გადაწყვეტილება თვითმკვლელობის შესახებ, ან იარაღის აღება, ან ჩახმახზე შეყენება გუგუშვილმა ვერ გაიგო?**

- ეს ალბათ ასე შეიძლება აიხსნას: პრეზიდენტს გადაწყვეტილება წინასწარ ჰქონდა მიღებული. გამზადებული იარაღი ბალიშსქვეშ ედო და როდესაც გუგუშვილს ჩაეძინა, მან თავისი გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა.

**- გასროლის შემდეგ, როდესაც გამსახურდიას ოთახში შეხვედით, რა მდგომარეობაში ნახეთ იგი?**

- იგი ოდნავ წამოწეული იყო საწოლზე ისე, რომ ბალიშს მარცხენა მხრით ეყრდნობოდა. თავი საწოლის დაფაზე ჰქონდა მიდებული. იარაღიანი მარჯვენა ხელი ქამართან ჰქონდა ჩამოვარდნილი. ეტყობა გასროლის წინ ისეთი მდგომარეობა მიიღო, რომ მისი სხეულიდან გასული ტყვია გვერდით საწოლში გუგუშვილს არ მოხვედროდა.

**- ახლა ათასი ჭორი დადის. ეჭვი გუგუშვილზეც მიიტანეს, დაცვაზეც, პირადად თქვენზეც...**

- ჩვენ პრეზიდენტისთვის თავი გავწირეთ, ყველაფერი გავაკეთეთ, სიცოცხლე არ დაგვიზოგავს. გვჯეროდა, რომ სამშობლოს და საქართველოს კანონიერ პრეზიდენტს ვიცავდით. ასე გვჯერა დღესაც. არ ვიცი, ვის სჭირდება ამგვარი ჭორების გავრცელება, რომელიც არა მარტო ჩვენ, არამედ თვითონ პრეზიდენტის ხსოვნასაც შეურაცხყოფს.

**- რა აზრის ხართ პრეზიდენტის თვითმკვლელობაზე, თუკი ეს მართლაც თვითმკვლელობა იყო?**

- პრეზიდენტის უკანასკნელ ნაბიჯსაც მე ვაჟკაცობად ვთვლი. მას სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა, ბევრი შეცდომა დააშვებინეს. სხვათაშორის მისმა ოჯახმა და გარემოცვამაც. ამ ფონზე მისი ასეთი აღსასრული გამართლებული, უფრო სწორად, ერთადერთი, აუცილებელი ნაბიჯი იყო. დღეს ჩვენს წინააღმდეგ ტალახის სროლა სრული უზნეობაა, მაგრამ ამ უზნეობას იმით არ ვუპასუხებთ, რომ იგი ბოლომდე გავაშიშვლოთ, რადგან პრეზიდენტ გამსახურდიას ხსოვნა თუ ძვირფასია ჩემთვის, მისი ოჯახიც ძვირფასი უნდა იყოს. მე ყველას ვთხოვ, ჩვენს ამ კაცურ დამოკიდებულებას ბოროტად ნუ გამოიყენებენ.

**- წეღან თქვით, პრეზიდენტი ბევრ რამეში შეაცდინესო, კონკრეტულად რას გულისხმობდით?**

- ეს სხვა დროს იყოს. ჯერ ყველაფრის თქმის დრო არ დამდგარა.

**- სათქმელი ბევრი გაქვთ?**

- ბევრი, ძალიან ბევრი...

**ვალერი კვარაცხელია**

***დიდია საზოგადოების ინტერესი ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაღუპვიდან ათ წელზე მეტი გავიდა, ქართველმა ხალხმა დღემდე არ იცის, სინამდვილეში რა მოხდა 1993 წლის 30-31 დეკემბრის ავბედით ღამეს, არადა, იმ ღამეს კიდევ ერთხელ დამთავრდა „ეპოქა დიდი" და დაიწყო რეგრესის, დაცემის, დაკნინების, ქართული სულიერების დეგრადაციის უმძიმესი ხანა, რომელიც დღემდე გრძელდება. ქართველი ხალხი უფლებამოსილია, იცოდეს არა მხოლოდ ის, თუ რა მოხდა კონკრეტულად იმ საბედისწერო ღამეს, არამედ ისიც, თუ ვინ ამზადებდა ამ ტრაგედიას, რომელიც საქართველოსთვის ერთ უსაშველოდ გაწელილ, გაუთენებელ ღამედ იქცა.***

# ოთხი ვერსიის

საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების მიხედვით, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა.

ამასვე ადასტურებენ ის პირებიც, რომლებიც იმ ღამეს თან ახლდნენ პრეზიდენტ გამსახურდიას და რომლებიც ამ სამწუხარო ფაქტის თვითმხილველებად და მოწმეებად ითვლებიან: **ბესარიონ გუგუშვილი, როზინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე,** თუმცა, როგორც სავსებით მართებულად აღნიშნავს **ვახტანგ ხარჩილავა** წერილში **„სენსაციური დასკვნა, რომელიც გამორიცხავს ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის ვერსიას",** ეს პირები არ შეიძლება თვითმხილველებად ან, მითუმეტეს, მოწმეებად ჩაითვალონ, რადგან არცერთ მათგანს არ უნახავს - როგორ მოიკლა თავი ზვიად გამსახურდიამ. ერთს - **გუგუშვილს, ეძინა, ხოლო მარგველანი და გვანცელაძე მეორე ოთახში იმყოფებოდნენ.** მათ მხოლოდ მოკლული პრეზიდენტის ცხედარი ნახეს და არა ის მომენტი, როდესაც გამსახურდიამ თვითონ ესროლა საკუთარ თავს, ანუ მათ თვითმკვლელობის ფაქტი არ უნახავთ.

დასკვნას, რომ ზვიად გამსახურდიას ტრაგიკულ აღსასრულს თვითმხილველები არ ჰყავს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ის, ფაქტობრივად, საფუძველს აცლის გამსახურდიას სიკვდილის თვითმკვლელობად გამოცხადების მცდელობას.

ჩვენ ამ წერილს მოგვიანებით მივუბრუნდებით, ახლა კი უბრალოდ იმ ვერსიებს ჩამოვთვლით, რომლებიც ზვიად გამსახურდიას საიდუმლოებით მოცული აღსასრულის გარშემო დღემდე არსებობს საზოგადოებაში.

ვერსია I: **ზვიად გამსახურდია გროზნოში, ჯოჰარ დუდაევის კაბინეტში მოკლეს.**

ვერსია II: **ზვიად გამსახურდია ცოცხალია.**

ვერსია III: **ზვიად გამსახურდია სოფელ ძველ ხიბულაში მოკლეს.**

ვერსია IV: **ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა.**

ცხადია, მაშინ, როდესაც არ არსებობს კვალიფიციური გამოძიების მიერ გამორკვეული და ასევე კვალიფიციური ექსპერტიზის მიერ დამტკიცებული დასკვნა ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებათა შესახებ, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ვერსიას არსებობის უფლება აქვს და რომელიმე მათგანის კატეგორიულად უარყოფა ან ასევე კატეგორიული ტონით რომელიმე მათგანის ჭეშმარიტებად გამოცხადება შეუძლებელია. თუმცა სხვა ამბავია, ამ ვერსიებიდან რომელი უფრო ჰგავს სინამდვილეს და რომელი უფრო ექვემდებარება ლოგიკას.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც - ამ სხვადასხვა ვერსიას ზოგჯერ ბევრი გადაკვეთის წერტილი აქვს. ისინი არამარტო გამორიცხავენ ერთიმეორეს, არამედ ხანდახან ერთმანეთს ავსებენ კიდევაც და ერთი ვერსია მეორის გაგრძელებად გვევლინება.

ეს არ შეიძლება შემთხვევით ხდებოდეს. **გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ ვერსიების პირველწყაროდ ერთი და იგივე სამსახური, უფრო ზუსტად, ერთი და იგივე სპეციალური უწყება ვივარაუდოთ, რომელიც ასეთ შემთხვევებში ერთი და იგივე ფაქტის შესახებ თვითონვე თხზავს და საზოგადოებაში ავრცელებს რამდენიმე სხვადასხვა შინაარსის ინფორმაციას, რომელიც ამ ფაქტს, ასე ვთქვათ, სხვადასხვა რაკურსით აშუქებს.** თითოეულ ინფორმაციაში აუცილებლად არის ჩადებული ისეთი მოსაზრება, რომლის გაბათილება და სათანადო არგუმენტებით უარყოფა შეუძლებელია.

გათვლა მარტივია: საზოგადოებაში ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც ამ შეთხზული ვერსიიდან რომელიმეს უტყუარ სინამდვილედ მიიჩნევენ.

ასე მაგალითად, **ადამიანთა ერთ კატეგორიას სჯერა, რომ ზვიად გამსახურდიას არც თავი მოუკლავს და არც ვინმეს მოუკლავს, იგი - ზვიად გამსახურდია ცოცხალია!**

**ადამიანთა მეორე კატეგორია თვლის, რომ ის მართლაც გროზნოში მოკლეს.**

**კიდევ სხვებს მიაჩნიათ, რომ გამსახურდია გროზნოში კი არა, ხიბულაში მოკლეს.**

**სხვებს მიაჩნიათ, რომ გამსახურდია საკუთარი ნებით განეშორა ამ წუთისოფელს.**

აი, ასე! ყველა ვერსიას თავისი „მომხმარებელი" ჰყავს, ანუ საინფორმაციო ბაზარზე ყველანაირი სახის ინფორმაციული პროდუქციაა გატანილი და აქედან ვისაც რა უნდა, იმას აირჩევს.

საზოგადოება რამდენიმე ჯგუფად იყოფა, რომლებიც დარწმუნებულნი არიან რა მათ მიერ გამორჩეული ვერსიის უტყუარობაში, კატეგორიული ტონით უარყოფენ ყველა სხვა მოსაზრებას.

რაც უფრო მეტს იდავებენ და იკამათებენ ერთმანეთში ეს ჯგუფები, რაც უფრო მეტად დაიწყებენ სიმართლედ მიჩნეული რომელიმე ვერსიის დაცვას, მით უფრო შორს გადაიწევს ნამდვილი სიმართლის გაგების და დადგენის მომენტი.

ზემოთ ნახსენები უწყების მიზანი მიღწეულია...

**ჩვენს შემთხვევაში, ჩამოთვლილი ოთხი ვერსიიდან, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი შეესაბამება სინამდვილეს, დანარჩენი სამი კი იმისთვის არსებობს, რომ სინამდვილის გამომხატველი ის ერთი ინფორმაცია ეჭვქვეშ დადგეს.**

ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს ოთხივე ვერსია ერთდროულად გაჩნდა, ერთდროულად დაიბადა და აგერ, მეთერთმეტე წელი იწურება, გვერდიგვერდ „მშვიდობიანად თანარსებობს" ჩვენი საინფორმაციო საშუალებების ფურცლებზე თუ ეკრანებზე.

ყოველივე ამაში კი დამნაშავე ქართული სახელმწიფოს გუშინდელი და ნაწილობრივ დღევანდელი ხელისუფლებაა, რომლებსაც არაფერი გაუკეთებიათ სინამდვილის დასადგენად.




## ვერსია I: ზვიად გამსახურდია გროზნოში, ჯოჰარ დუდაევის კაბინეტში მოკლეს!

ეს ვერსია საინფორმაციო ბაზარზე ზვიად გამსახურდიას სიკვდილიდან რამდენიმე კვირაში გაჩნდა.

დააკვირდით ერთ გარემოებას: **ვერსიაში ზოგადად კი არ არის ნათქვამი, რომ გამსახურდია გროზნოში მოკლეს, არამედ ზუსტად არის მითითებული ადგილი, სადაც გამსახურდიას მკვლელობა მოხდა - ეს არის ჯოჰარ დუდაევის, იჩქერიის პრეზიდენტის, გამსახურდიას ერთგული მეგობრის კაბინეტი.**

არა ზოგადად იჩქერიის პრეზიდენტის რეზიდენცია, ან რომელიმე ოთახი ამ რეზიდენციაში, არამედ სწორედ ჯოჰარ დუდაევის კაბინეტი - ასეთი „ზუსტი" მისამართი აქვს მკვლელობის ადგილს.

მკვლელობის ადგილად მაინცდამაინც დუდაევის კაბინეტის მითითებას, როგორც ჩანს, თავისი მიზანი და დანიშნულება ჰქონდა, ის თავისთავში შეიცავდა კიდევ ახალ ვერსიას, ანუ თემას განსჯისათვის. ეს ახალი ვერსია ძირითად ვერსიაში ჩადებული იყო როგორც ქვეტექსტი, როგორც სქოლიოში ჩატანილი დაშიფრული აზრი, რომელიც მკითხველს თუ მსმენელს თვითონ უნდა აღმოეჩინა.

რა თქმა უნდა, **მკვლელობის ადგილად ჯოჰარ დუდაევის კაბინეტის გამოცხადება ადამიანს იმწამსვე აფიქრებინებს, რომ გამსახურდია უშუალოდ დუდაევმა მოკლა, ან ის მისი პირდაპირი დავალებით ვიღაცას მოაკვლევინა.** სხვა ახსნა ამ ფაქტს არ აქვს. დუდაევის კაბინეტი მოსაცდელი დარბაზი ხომ არ იყო, რომ იქ ყველა გამვლელ-გამომვლელს შესძლებოდა შესვლა ან გამოსვლა?! იგულისხმება, რომ დუდაევის კაბინეტში შესვლა მხოლოდ დუდაევის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილ პირებს შეეძლოთ და ისიც უსაფრთხოების სათანადო პროცედურის დაცვით.

**რატომ უნდა მოეკლა დუდაევს გამსახურდია?** ერთ-ერთ მიზეზად სახელდებოდა ყოვლად ბინძური და მკრეხელური მოტივი, რომლის განმეორებას აქ არ ვაპირებთ.

ამ ვერსიის მეორე, სამარქაფო ვარიანტის მიხედვით, ზვიად გამსახურდია დუდაევის კაბინეტში კი მოკლეს, მაგრამ არა დუდაევმა და მისმა ხალხმა, არამედ **მოკლა ქართველმა, მისი დაცვის ერთ-ერთმა წევრმა.**

**მკვლელობის მოტივად „პირველწყარო" ასახელებდა იმ უთანხმოებას, რომელიც თურმე გამსახურდიას და მისი გარემოცვის ზოგიერთ წარმომადგენელს შორის წარმოიშვა საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით.** გამსახურდიას ოპონენტებს მიაჩნდათ, რომ გამსახურდიას დაბრუნება საქართველოში და მისი მომხრეების აფხაზეთის კონფლიქტში ჩაბმა, საქართველოში სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის გაჩაღების საბაბი შეიძლებოდა გამხდარიყო.

გამსახურდია ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმებოდა თურმე და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოში ჩამოსვლა.

დუდაევის კაბინეტში ერთ-ერთი ასეთი ცხარე პოლემიკის დროს, როცა გამსახურდიამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია, მასთან მივიდა მისი დაცვის ერთ-ერთი წევრი და თავში ესროლა მას.

გამსახურდია ადგილზე გარდაიცვალა.

**ამის შემდეგ ცხედარი საქართველოში ჩამოასვენეს, ღურწკაიების სახლში გაითამაშეს გამსახურდიას თვითმკვლელობის სცენა, მერე კი ცხედარი კვლავ გროზნოში წაასვენეს.**

კი მაგრამ გამსახურდია გროზნოში თუ მოკლეს, მაშინ ვინ იყო ის, ვინც საქართველოში ჩამოვიდა? ვინ იყო ის, ვინც მრავალათასიან მიტინგებზე გამოდიოდა, ვინც საკმაოდ მრავალრიცხოვან შეიარაღებულ არმიას სარდლობდა და ბოლოსდაბოლოს, ვინ იყო ის, ვინც უკვე რამდენიმე კაცთან დარჩენილი, ოჯახიდან ოჯახში გადაჰყავდათ და ვინც ღურწკაიების სახლში გაურკვეველ ვითარებაში თავი მოიკლა? (თუ მოკლეს?).

ამ კითხვაზე ასე პასუხობენ: **ვინ იყო და, ზვიად გამსახურდიას ორეული!**

სწორედ ეს ორეული ატარებდა თურმე ამ მიტინგებს, იღებდა გადაწყვეტილებებს, სარდლობდა ჯარს. სწორედ ამ ორეულს იფარავდნენ თურმე ოჯახები სამეგრელოში და სწორედ ამ ორეულმა მოიკლა თურმე თავი ღურწკაიების სახლში.

სხვათაშორის, გამსახურდიას ორეული იმ ვერსიაშიც ჩნდება, რომლის მიხედვითაც ნამდვილ ზვიად გამსახურდიას არც თავი მოუკლავს და არც ვინმე სხვას მოუკლავს იგი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ის საქართველოში საერთოდ არ დაბრუნებულა - საქართველოში მისი ორეული ჩამოვიდა.

მოდით, **ამ ვერსიის დეტალურ განხილვას და მასზე სერიოზულ მსჯელობას ნუ შევუდგებით, მაგრამ ერთი რამ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: ამ ვერსიის შემთხზველებმა სცადეს რამდენიმე კურდღელი ერთი გასროლით მოეკლათ. კერძოდ, მათ სცადეს ჩრდილი მიეყენებინათ დუდაევისა და გამსახურდიას ლეგენდად ქცეული მეგობრობისთვის, ეჭვი და უნდობლობა დაეთესათ ქართველი და ჩეჩენი ხალხების ურთიერთობაში, საშინელი დანაშაული დაებრალებინათ გამსახურდიას თანამებრძოლებისა და თანამოაზრეებისთვის, რომელთაგან ერთმა მოკლა პრეზიდენტი, სხვებმა კი ნამუსი შეუნახეს მკვლელს და მომხდარი ქართველ ხალხს არ ამცნეს, რითაც ყველა, ვინც გამსახურდიას ახლდა გროზნოში, დანაშაულის თანამონაწილედ უნდა ჩაითვალოს. რაც მთავარია, ჩირქის მოცხება სცადეს თვით ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრებზეც, რომლებმაც, თურმე ასევე დამალეს სიმართლე და ა.შ.**

ფაქტია, რომ ეს არის აშკარად პროვოკაციული, ძალზე სახიფათო და აგრესიული ვერსია, რომელშიც შორს მიმავალი ავანტიურა და ანტისახელმწიფოებრივი მიზნებია ჩადებული.

სამწუხაროა, რომ ეს პროვოკაციული ვერსია კიდევ ერთხელ გამოჩნდა ერთ-ერთი სოლიდური ქართული გაზეთის ფურცლებზე, რომლის პირველ გვერდზე უზარმაზარი შრიფტით იყო აწყობილი „სენსაციური" სათაური: „ზვიად გამსახურდია გროზნოში, ჯოჰარ დუდაევის კაბინეტში მოკლეს".

## ვერსია II: ზვიად გამსახურდია ცოცხალია!

მეორე ვერსიას და პირველ ვერსიას გადაკვეთის წერტილები გააჩნია, კერძოდ, იმ მონაკვეთში, სადაც საუბარია ზვიად გამსახურდიას ორეულზე, თუმცა მომქმედებაში ორეულის ჩართვა პირველსა და მეორე ვერსიაში სხვადასხვა მიზანს ემსახურება.

პირველ ვერსიაში ორეულის მოქმედ პირად გამოყვანა იმისთვის დასჭირდათ, რომ გამსახურდიას ჯოჰარ დუდაევის კაბინეტში „მოკვლა" სინამდვილისთვის მიემსგავსებინათ და მიცვალებული **გამსახურდიას მისტიური მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში მისი ორეულისთვის მიეწერათ.**

მეორე ვერსიაში მოტივაცია შეცვლილია. შეცვლილია, ერთი შეხედვით, ფრიად კეთილშობილური და ჰუმანური მოსაზრებით - დაარწმუნონ ადამიანები, რომ ხალხის საყვარელი პრეზიდენტი არავის მოუკლავს, ის საღსალამათია და შესაფერის დროს ელოდება, რომ მრავალტანჯულ სამშობლოში დაბრუნდეს და კვლავ თავისი ხალხის სამსახურში ჩადგეს.

უდიდესი ტკივილით გაჯერებული ტრაგედია უცებ მელოდრამით იცვლება.

უფრო სწორად, ეს არ არის მელოდრამა, ეს არის რაღაც ახალი ჟანრი - ტრაგედია ჰეფი ენდით, ტრაგედია ტრაგედიის გარეშე, ტრაგედია ბედნიერი ფინალით - ტრაგედიის მთავარი გმირი, რომელიც მკვდარი გვეგონა, თურმე ცოცხალია!

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ მოტივაცია შეცვლილია, ერთი შეხედვით, ფრიად კეთილშობილური და ჰუმანური მოსაზრებით და იქვე არ განვმარტეთ, რატომ გამოვიყენეთ ფრაზა - „ერთი შეხედვით".

**საქმე ის არის, რომ თუ, ზვიად გამსახურდიამ მართლა მოიკლა თავი, ან ის მოკლეს, მაშინ მისი ცოცხლად გამოცხადება და იმის მტკიცება, რომ გამსახურდია ჯანმრთელი და უვნებელია, იმათ წისქვილზე ასხამს წყალს, ვინც ის თვითმკვლელობამდე მიიყვანა, ან ვერაგულად მოკლა.**

ნებსით თუ უნებლიეთ, ამ ვერსიის რეალობად წარმოჩენა, დამნაშავეების **პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას** და მათთვის უმძიმესი ბრალდების მოხსნას უწყობს ხელს.

ასე რომ, ეს ვერსია არც ისეთი უწყინარი და კაცთმოყვარულია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ისინი, ვისაც მტკიცედ სჯერა, რომ ზვიად გამსახურდია ცოცხალია, თავიანთი მოსაზრების ურყევ არგუმენტად იმასაც იშველიებენ, რომ პრეზიდენტის მეუღლემ მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ კატეგორიული უარი განაცხადა ცხედრის ექსპერტიზაზე და მიცვალებული ისე დამარხეს, რომ არავითარი სამედიცინო შემოწმება არ ჩატარებულა.

ქალბატონმა მანანამ სწორედ იმიტომ თქვა უარი ექსპერტიზაზე, რომ მაშინ საიდუმლო გამჟღავნდებოდა და გაირკვეოდა, რომ მიცვალებული ზვიად გამსახურდია კი არა, მისი ორეული იყო, ამტკიცებენ ისინი.

ამ საიდუმლოსვე უკავშირებენ ეს ადამიანები გროზნოში ზვიად გამსახურდიას ნეშტის პირველი საფლავიდან მეორე საფლავში გადასვენებას, რომლის ადგილსამყოფელი მხოლოდ რამდენიმე პირმა იცის (მოგეხსენებათ, მაშინ, როცა გროზნო ინტენსიურად იბომბებოდა, ზვიად გამსახურდიას ცხედარი, მისი ხელყოფის შიშით, სხვაგან, უფრო უსაფრთხო ადგილას გადაასვენეს).

**ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ იმ მეორე საფლავში ნამდვილად საქართველოს პრეზიდენტის ნეშტი ასვენია? საერთოდ ასვენია კი იქ ვინმეს ცხედარი? - კითხულობენ ამ ვერსიის გულმხურვალე მომხრეები და ამ კითხვაზე ზუსტი და არგუმენტირებული პასუხის გამცემი ჯერ არავინ ჩანს.**

კითხვის დამსმელები არაორაზროვნად მიგვანიშნებენ, რომ ის მეორე საფლავი ცარიელია და იქ არავინ ასვენია, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ზვიად გამსახურდიას ცხედარი არსებობს და არც მისი ორეულის.

თუ ეს მართლაც ასეა, **მაშინ არავის შეუძლია ამტკიცოს, რომ გამსახურდია ცოცხალი არ არის და, პირიქით, არავის შეუძლია ამტკიცოს, რომ გამსახურდია მკვდარია.**

გვაჩვენეთ, ბატონო, გამსახურდიას ცხედარი, გვაჩვენეთ ის საფლავი, სადაც ეს ცხედარი ასვენია და დაგიჯერეთ, რომ პრეზიდენტი მკვდარია, - ამბობენ ისინი. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება კი მოცემულ სიტუაციაში არავის შეუძლია.

ამასობაში საინფორმაციო საშუალებებში დროდადრო ჩნდება სენსაციური ინფორმაციები, რომ აქა და აქ ცოცხალი გამსახურდია ნახეს, იბეჭდება ინტერვიუები პიროვნებებთან, რომლებიც ამ ინფორმაციებს ადასტურებენ და ა.შ.

ღმერთმა ქნას, რომ ეს ყველაფერი სიმართლე იყოს და არა მხოლოდ სურვილი იმ ადამიანებისა, რომლებსაც დიდი სიყვარულის გამო არ სურთ შეეგუონ აზრს, რომ გამსახურდია ცოცხალი არ არის.

ისტორიას ახსოვს ისეთი შემთხვევები, როცა სამარადისოდ საიდუმლოდ დარჩენილა ამა თუ

# კვალდაკვალ

## განსჯისათვის

იმ პიროვნების გარდაცვალების ამბავი, უცნობი დარჩენილა ამ პიროვნების განსასვენებელიც.

შესაძლებელია, ზვიად გამსახურდიასაც ამ ხვედრს უმზადებს ისტორია...

### ვერსია III: ზვიად გამსახურდია სოფელ ძველ ხიბულაში მოკლეს!

### ვერსია IV: ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა!

ამ ორი ვერსიის გაერთიანება იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ცალ-ცალკე მათზე მსჯელობა შეუძლებელია.

დავიწყოთ იმ ვერსიით, რომლის მიხედვითაც 1993 წლის 30-31 დეკემბერს სოფელ ძველ ხიბულაში, ღურწკაიების სახლში, საქართველოს პრეზიდენტმა თავი მოიკლა.

ამ ფაქტს ადასტურებენ იმ დროს იქ მყოფი პირები, ბესარიონ გუგუშვილი, რობინზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე. თუმცა რას ნიშნავს ადასტურებენ, როდესაც არც გუგუშვილს, **არც მარგველანს, არც გვანცელაძეს საკუთარი თვალით არ უნახავთ - როგორ ისროლა ზვიად გამსახურდიამ და როგორ მოიკლა თავი. არ უნახავთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთს, - გუგუშვილს, ეძინა, ხოლო მარგველანი და გვანცელაძე მეორე ოთახში იმყოფებოდნენ.**

აქედან გამომდინარე, სავსებით სწორად მიგვაჩნია **ვახტანგ ხარჩილავას** მოსაზრება, რომ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის მომენტს არც თვითმხილველი ჰყავს და არც მოწმე.

**ჩვენი აზრით, ეს დასკვნა ძალზე მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, აქამდე არავის წამოუყენებია ობიექტური გამოძიებისთვის ეგზომ საინტერესო და საჭირო მოსაზრება, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს აქამდე უკრიტიკოდ მიღებულ ვერსიას გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ.**

წინასწარ გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ არავის არაფერში არ ვდებთ ბრალს, არც ვინმეს კეთილსინდისიერებაში შეგვაქვს ეჭვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უფლება არ გვაქვს გვქონდეს ჩვენი სუბიექტური შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე.

აუცილებელია აღვნიშნოთ ერთი გარემოება - **არც გუგუშვილს, არც მარგველანს და არც, გვანცელაძეს არასოდეს, არსად არ უთქვამთ, რომ მათ უშუალოდ ნახეს, თუ როგორ მოიკლა თავი გამსახურდიამ. არც ამ ფაქტისთვის მიუქცევია ვინმეს ყურადღება აქამდე და არც არავის უცდია სწორედ ამ კუთხიდან შეეხედა და გაეანალიზებინა ღურწკაიების სახლში მომხდარი ტრაგედია.**

მოდით, „თვითმხილველთა“ ჩვენებების საფუძველზე კიდევ ერთხელ აღვადგინოთ ის სურათი, რომლითაც „მტკიცდება“, რომ გამსახურდიამ თავი მოიკლა.

გუგუშვილს, რომელსაც გამსახურდიას საწოლის გვერდით მდგარ საწოლში სძინავს, რაღაც ხმა აღვიძებს. ის ხედავს რომ გამსახურდიას არაბუნებრივად აქვს თავი ჩამოვარდნილი. გუგუშვილი მირბის მეორე ოთახისკენ, სადაც დაცვის ორი წევრი იმყოფება და ეუბნება - პრეზიდენტი ცუდად არისო. (გუგუშვილი და დაცვის წევრები ერთმანეთში გამავალი ოთახების კარის ხღურბლზე ხვდებიან ერთმანეთს), შემდეგ ისინი ერთად შედიან პრეზიდენტის საწოლ ოთახში, სადაც ასეთ შემაძრწუნებელ სურათს ხედავენ: პრეზიდენტს მარჯვენა საფეთქელთან ნატყვიარი ამჩნევია, ტყვია გამოსულია მარცხენა ყურთან, დაბლა, ტუჩის კიდეზე სისხლის შავი კვალი ამჩნევია, იარაღიანი მარჯვენა ხელი კი ქამართან აქვს ჩამოვარდნილი.

ბუნებრივია, ასეთ დროს დაცვის წევრებს უშუალოდ შემთხვევის ადგილზე მყოფი გუგუშვილისთვის უნდა ეკითხათ, თუ რა მოხდა. უნდა ვივარუდოთ, რომ მათ ასეთი კითხვა დაუსვეს კიდევაც გუგუშვილს, რომელზეც გუგუშვილი უპასუხებდა, რომ მან არაფერი არ იცის, მას ეძინა.

გუგუშვილს „ალიბი“ აქვს, მას ეძინა!

კი მაგრამ ვინ დაადასტურებს, რომ მას ნამდვილად ეძინა? დაცვის წევრები ვერ ხედავდნენ მეორე ოთახში მყოფთ და, აქედან გამომდინარე, მათ არ იციან მართლა ეძინა გუგუშვილს თუ არა.

დავიმახსოვროთ და შემდეგში გავიხსენოთ გუგუშვილის „ალიბი“ - მას სძინავს!

სამაგიეროდ, როგორც თვითონ ამბობენ, არ ეძინათ დაცვის წევრებს.

ესეც თავისებური ალიბია - **არ ეძინათ, ე.ი. პრეზიდენტის საწოლ ოთახში არავინ შესულა, ეს რომ მომხდარიყო, დაცვის წევრები მას დაინახავდნენ - მათ არ ეძინათ.**

დასკვნა, რომელსაც, როგორც ზემოთ ვთქვით, თვითონ არ აკეთებენ გუგუშვილი და დაცვის წევრები, მაგრამ მათი მონათხრობის მიხედვით თავისთავად იკვეთება, შემდეგია: ვინაიდან დაცვის წევრებს არ ეძინათ და, აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის საწოლ ოთახში არავის შეეძლო შესვლა, ხოლო იქ მყოფ გუგუშვილს ეძინა, პრეზიდენტმა თვითონ მოიკლა თავი.

აი, ასე „ამაგრებს“ ერთმანეთს ეს ორი „ალიბი“ - ძილი და ღვიძილი. ერთს რომ არ ეძინოს, იმ ორის ღვიძილის ფასი კაპიკია და იქვე მეორე ნიუანსიც: ამ ორს რომ არ ღვიძებოდა, პრეზიდენტის თვითმკვლელობის ვერსია ჰაერში გამოეკიდებოდა.

**სინამდვილეში ვინმემ იცის, ვის ეძინა იმ ღამეს და ვის არ ეძინა? იქნებ, ყველას ეძინა, ან, იქნებ, ყველას ეღვიძა, ან, იქნებ, გუგუშვილს ეღვიძა და დაცვის წევრებს ეძინათ?**

ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ჩვენ ვინმეს ხელს ვადებთ ან რაიმეში ვადანაშაულებთ, ჩვენ ვსვამთ იმ კითხვებს, რომლებსაც ნებისმიერი გამომძიებელი დაუსვამდა ამ სამ ადამიანს:

**- ბატონო გვანცელაძევ და ბატონო მარგველანო, თქვენ რით შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას საწოლ ოთახში მყოფ გუგუშვილს პრეზიდენტის მკვლელობის დროს ნამდვილად ეძინა?**

გვანცელაძე და მარგველანი ამ კითხვას, ეჭვგარეშეა, ასე უპასუხებდნენ: - **არაფრით!**

გამომძიებელი ალბათ გუგუშვილსაც დაუსვამდა ასეთ კითხვას:



- ბატონო ბესარიონ, როცა თქვენ გეძინათ, ხომ შეიძლებოდა ვიღაც შემოსულიყო ოთახში და პრეზიდენტისთვის ესროლა?

- შეიძლებოდა...

- ჰო, მაგრამ, თქვენს გვერდითა ოთახში ხომ დაცვის წევრებს ეღვიძათ და ავისმდომელს თქვენამდე რომ შემოეღწია, მათი ოთახი უნდა გაევლო, მღვიძარე დაცვის წევრები კი ამას არ დაუშვებდნენ. გამოდის, რომ თუ ვინმე შევიდა პრეზიდენტის ოთახში, ეს ვინმე მხოლოდ და მხოლოდ დაცვის რომელიმე წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო. რას იტყვით?

ბატონი გუგუშვილი, რა თქმა უნდა, ვერ იტყოდა, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო - მას ხომ ეძინა!

ამით იმის თქმა გვინდა, რომ **თუ ღრმად ჩავეძიებით, დაცვის წევრებისა და გუგუშვილის ჩვენებები ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათს იღებს და მომხდარის რამდენიმე განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.**

ასეა თუ ისეა, უდავოა, რომ დაცვის წევრების და გუგუშვილის ჩვენებები უტყუარ მტკიცებულებად ვერ გამოდგება იმისთვის, რომ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობა უეჭველ ფაქტად ვაღიაროთ, მითუმეტეს, რომ ცხედრის მდგომარეობა, ჭრილობის აღწერა, თავის ქალაში გავლილი ტყვიის ტრაექტორია აბსოლუტურად საპირისპირო ფაქტზე მიგვანიშნებს და სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს თვითმკვლელობა კი არა, მკვლელობა იყო.

გაზეთ **„პრეზიდენტში“** გამოქვეყნებულ **ვახტანგ ხარჩილავას** წერილში, ჩვენი აზრით, კვალიფიციურად არის დამტკიცებული, რომ გამსახურდიას თავი არ მოუკლავს, ის მოკლა გარედან შემოსულმა ქილერმა, ეს კი იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ გუგუშვილთან ერთად ეძინათ დაცვის წევრებსაც და სახლში მყოფ სხვა ადამიანებსაც.

ავტორის აზრით, ისინი წინასწარ გათიშეს, თანამედროვე საშუალებები კი ამის გაკეთების დიდ არჩევანს იძლევა.

**ხარჩილავამ შექმნილი ჩიხური მდგომარეობიდან ერთგვარი დელიკატური გამოსავალი შემოგვთავაზა, რითაც პასუხისმგებლობა მომხდარის შესახებ გამსახურდიას გარემოცვას აარიდა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იმ ღამეს გამსახურდიას გვერდით მყოფ ადამიანებზე ეჭვის მიტანის არანაირი საფუძველი არ არსებობს.**

სამწუხაროდ, ეჭვის საბაბი ნამდვილად არსებობს და სანამ ეს საბაბი არსებობს, არავის არ აქვს უფლება, ბრმად ვენდოთ ამ ადამიანების განცხადებებს და ამ მიმართულებით კვლევა-ძიება არ გავაგრძელოთ.

წერილზე მუშაობის პროცესში ჩვენ რამდენიმე გამოცდილ ექსპერტს ვთხოვეთ კვალიფიკაცია მიეცათ მომხდარისთვის იმ აღწერილობის მიხედვით, რასაც თვითონ გუგუშვილი, მარგველანი, გვანცელაძე და ექიმი ჯალაღონია გვთავაზობდნენ.

ექსპერტების დასკვნა, უფრო ზუსტად, ვარაუდი ასეთია:

**- თვითმხილველების მიერ ცხედრის მდგომარეობის აღწერილობას თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ, ეს არ შეიძლება იყოს თვითმკვლელობა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ტყვიის ტრაექტორია, იარაღიანი მარჯვენა ხელი, რომელიც მიცვალებულს ქამართან ესვენა, ის, რომ გასროლა მოხდა არა მიბრჯნით, იარაღის ლულის საფეთქელთან მიდებით, არამედ 10-15 სანტიმეტრის დისტანციიდან. (საფეთქელთან ლულის ნაკვალევი არ ჩანდა).**

ეს რომ თვითმკვლელობა ყოფილიყო, მიცვალებულის მარჯვენა ხელი განზე გადაქანდებოდა, იარაღი კი აუცილებლად გაუვარდებოდა ხელიდან. სხვანაირი იქნებოდა ტყვიის ტრაექტორიაც - არა ზემოდან ქვემოთ, არამედ ქვემოდან ზემოთ.

დიახ, თვითმხილველთა მიერ გაკეთებული აღწერილობის მიხედვით ეს არ არის თვითმკვლელობა.

კი მაგრამ, ეს თვითმხილველები ხომ ის ადამიანები არიან **(ჯალაღონიას გამოკლებით)**, რომლებიც მკვლელობის დროს გამსახურდიასთან იმყოფებოდნენ? ისინი რა, საკუთარი თავის წინააღმდეგ აძლევენ ჩვენებას და საკუთარ თავს მკვლელობის თანამონაწილედ ასახელებენ?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, მოდით, ამ სამი ადამიანიდან გუგუშვილს ცოტა ხნით თავი დავანებოთ და დაცვის ორი წევრის, მარგველანის და გვანცელაძის განცხადებები კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და ძალიან ყურადღებით დავაკვირდეთ მათ ნათქვამს.

**მარგველანი და გვანცელაძე თერთმეტი წელია ჯიუტად იმეორებენ ერთსა და იმავეს - როცა ეს ამბავი მოხდა, ჩვენ არ გვეძინა! მაგრამ, მათ არასოდეს არ დაუწყიათ იმის მტიცება, რომ გამსახურდიამ თავი მოიკლა, ისინი ამბობდნენ, რომ თავიანთი ოთახიდან ვერ ხედავდნენ თუ რა ხდებოდა პრეზიდენტის ოთახში.**

ახლა კიდევ ერთხელ გავიმეოროთ მარგველანის და გვანცელაძის ნათქვამი: - **ჩვენ არ გვეძინა!** მოდით, აქ გავწყვიტოთ ეს ფრაზა და ჩვენ თვითონ გავაგრძელოთ იგი იმ შინაარსობრივი ლოგიკის მიხედვით, რაც ამ ფრაზის მიღმა შეიძლება იგულისხმებოდეს:

- ჩვენ არ გვეძინა! ვინმე უცხო რომ შემოსულიყო, მას ჯერ ჩვენი ოთახი უნდა გაევლო. ამას კი ის ვერ მოახერხებდა - ჩვენ გვეღვიძა და ხმადაბლა ვსაუბრობდით. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის ოთახში უცხო არავინ შესულა. იმ ოთახში გუგუშვილის გარდა სხვა არავინ იყო. ხოლო რა მოხდა იქ, ჩვენ არ ვიცით, რადგან ჩვენი ოთახიდან არ ჩანდა პრეზიდენტის ოთახი. კიდევ ვიმეორებთ: - ჩვენ არ გვეძინა, უცხო იქ არავინ არ შესულა.

**ხომ შეიძლება, მარგველანის და გვანცელაძის ეს ათასგზის განმეორებული - ჩვენ არ გვეძინა -ისეც გაიშიფროს და მასში ის შინაარსი ჩაიდოს, რომელიც ჩვენ ჩავდეთ?**

იქნებ, ამ ჯიუტად განმეორებული „ჩვენ არ გვეძინათი“ დაცვის წევრები ისეთ რაღაცაზე მიგვითითებენ და მიგვანიშნებენ, რისი თქმაც გახსნილად და ღიად არ უნდათ, ჩვენ კი ვერა და ვერ მივუხვდით ამ ფრაზის ქვეტექსტს.

როგორმე ჩვენ რომ მიგვახვედრონ და გზა გვიჩვენონ ამ საიდუმლოებით მოცული მკვლელობისა, იქნებ ამიტომაც აღწერენ ისინი ასე ზუსტად ცხედრის მდგომარეობას და არ გვიმალავენ, რომ იარაღიანი მარჯვენა მიცვალებულს განზე კი არ ჰქონდა გადავარდნილი, არამედ ქამართან ესვენა.

„ჩვენ არ გვეძინა“ ზუსტად ის შიფრი ხომ არ არის, რომლითაც იხსნება ეს ცხრაკლიტულით ჩაკეტილი საიდუმლოება?

დაბოლოს, კიდევ ერთი დეტალი: მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გულმოდგინედ და **დიდხანს ეძებეს, ვერა და ვერ აღმოაჩინეს ტყვიის გული, რომელმაც პრეზიდენტის თავის ქალაში გაიარა.** თავის ქალადან მეორემ მხარეს გამოსული ტყვიის კვალი საწოლის თავს (ხის დაფას) ცხადად აჩნდა, მაგრამ თვითონ ტყვია არსად ჩანდა. ის დღემდე არ არის ნაპოვნი.

**კი მაგრამ, სად შეიძლებოდა ტყვია გამქრალიყო?** გასროლა სადმე ტყეში ხომ არ მომხდარა, ოთახში მოხდა, ტყვია საწოლის თავს, ხის დაფას მოხვდა და სადღაც აორთქლდა?

რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამ ფაქტს?

ბოლოს ერთი განცხადება: ადამიანი, რომელმაც 1993 წლის 30-31 დეკემბერს ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე, ნამდვილად საქართველოს პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია იყო. ამას ადასტურებს უამრავი ადამიანი, რომლებიც ძალიან ახლოს იცნობდნენ ზვიად გამსახურდიას და რომლებსაც სამეგრელოში ყოფნის მთელ პერიოდში ახლო კონტაქტი ჰქონდათ მასთან. არც ერთ მათგანს ერთი წუთით არ გასჩენია ეჭვი, რომ ზვიად გამსახურდიასთან კი არა, მის ორეულთან ჰქონდა ურთიერთობა.

**ასე რომ, გამსახურდია ჯოჰარ დუდაევის კაბინეტში არ მოუკლავთ, და იმ საფლავში, რომელიც იჩქერიის მიწაზე გასაიდუმლოებულ ვითარებაში არსებობს, ნამდვილად ნეტარხსენებული ზვიად გამსახურდიას ცხედარი ასვენია.**

●

როცა ადამიანები ამ წუთისოფლიდან წასვლას გადაწყვეტენ, როგორც წესი, უკანასკნელ წერილს უტოვებენ ხოლმე ახლობლებს, მეგობრებს.

**ზვიად გამსახურდია ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ერთი სიტყვაც არ დაუტოვებია თავისი ქვეყნისთვის, თავისი თანამებრძოლებისთვის, ახლობლებისა და მეგობრებისთვის.**

ძნელია ამის ახსნა, მითუმეტეს ისეთი გულისხმიერი ადამიანის მხრიდან, როგორიც ბატონი ზვიადი გახლდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან ხომ შესანიშნავად იცოდა, თუ რა ხმაური და სკანდალი მოჰყვებოდა მის თვითმკვლელობას. მან ისიც ხომ იცოდა, რომ შეიძლებოდა მისი სიკვდილი სრულიად უდანაშაულო მისი თანამებრძოლებისთვის დაებრალებინათ, თუნდაც ბესარიონ გუგუშვილისთვის, რომელიც მის გვერდით იწვა იმ ღამეს, ან დაცვის წევრებისთვის, რომლებიც იმ ღამეს გვერდით ოთახში იმყოფებოდნენ.

**რატომ გასწირა მან ეს ადამიანები სამუდამო ეჭვისთვის, ათასგვარი ბრალდებებისა და მითქმა-მოთქმისთვის?** მათ ხომ ბოლომდე უერთგულეს მას და მასთან ერთად გამოიარეს ყველა განსაცდელი?

**ნუთუ ზვიად გამსახურდია ისეთი გულგრილი და უმადური ადამიანი იყო, რომ თავისი ერთგული თანამებრძოლები, ერთგულების სამაგიეროდ, პირდაპირი თუ ირიბი ბრალდებებისგან უმწეო თავის მართლებისთვის გაიმეტა?**

მითუმეტეს, გაუგებარია ეს, თუ გავიხსენებთ, როგორ ეხვეწებოდა იგი თავის თანმხლებთ, მარტო დაეტოვებინათ იგი - თქვენ ახალგაზრდები ხართ და მე ნუ შემეწირებითო.

მითუმეტეს, გაუგებარია ეს, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ მან თვითმკვლელობის წინ თურმე ისეთი მდგომარეობა მიიღო, რომ ტყვია, გვერდით მწოლ ბესარიონ გუგუშვილს არ მოხვედროდა.

რა მნიშვნელობა ჰქონდა, ბესარიონ გუგუშვილს იმ ღამეს მოკლავდა ტყვია, თუ ეს ტყვია მთელი ცხოვრების განმავლობაში კვალში ჩაუდგებოდა ცოცხლად გადარჩენილს?

**დიახ, ამის ახსნა და ამის გამართლება შეუძლებელია.**

**მაგრამ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება, თუ ვივარაუდებთ, რომ ზვიად გამსახურდიას თავის მოკვლაზე არც უფიქრია. ის მეორე დღეს სხვაგან აპირებდა გადასვლას და ამის შესახებ გუგუშვილიც და დაცვის წევრებიც გააფრთხილა...**

**დაბოლოს, იმასაც თუ ვიტყვით, რომ ზვიად გამსახურდია ღრმადმორწმუნე ქრისტიანი, ღრმად ეკლესიური პიროვნება და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყო, მისთვის თავის მოკვლის დაბრალება დიდი ცოდვა და მკრეხელობაა.**

**ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია არ მოუკლავს!!!**

**ლევან ოდიშელი**

*თბილისის გარეუბნის ერთ კოხტა და მშვენიერ კაკაბეთის ქუჩაზე ცხოვრობს მეუფე ქრისტეფორე წამალაიძე. დიდი ხანია, მისი პიროვნების შესახებ ვიცოდი, მაგრამ როდესაც თავისი უკომპრომისობით განთქმულმა ლეილა ცომაიამ მეუფე ქრისტეფორეს სახელი ერის სინდისად მოიხსენია, მასთან საუბარი გადავწყვიტე. ეკლესიიდან განკვეთილთა შორის ასახელებდნენ მეუფე ქრისტეფორეს, თუმცა, თავად უარყო და საბუთებიც მიჩვენა — განკვეთილი არა ვარ, მღვდელმსახურება მაქვსო შეჩერებული. საკმაოდ კარგი მოსაუბრეა, მაგრამ მეუფე ქრისტეფორესადმი მისი მოხევური კილო უფრო კეთილად განგაწყობთ, რაც სამოც წელს გადაცილებულს დღემდე შერჩენია. ახოვანია იგი როგორც ტანად, ასევე სულიერად, რაშიც მეუფესთან ორიოდე საათის საუბარმა დამარწმუნა. მას თავისი სახლის მანსარდაზე აქვს ეკლესია მოწყობილი.*



ისტორიის ფურცლები

# მეუფე ქრისტეფორე წამალაიძე: მარტო 1982 წელს სინოდის სხდომაზე ორჯერ განიხილეს ჩემი და ზვიადის ნათელმირონობის საკითხი

**– მეუფე ქრისტეფორე, ბრძანებთ, რომ ეკლესიიდან განკვეთილი კი არ ბრძანდებით, არამედ მღვდელმსახურება გაქვთ შეჩერებული. რატომ? რა განსხვავებაა განკვეთასა და მღვდელმსახურების შეჩერებას შორის?**

- რომ განგკვეთონ, ამისათვის დანაშაულის რაიმე დამადასტურებელი არგუმენტი უნდა არსებობდეს, ისე ვერ განგკვეთენ. თანაც, განკვეთის დროს ხარისხის აყრა ხდება, მე კი ეპარქიებში მოღვაწეობის ჟამს ერთი შენიშვნაც არ მქონია მიღებული. როდესაც ტოტალური დევნა-შევიწროება დამიწყეს, ფიზიკურად მესხმოდნენ თავს, იარაღითაც მემუქრებოდნენ, იძულებული გავხდი, სამშობლო დამეტოვებინა.

**– რატომ გახდით ასეთი შევიწროების მიზეზი, ვინ რას გერჩოდათ?**

- ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ მოსული ხელისუფლება მავიწროებდა, ის სასულიერო პირებიც, რომლებიც ეკლესიებში სპეცსამსახურების დავალებით იყვნენ და არიან მოკალათებულნი. რადგანაც მე ახლო ურთიერთობა მქონდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებთან, თანავუგრძნობდი და ჩართული ვიყავი კიდეც ამ მოძრაობაში, აი, ამის გამო გახშირდა ჩემი შევიწროება. მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი ზვიადის, მერაბის, აკაკი ბაქრაძის, ედიშერ გიორგაძისა და სხვათა მოძღვარი.

**– თქვენი სახლის მანსარდაზე ეკლესიის მოწყობამდე სად და რომელ ეკლესიებში მოღვაწეობდით?**

- რაც სასულიერო პირი ვარ, სულ სიონის საკათედრო ტაძარში გახლდით მღვდლად. 1979 წლის 19 აგვისტოს ხელდასხმული ვიყავი ეპისკოპოსად და იმ დღიდანვე დავინიშნე კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. გახლდით მესხეთ-ჯავახეთისა და სვანეთის ეპისკოპოსი, 1980 წლის მარტიდან ნიკორწმინდისა და მარგვეთის ეპარქიების მმართველი ვიყავი, 1992 წელს ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველი, შემდეგ - აგარა-წალკის ეპარქიის, მერე - ურბნის-რუისისა და სწორედ იქ მოხდა ჩემზე ბოლო თავდასხმა, რის გამოც იძულებული გავხდი, საზღვარგარეთ, კერძოდ, გერმანიაში წავსულიყავი. ეს იყო 1995 წლის ივლისში.

**– თქვენი შევიწროების გამო ეკლესიის მესვეურთათვის არ მიგიმართავთ?**

- რასაკვირველია, მივმართე განცხადებებით *(განცხადებების ასლებსაც მიჩვენებს მეუფე)*, მაგრამ ამაოდ, არანაირი პასუხი არ მიმიღია.

**– მაინც რა გსურდათ, თქვენი მოღვაწეობა რას ისახავდა მიზნად?**

- განსაკუთრებული - არაფერი. ჩემი მიზანი იყო ერის სულიერად ამაღლება, ხალხის მობრუნება ეკლესიისაკენ, სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობის გაღვივება, რაც, თავისთავად, პატრიოტიზმის ამაღლებასაც ნიშნავს. ეს *(თავისი სახლის მანსარდაზე მიუთითებს მეუფე ქრისტეფორე)* ის ადგილია, სადაც ეროვნული მოძრაობის თავკაცები იკრიბებოდნენ, ბჭობდნენ. ედიშერ გიორგაძის ბინაშიც იკრიბებოდნენ. ეს ორი ადგილი იყო მათი თავშეყრის ადგილი. ზვიადი და მერაბი ჩემი სულიერი შვილები იყვნენ. თუ როგორები - მათი შეფასება ძალიან ძნელია. ამ ორი პიროვნების არსებობა ღმერთის წყალობა იყო ქართველი ერისათვის. ისინი დაბეჩავებული, დამონებული ქართველობის გამოსაფხიზლებლად იყვნენ ამქვეყნად მოვლენილნი. ზვიადმა და მერაბმა უკიჟინეს ერს - ცოცხალი ხარ, გძინავს და გამოფხიზლდიო. 70-იან წლებში ზვიადის გამოცემულმა ჟურნალებმა მთლიანად მოაბრუნა ერი ეკლესიისაკენ. ეს მათი დამსახურებაა. მანამდე ეკლესია სულიერად მთლად ჩამკვდარი იყო. ათეიზმის თავკაცების ძირითადი მიზანიც ხომ ეს გახლდათ. ერის სულიერება ნორმალურ მღვდელმთავრებს ითხოვს, არადა, იმ დროს ეკლესიებს აგენტურა ჰყავდა მოძალებული. ეს ამბავი ცნობილია, გაზეთებშიც დაიწერა, ეროვნული მუხტი მთლიანად ჩამკვდარი იყო...

**– როდიდან იცნობდით თქვენს სულიერ შვილებს?**

- კოლხური კოშკი იყო ერის იმედი. ბატონი კონსტანტინე ჩემი საყვარელი მწერალი გახლდათ. ზვიადის მოღვაწეობასაც ვადევნებდი თვალს. 1979 წელს, ზვიადი რომ გადასახლებიდან დაბრუნდა, მაშინ ქორეპისკოპოსი ვიყავი. თვითონ ზვიადი ყოველთვის ეკლესიის უკანა კედელთან დგებოდა, ძალზე მოკრძალებული იყო და ჩვენც ვცდილობდით, მყუდროება არ დაგვერღვია მისთვის. ყველა პატივისცემით ვიყავით მისადმი გამსჭვალული. და აი, ერთხელაც, დენეზა ზუმბაძე და იდა თვარაძე მოდიან ჩემთან და მეუბნებიან: ზვიადმა გამოგვგზავნა, სურს, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ იყოთ მისი მოძღვარი... წარმოიდგინეთ, როგორ გავიხარებდი - ჯერ ამხელა მწერლის - კონსტანტინეს ვაჟი, მერე თვითონ ზვიადი - როგორი მოღვაწე და პიროვნება! რა თქმა უნდა, უყოყმანოდ დავთანხმდი.

**– როდემდე იყავით ზვიადის მოძღვარი?**

- 1990 წლის ბოლომდე. შემდგომში ეროვნული მოძრაობის თავკაცებში ერთობის დარღვევა მადარდებდა, რადგან ასეთ პატარა ერში რომ გათიშულობა იწყება, მითუფრო, ამდენი მტერი რომ ჰყავს, დამღუპველია. მტერი კი უამრავი გვყავდა. არავინ იცის, შინაური მეტი იყო თუ - გარეული.

**– არაფერი იღონეთ, რომ განხეთქილება აღმოფხვრილიყო?**

- შევედი კათალიკოს-პატრიარქთან და ვუთხარი, ჩავერიოთ და დავაზავოთ-მეთქი. პატრიარქმა მითხრა, ვცადე და არაფერი გამოვიდაო. კიდევ ვცადოთ-მეთქი და, - არაო, არაფერი გამოვაო. ვუთხარი, ორივე ჩავერიოთ, ამქვეყნად გაუკეთებელი არაფერია და მოვაგვარებთ-მეთქი. ცოტა არ იყოს, მკვახედ მითხრა, მაგ საკითხზე ნუღარ მელაპარაკებიო. გამოვიხურე კარი და წამოვედი.

**– მაინც, როგორ გებრძოდნენ, აშკარად?**

- ძალიან გამოკვეთილად. ჯერ მარტო 1982 წელს, სინოდის სხდომაზე ორჯერ განიხილეს ჩემი და ზვიადის ნათელმირონობის საკითხი.

**– შვილები მოანათვლინეთ?**

- არა, შვილები უკვე მონათლულები მყავდა. ზვიადს ჩემი ძმისშვილი მოვანათვლინე. ამ ფაქტზე ისეთი ამბავი ატყდა, ერთ-ერთმა მიტროპოლიტმა სინოდის სხდომაზე მითხრა, - შენა და მაგ შენს ზვიადს „პარაშოკებად“ გაქცევთო, მერე - გავიდეთ და გავარტყათო. ეს იყო 1982 წლის მაისში.

**– თქვენი მანსარდა როდიდან გადააქციეთ ეკლესიად?**

- 1990 წლიდან. მაგრამ ადრე ეს მანსარდა შეკრებების ადგილი იყო.

**– გავიდა დრო და ზვიადი პრეზიდენტად აირჩია ქართველმა ხალხმა. როგორ შეხვდა ამ ამბავს ეკლესია?**

- ძალიან უსიამოვნოდ, რადგან ეკლესია უნდა აფიქსირებდეს თავის პოზიციას. ეკლესია მწყემსია, ერი - ცხოვარი. ერს ეკლესიამ უნდა მისცეს გეზი, რასაც ჩვენიდან დაწყებული, ვერც საჭეთმპყრობლის და ვერც სხვა ვინმეს მოღვაწეობაში ვერ ვხედავდი. ტელევიზიით ორჯერ თქვა შევარდნაძემ, - პატრიარქი ჩამოვიდა ჩემთან, მოსკოვში, ჩემი ხელი გულში ჩაიკრა და მითხრა, შენ უნდა ჩამოხვიდე საქართველოშიო. ეს 1991 წელს ხდება და ამ დროს რომ პატრიარქი მეორე ადამიანს პრეზიდენტად მოუხმობს, ხომ გასაგებია, საით მიჰყავს მას ქვეყანა. ეკლესია კომუნისტური სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და სანამ გაზეთში დაიბეჭდებოდა ის ანკეტური მონაცემები, ჩვენ ვიცოდით - ვინ ვინ იყო, რადგან ეკლესია რომ ათეისტური სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, ეს აშკარა გახლდათ. ცხადია, იყვნენ გამონაკლისებიც.

**– საზოგადოებისათვის საინტერესო უნდა იყოს, ვინ არიან ეს გამონაკლისები.**

- ესენი იყვნენ მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი) - დევნილი; ამბროსი ქათამაძე, გიორგი ოდიშვილი, მე, ჩემს ეპარქიაში მოღვაწეობდა ბერი თეოდორე ჩიხლაძე, შევარდნაძემ რომ დახვრიტა, გია მაჩაბელი - ენციკლოპედიურად განსწავლული პიროვნება, რომელიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოკლეს, თემურ ჯვარშეიშვილი, რომლის სტატიები ეკლესიური ცხოვრების შესახებ ზვიადის ჟურნალებში იბეჭდებოდა. ასე თითზე ჩამოსათვლელები იყვნენ ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული სასულიერო პირები ეკლესიაში. თუმცა, იქნებ მეტნიც იყვნენ, მაგრამ ეშინოდათ და ვერ ამხელდნენ.

**– ეს ყველაფერი ზვიადმა იცოდა?**

- იცოდა და როგორ! გაგაოცებდათ ზღვა ინფორმაცია, ზვიადს რომ გააჩნდა. ზვიადისნაირი მოძრავი და ინფორმირებული სხვა ვერავინ წარმომედგინა. საეკლესიო ცხოვრებაში ისეთი განსწავლული იყო, მღვდელმსახურების ისეთი მცოდნე გახლდათ, ბევრ რამეს მისგან ვსწავლობდი. 1981 წელს, როცა ერთ მუშტად ვიყავით შეკრული, საკითხი დაისვა - ერის გამოფხიზლების მიზნით სოფელ-სოფელ გვევლო. მოვიარეთ მარტყოფი, ნორიო, ყარაღაჯი, წავკისი, სასირეთი, შინდისი. ზვიადი სულ ჩვენთან იყო. მაშინ ლიტერატურა ნაკლებად მოიძიებოდა. იმდენად, რომ ჩემი ხელით გადაწერილი სახარება მქონდა. ზვიადი ლიტერატურითაც გვამარაგებდა და მანქანითაც დავყავდით. რამდენი რამ გავიგეთ ზვიადისაგან, რაც არ ვიცოდით.

**– ასეთს, კონკრეტულად, რას გაიხსენებდით?**

- მაგალითად, ერთაწმინდობაზე არაფერი ვიცოდით. ან საიდან გვეცოდინებოდა?!

**– თუ იქადაგა როდისმე?**

- დიახ. ერთაწმინდობაზე ზვიადს ვუთხარი, სტიქარი ჩაიცვით, გამოდით და იქადაგეთ-მეთქი. აუარება ხალხი მოჯარდა. ზვიადმა იქადაგა და სამახსოვროდ დაგვიტოვა ის ერთაწმინდობა. 1980 თუ 81 წელი იყო. ჩვენ ისიც არ ვიცოდით, იქ რომ პაატას თავი იყო დაკრძალული, რომ გიორგი სააკაძე იქიდან მოდიოდა... 3 ოქტომბერს არის ერთაწმინდობა.

**– სხვადასხვა ეპარქიაში თქვენი მოღვაწეობისასაც ჩამოდიოდნენ თქვენთან?**

- რასაკვირველია. საჩხერეში ხშირად ჩამოდიოდნენ. ერთხელაც, აფხაზეთში რომ მიდიოდნენ, გზად შემოიარეს. გარეთ უამრავი მანქანა იდგა. ზვიადი და მერაბი რომ გავიდნენ და მანქანები დაძრეს, ბათქაბუთქიც ატყდა. თურმე, ის მანქანები უშიშროების სამსახურთა მუშაკებისა ყოფილა... არ ვიცი, რატომ ატეხეს სროლა, ეტყობა, ფსიქოლოგიური ტერორის მიზნით.

**– მეუფე ქრისტეფორე, თქვენ ახლოს იყავით ზვიადთან და მერაბთან, რით ჰგავდნენ ან განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან?**

- მერაბი რომ გამოდიოდა, არწივს ჰგავდა, ჩვილი გული ჰქონდა, დიდი სიყვარულის დამტევი. თუმცა, გარეგნობის მიხედვით ამას ვერ იფიქრებდით. ზვიადს უზარმაზარი ცოდნა ჰქონდა. ისიც ახლობელი იყო, მაგრამ - დისტანციური. მერაბი უფრო ლოიალური გახლდათ, ზვიადი - უკომპრომისო... თითქოს ჰგავდნენ ბევრი რამით, მაგრამ ბევრადაც განსხვავდებოდნენ. საერთო ჰქონდათ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. ეროვნული მოძრაობის აღზევების ჟამს, ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან ერთად 31-ე ქარხანაში რომ მივედი, აი, მაშინ კატეგორიულად ამიკრძალეს თბილისში ჩამოსვლა. იმხანად ხომ სულ დასავლეთ საქართველოში ვმოღვაწეობდი. ასე რომ, არ დამკლებია ფიზიკური თუ მორალური ზეწოლა - მეუღლე დამიჭრეს, მანქანა დამიზიანეს. სხვა გზა უკვე აღარ დამრჩა, საქართველოდან გადახვეწის გარდა.

**– სად, რომელ ქვეყანაში ბრძანდებოდით, რას აკეთებდით იქ და თქვენი გადაწყვეტილება თუ იცოდა ეკლესიამ?**

- რასაკვირველია. პატრიარქს ჯერ კიდევ 1995 წლის მარტში მივმართე, როგორ მავიწროებდნენ და ჩემი განზრახვაც გავანდე. ჩემს განცხადებას პატრიარქმა დუმილით უპასუხა. 1995 წლის ივლისიდან 98 წლის სექტემბრამდე ვიმყოფებოდი გერმანიაში, იქაც იესო ქრისტეს მოძღვრებას ვქადაგებდი. სადაც კი ქართველს მივწვდებოდი, ერთად ვუყრიდი თავს, ხანდახან 200-300 კილომეტრის სიშორიდან ჩამოგვიყვანია და შეგვიკრებია ქართველები. როცა უცხოეთის რადიოსადგურებმა მოგვიწოდეს ქართველებს საქართველოში დაბრუნება, გამოვეშურეთ, რადგან დაგვარწმუნეს, რომ დემოკრატიის გზას დაადგა ქვეყანა და დევნა-შევიწროება აღარ არისო.

**– როგორ ფიქრობთ, ზვიადი თვითმკვლელობით დაასრულებდა სიცოცხლეს?**

- არავითარ შემთხვევაში! ის ისეთი შემართული პიროვნება იყო... განცვიფრებულები ვიყავით მისი დაუცხრომლობითა და ბრძოლისუნარიანობით, მისი ზღვა ენერგიით... დიდი საიდუმლოა დაფარული, მაგრამ, შექსპირისა არ იყოს: „რა ცბიერება, ბოროტებაც აქ თავს იმალავს, დრო გამოაჩენს, ბოროტება არ დადუმდება“.

**P. S.** ***დამშვიდობებისას მეუფე ქრისტეფორემ ბრძანა: „ახლა მოქცევის ჟამია, ჩვენი ერი ღვთის გზაზეა დამდგარი, რაშიც დიდზე დიდია ზვიადის როლი. ახლა მთავარია, ამ სწორ გზაზე სვლაში არავინ და არაფერი გადაეღობოს ერს. დიდი პასუხისმგებლობა მართებს როგორც ხელისუფლებას, ასევე - ეკლესიას...“***

*ესაუბრა* **ბელა შალვაშვილი**

***თბილისში ხმები ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შესახებ 1994 წლის იანვრის დასაწყისშივე გავრცელდა. ხელისუფლებას, ცხადია, ეშინოდა, რომ ფაქტს დიდი სახალხო ამბოხი, გამოსვლები არ მოჰყოლოდა. ამიტომ შესაბამისი სამსახურები მიზანმიმართულად ავრცელებდნენ ხმებს, რომ ეს სიცრუე და დეზინფორმაცია იყო. ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ნაწილს გულწრფელად არ უნდოდა მისი სანუკვარი პრეზიდენტის სიკვდილის დაჯერება, რომელიც ქვეყნის თავისუფლების სიმბოლო გახლდათ. თუმცა, იყო მეორე ნაწილიც, რომელსაც თავისი უმოქმედობის გამართლება სურდა და ხმამაღლა აცხადებდა: პრეზიდენტი ცოცხალია, ენგურჰესის კაშხლის (?!) ტერიტორიაზე იმყოფება და გაეროს ჯარები იცავენო!***







იბეჭდება პირველად

# დაგვიანებული რეპორტაჟი გროზნოდან 11 წლის შემდეგ






● **ვაინახები მოყვარეს მოყვრულად ხვდებიან, მტერს — მტრულად!**

● **იმ დღეს თბილისში ეკლესიიდან სანთლის გაცემაზე ლიმიტი დააწესეს**



რა თქმა უნდა, შევარდნაძის ხელისუფლება ცდილობდა, თებერვლის ბოლოს ზვიად გამსახურდიას საქართველოდან, სამეგრელოდან ჩეჩნეთში გადასვენების ფაქტსაც უხმაუროდ ჩაევლო, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით, ხანგრძლივი მოლაპარაკებების (მოლაპარაკებებს თვითმფრინავის გამოყოფის შესახებ პროფესორი გურამ შარაძე აწარმოებდა) შედეგად, იძულებული გახდა, თბილისიდან გროზნოში ორი საგანგებო რეისი დაენიშნა...

პირველი რეისი თბილისის აეროპორტიდან 21 თებერვალს უნდა გაფრენილიყო. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის თავმჯდომარე ლეილა ცომაია იყო, ამიტომ წამსვლელები მის სახლთან, სოლოლაკში, ლეონიძის ქუჩაზე შევიკრიბეთ. ისიც უნდა ითქვას,რომ იმ დღეს თბილისში სრულიად გათიშეს კომუნიკაციები — მეტრო, ტელეფონები, წყალი, სინათლე, უფრო მეტიც, ეკლესიებში სანთლის გაყიდვაზე ლიმიტი დააწესეს. თითო პირზე მხოლოდ ორ სანთელს გასცემდნენ! ლეილა ცომაია, ეროვნული მოძრაობის რამდენიმე აქტივისტთან ერთად, სიონის ტაძარში მივიდა და ერთ-ერთ მეუფეს სთხოვა, მოეხსენებინათ პატრიარქისთვის, რომ სანთლები ზვიად გამსახურდიას დაკრძალვაზე მიჰქონდათ. მეუფემ ჯერ უთხრა, დამიცადეო... რამდენიმე ხნის შემდეგ კი კატეგორიული ტონით მოსთხოვა, სასწრაფოდ დაეტოვებინათ ტაძარი.

აეროპორტშიც დიდხანს მოგვიწია ცდა. **არასოდეს დამავიწყდება, როგორი თვალებით გვიყურებდნენ აეროპორტში ჩვენივე თანამემამულეები — თითქოს მარსზე მივფრინავდით!** ჩვენი გაფრენა გაურკვეველი (უფრო სწორად, გარკვეული) მიზეზების გამო რამდენიმე საათით გადაიდო. ლეილა ცომაია იძულებული გახდა, თვითონ დაკავშირებოდა მაშინდელ პრემიერ-მინისტრს — ავთანდილ მარგიანს. აშკარა იყო, რომ ჩვენი გამგზავრება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა და მარგიანი ყველაფერს კიდევ უფრო „ზემოთ“ ათანხმებდა **(მოგვიანებით გაირკვა, რომ სასტიკად გაუსწორდნენ იმ მძღოლებს, ვინც აეროპორტში წაგვიყვანა).**

როგორც იქნა, ჩავაღწიეთ გროზნოში. ჩეჩნეთის ხელისუფლებამ დიდი პატივით მიგვიღო და გვიმასპინძლა. გვემსახურებოდა ავტობუსი, დაგვაბინავეს ქალაქის შორიახლოს, ერთ-ერთ პანსიონატში. მასპინძელთაგან გამოირჩეოდა ერთი შუახნის მამაკაცი, რომელიც მუდამ თავს დაგვტრიალებდა. როცა ვიკითხე, ვინ არის-მეთქი, მიპასუხეს: იჩქერიის (ჩეჩნეთის) რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრიო. სტუმრების ასეთი მიღება მხოლოდ კავკასიაში იციან... აღსანიშნავია, რომ ჩვენი პანსიონატის მომსახურე პერსონალი, ძირითადად, რუსები იყვნენ,რომლებიც უპრობლემოდ ცხოვრობდნენ გროზნოში. სხვათაშორის, აქვე გავიცანით ერთ-ერთი ჩეჩენი ოპოზიციონერი, რომელიც წვეთი წყალივით ჰგავდა ჩვენს ოპოზიციონერებს: ჯოხარ დუდაევი ეროვნებათშორის შუღლს აღვივებს, არც რეფორმებს ატარებსო!

გროზნოს ქუჩებში ყველამ იცოდა, ვინ ვიყავით და რისთვის ვიყავით ჩასულნი; საოცარი პატივისცემით გვეპყრობოდნენ, რაც, ცხადია, ზვიად გამსახურდიას დამსახურება იყო, რომელიც მათ მთელი კავკასიის პრეზიდენტად მიაჩნდათ.

ზვიად გამსახურდიას ცხედარი იმ ორსართულიან რეზიდენციაში ესვენა, რომელიც ჯოხარ დუდაევმა გამოუყო მის ოჯახს. თითოეული ჩვენგანისთვის ორმაგად მძიმე იყო ის, რაც იმ დღეებში ხდებოდა — პრეზიდენტის უეცარი, გასაიდუმლოებული სიკვდილი, მასთან გამოთხოვება და უცხო მიწაზე დაკრძალვა. ძნელია იმ მწუხარების, საოცარი ზარისა და ტანჯვა-ვაების გადმოცემა, რომლითაც მისი ოჯახი, თანამებრძოლები, გროზნოში ჩასული რიგითი ქართველები ემშვიდობებოდნენ ზვიად გამსახურდიას. ეს უმძიმესი წუთები იყო, უპირველესად, პრეზიდენტის მცირეწლოვანი შვილებისთვის, მისი მეუღლისთვის — ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთვის, რომელსაც, დიდი ტკივილის მიუხედავად, ღირსეულად ეჭირა თავი და წუთითაც არ ავიწყდებოდა, რომ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის მეუღლე და თანამებრძოლი იყო: „მე შენ უკვდავება მეგონე, ზვიად, ასეც დარჩები ხალხის გულში, მაგრამ ჩემთვის შენს ფიზიკურ არსებობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“... თუმცა, ცხადია, ოჯახს ბევრი ჰქონდა სათქმელი. არასოდეს დამავიწყდება, როგორ შემოვიდა პანაშვიდზე მტკიცე ნაბიჯებით ჯოხარ დუდაევი და თანაგრძნობის ნიშნად მანანა არჩვაძე-გამსახურდიას შუბლზე დაადო ხელი; მართლაც საოცარი ჟესტი იყო თანაგრძნობითა და, ამავე დროს, ღირსებით აღსავსე. საერთოდ, ჩეჩნეთის პრეზიდენტი ცოტა მკაცრი, კუშტი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სულ სხვაგვარი იყო იჩქერიის ვიცე-პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი — ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი, რომელიც ეროვნული მოძრაობის სათავეში იდგა და სრულიად უმტკივნეულოდ დაუთმო პირველობა ჯოხარ დუდაევს, რადგან მიხვდა, რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფ პატარა ქვეყანას სწორედ ასეთი პრეზიდენტი სჭირდებოდა.

**1994 წლის 23 თებერვალს ჩეჩენი ხალხი თავისი ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ თარიღს — დეპორტაციის 50 წლისთავს აღნიშნავდა. ამ დღეს თბილისიდან ჩამოვიდა დელეგაცია, რომლის ხელმძღვანელიც პროფესორი გურამ შარაძე იყო. დელეგაციაში შედიოდნენ: აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი, პროფესორი ზურაბ ძოწენიძე, სახალხო მხატვარი გიორგი ოჩიაური, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები ნინო და მერი ტიტვინიძეები და ა.შ. აჭარიდან სპეცრეისით ჩამოფრინდა დელეგაცია უზენაესი საბჭოს დეპუტატის ცისანა ანთაძის მეთაურობით... სულ გროზნოში ორი ათასზე მეტმა ქართველმა მოიყარა თავი.**

23 თებერვალს, დეპორტაციის მემორიალური კომპლექსის გახსნის შემდეგ, მიტინგმა გადაინაცვლა გროზნოს ცენტრალურ მოედანზე, პრეზიდენტის სასახლის წინ, სადაც შედგა ზვიად გამსახურდიას რეზიდენციიდან მისი ცხედრის გადმოსვენებისა და პრეზიდენტის სასახლის მარმარილოს დარბაზში სამოქალაქო პანაშვიდის გამართვის ცერემონიალი.

საქართველოს პრეზიდენტი უდიდესი პატივითა და ღირსებით დაკრძალეს. გროზნოს ქუჩები ხალხით იყო სავსე, ყველა გულწრფელად გლოვობდა. დახრილი იყო საქართველოსა და იჩქერიის სახელმწიფო დროშები. ზვიად გამსახურდიას ხსოვნის პატივსაცემად გაიმართა სამხედრო აღლუმი... პანაშვიდები და დაკრძალვა ქრისტიანული წესისამებრ ჩატარდა, წირავდნენ თბილისის ტვერელის ეკლესიის მოძღვარი მამა კონსტანტინე და ეპისკოპოსი ამბროსი ქათამაძე.

რეზიდენციის ეზოში ზვიად გამსახურდიას სამარე ქართველებმა გათხარეს, საფლავის ქვაც წარწერით საქართველოდან ჩამოიტანეს... სამგლოვიარო მიტინგზე ქართველების გარდა, სიტყვით გამოვიდნენ უკრაინის, რუსეთის, ლიტვის სეიმის, პოლონეთის წარმომადგენლები, ყაზახეთის მცირერიცხოვანი დელეგაციაც კი იყო ჩამოსული.

შემდეგ, ქართული ტრადიციით, მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი სუფრა გაიმართა, სადღეგრძელოებიც საქართველოდან საგანგებოდ ჩამოტანილი ღვინით შეისვა.

მეორე დღეს, თბილისში გამომგზავრებამდე, კიდევ ერთხელ გავედით ზვიად გამსახურდიას საფლავზე. დავემშვიდობეთ პრეზიდენტს, მის ოჯახს, იმ ქართველებს, რომელთაც „დემოკრატიულ საქართველოში“ არ ჩამოესვლებოდათ. მათ საოცარი თვალები ჰქონდათ, სრულიად რომ არ ჰგავდა იმ თვალებს, თბილისის აეროპორტში რომ ვიხილე... გროზნოდან თბილისში ჩვენი მგზავრობის ხარჯები ჩეჩნეთის ხელისუფლებამ გაიღო. ვაინახები, ისევე, როგორც ქართველები, მოყვარეს მოყვრულად ხვდებიან, მტერს — მტრულად.

**მას შემდეგ 11 მშფოთვარე წელი გავიდა. დღეს აღარც ჯოხარ დუდაევია ცოცხალი, აღარც — ზელიმხან იანდარბიევი. მათ ზვიად გამსახურდიას ბედი გაიზიარეს და უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცნენ. თუმცა, ქართველებიც და ჩეჩნებიც იმ თარგამოსის შვილები არიან, რომელმაც იცოდა, რომ „სამშობლოს მთებს იქით უკანდასახევი გზა არ არის“.**

**ნინო კვიტაშვილი**

არდავიწყება





# გროზნო, 1994 წელი, 24 თებერვალი

## ზვიად გამსახურდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი

წინა გვერდებიდან









***გაზეთი „მამული" მომავალ ნომერში შემოგთავაზებთ პროფესორ გურამ შარაძის ფრიად საყურადღებო მოგონებას „ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება". მანამდე კი, ზვიად გამსახურდიას ჩეჩნეთში დაკრძალვიდან 11 წლის შემდეგ გთავაზობთ სამგლოვიარო მიტინგზე წარმოთქმულ გულისამაჩუყებელ სიტყვებს.***

მიტინგის წამყვანი, **უზენაესი საბჭოს დეპუტატი ავთანდილ რცხილაძე:** - ბატონო ჩეჩნეთის პრეზიდენტო, ღრმად პატივცემულო ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთავრობის წევრებო, ქალბატონებო და ბატონებო! დღეს ჩვენ ვემშვიდობებით უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქს, საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ჰელსინკის კავშირისა და წმიდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას. სამგლოვიარო მიტინგს გახსნილად ვაცხადებ.

*ჟღერს საქართველოს ჰიმნი.*

**ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი:** - ძნელია, წარმოთქვა ეს სიტყვები - ილაპარაკო ზვიად გამსახურდიას სიკვდილზე. და შეუძლებელია, გამოარჩიო, ვის მიმართო კავკასიაში - ეს მთელი კავკასიელი ხალხის, მთელი ჰუმანური კაცობრიობის ტრაგედიაა.

ზვიად კონსტანტინეს ძე ჩვენი დროის ერთ-ერთი უგენიალურესი პიროვნებაა. გამოჩნდება ხანი, და არაა შორს ის დრო, როცა საქართველოც და კავკასიაც, აგრეთვე მშვიდობისმოყვარე ჰუმანური კაცობრიობა გაიაზრებს, თუ ვინ დავკარგეთ.

მე დავკარგე, უპირველესად, ტალანტი-მასწავლებელი, თანამებრძოლი ადამიანის უფლებათა დაცვაში და ერთგული მეგობარი. მაგრამ უნდა დაგარწმუნოთ, ზვიად გამსახურდიას საქმენი თავისი სიცოცხლისუნარიანობით იმდენად დიადია, რომ ისინი ათასი წლის მერეც ხალხის მადლიერებით იქნებიან მოსილი.

მოხდა ისე, რომ ტრაგედიას ტრაგედია დაერთო. როგორ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ხალხი საქართველოში, თუკი დღეს არ ძალუძს, მშობლიურ მიწას მიაბაროს გენიალური ადამიანის ნეშტი. ეს ეპოქის ორმაგი ტრაგედიაა.

ზვიად კონსტანტინეს ძე ნებაყოფლობით წავიდა ამ ცხოვრებიდან, გააკეთა რა ყოველივე, რისი გაკეთებაც შეძლო საქართველოსა და კავკასიისათვის.

ცხოვრებაში თავისი გააზრებული ნაბიჯის გადადგმისას მან თავი გაიღო საქართველოსა და კავკასიის ხალხთა პატიოსნების, სინდისის, ღირსების, დამოუკიდებლობისა და ამ მიწაზე მათი უფლებების დაცვისათვის.

და უკანასკნელი ნაბიჯი მან გადადგა მარადისობაში, რათა წინ აღდგომოდა მისი სახელითა და დროშით შემდგომ სისხლისღვრას.

მე კარგად ვიცი, რატომ წავიდა იგი საქართველოში. ზვიად კონსტანტინეს ძე არ იყო მხდალთა რიგებიდან. ის იყო გმირული, ძლიერი, ნიჭიერებით თვით ღმერთისა და ბუნების მიერ ცხებული ადამიანი, ასეთ ადამიანს კი შეუძლებელია, გაუცნობიერებლად გადაედგა თუნდაც ერთი ნაბიჯი. და გადადგა კიდეც ეს ნაბიჯი, რათა კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი თავისი ერთგულებისა და სიყვარულისათვის საქართველოსა თუ მისი ხალხისადმი.

ჩვენ მოვიპოვეთ დიადი ადამიანის ნეშტი და ნეშტი ამ ადამიანისა მიებარება აქაურ მიწას. ჩვენ ბედნიერნი ვართ, მივიღოთ ეს ნეშტი. როგორც ჩანს, ზენაარმა ამჯერადაც აკურთხა ეს მიწა. ასე მოხდა. მაგრამ ჩვენ როდი ვმიჯნავთ მას საქართველოსაგან. არ ვაცალკევებთ მას არც კავკასიისაგან - იგი კავკასიის შვილია და, სურთ თუ არა ეს მოწინააღმდეგეთ, ესაა ჩვენი დროის უნიჭიერესი და უგენიალურესი ადამიანი.

მშვიდობა მის ნეშტს და სიცოცხლე მის საქმეებს!

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი დევნილობაში ბესარიონ გუგუშვილი:** - დღეს ჩემი სული და გული სინანულისა და დანაშაულის გრძნობითაა სავსე. მე ცოცხალი ვარ, ჩვენი სანუკვარი პრეზიდენტი კი აღარ გვყავს. ბედმა მესამედ დამაყენა მის საფლავთან - იგი ვერ გადავარჩინეთ, ვერ ვიხსენით იმ საშინელი განსაცდელისაგან, რაც მას ელოდა. ბედმა მარგუნა, პრეზიდენტთან ვყოფილიყავი მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებში. ეს იყო გმირული ბრძოლა, ტრაგედია, წამება. დამნაშავე ვარ პრეზიდენტის წინაშე, რომ არ მეყო ვაჟკაცობა, მასთან ერთად დავღუპულიყავი ბრძოლაში. ჩვენ ყველანი დამნაშავეები ვართ, რომ ბოლომდე არ გავყევით პრეზიდენტს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და ვერ მოვიპოვეთ მტერზე საბოლოო გამარჯვება. უმძიმესი იყო ეს ორთვიანი გზა ალყაში, პრეზიდენტი ყველაზე მძიმე წუთებშიც კი ფიქრობდა და ღელავდა თავის ოჯახზე, შვილებზე. მინდა, ქართველმა ხალხმა იცოდეს სრული სიმართლე იმ გმირული გზის შესახებ, რომელიც პრეზიდენტმა განვლო. დღეს ჩვენ - ქართველები, ჩეჩნები ვემშვიდობებით ადამიანს, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანა. მაგრამ ქართველი ხალხი არ აღმოჩნდა მზად, ღირსეულად ამოსდგომოდა მხარში თავის პრეზიდენტს, არ იყო მზად მასთან ერთად სასიკვდილო ბრძოლისთვის. მტერი ჯერ კიდევ ძლიერი იყო... სიკვდილმა ჩვენ დაგვამარცხა, ზვიადი - ვერა. ზვიად გამსახურდია დაუმარცხებელი იყო და ასეთად დარჩა. ის სამშობლოში დაბრუნდა, როგორც პრეზიდენტი და სამუდამოდ დარჩა პრეზიდენტად! ის დაბრუნდა საქართველოში, რათა თავისი ქვეყნისთვის თავისუფლება მოეტანა და უზარმაზარ იმპერიასთან უთანასწორო ბრძოლაში დაეცა. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და ზვიად გამსახურდია კვლავ დაბრუნდება საქართველოში. მშვიდობით, ბატონო ზვიად!








**ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი ზელიმხან იანდარბიევი:** - მან უდიდესი მემკვიდრეობა დატოვა ამ ღვთისგან რჩეულ მიწაზე, რომელსაც კავკასია ეწოდება. სწორედ კავკასიის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან თანაზიარება იქცა მისი ბედის განმსაზღვრელად. მან ჩეჩნეთში იპოვა მეგობარი და თანამოსაგრე და ბოლომდე ერთხელ არჩეული გზის ერთგული დარჩა. ის, რაც მან გააკეთა, მხოლოდ ქართველ ხალხს არ ეკუთვნის. საქართველო ყოველთვის იყო მთელი კავკასიის თავისუფლებისათვის ბრძოლის ავანგარდში, ამიტომაც ვცდილობდით, მას მხარში ამოვდგომოდით. დღეს მთელი კავკასია ამ გზას უნდა დაადგეს, გზას, რომლისკენაც ზვიად გამსახურდია მიგვიძღოდა. დღეს ქართველი ხალხი კარგად აცნობიერებს, რომ სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე აღმოჩნდა. ეს კარგად დავინახე საქართველოში ყოფნისას - როცა პრეზიდენტის ცხედარი ჩეჩნეთში გადმოვასვენეთ. თვალნათლივ დავინახე, რომ ხალხს უყვარს ზვიად გამსახურდია, მიუხედავად იმ საშინელი რეჟიმისა, რომელიც იქაა. ზვიადის სიტყვა და საქმე უკვდავია, ისევე, როგორც თავად იგი - მას საქართველო, მთელი კავკასია მოწიწებით ეთხოვება. გამსახურდიას თანამებრძოლები დარწმუნებულნი იყვნენ - პატარა ჩეჩნეთი მტკიცედ ადგას თავისუფლების გზას და საქართველოს გამოცდილების გაზიარებით არასოდეს გადავუხვევთ ამ გზიდან.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თენგიზ კიკაჩეიშვილი:** - ბატონო ზვიად, საქართველოს ისტორიაში ბევრს არ დაუმსახურებია ისეთი სახელი და ერის სიყვარული, შენ რომ გხვდა წილად. ცხადია, არ უნდა შეგვაცდინოს იმან, რომ დღეს ჩეჩნეთის მოძმე, მაგრამ მაინც შორეულ და უცხო მიწას რომ უნდა მიგაბაროთ დროებით. ეს ამ წუთისოფლის წყევლა-კრულვიანი საკითხავია, ბედისწერის იდუმალების ნიშანია, მაგრამ მაინც ვერ არყევს ქვეყნის ღრმა სიყვარულს თავისი დიადი შვილისადმი, რამეთუ ეს, თუნდაც, დროებითი უმადურობა, დაუფასებლობა ამაღლებინებს ხმას გულისტკივილით ვაჟას: „შვილის სიკეთე მშობელს შეშურდეს, ნამდვილ მშობელს ეს ეკადრება? (ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ) არ გეკადრება, არ გეკადრება!" დროთა განმავლობაში ერთი ასად გამოისყიდის და სამარადჟამოდ დიდების შარავანდედით მოსავს ხოლმე ერი მას, ვისაც დაუმსახურებელი ტკივილი მიაყენა - ასეთი ხვედრი ერგო დიდ ილიას, ასეთი ხვედრი გერგუნა შენ. ერთი რამით ილიაზე მეტადაც დაგიდასტურა თავისი გრძნობა და დამოკიდებულება ერმა - ქვეყნის პირველ პრეზიდენტად აგირჩია, ერთ კაცს ამაზე მეტი რა უნდა რგებოდა მშობლისგან?! ამიტომაა, რომ უცხო მხარეში შენი გადმოსვენება ბედის ჩარხის აჩირებული ტრიალია მხოლოდ. შენ საქართველოს უკვდავი სული, სისხლი და ხორცი ხარ; მაინც შენისთანა მემკვიდრის მიერ უნდა ახმიანებულიყო და განხორციელებულიყო საქმეში ვაჟკაცური სულის ღაღადისი:

*„მადლობელი ვარ, დამბადებელო,*
*ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,*
*როგორიც ამ დღეს საჭირო არი,*
*სამშობლოს წყლულებს როგორიც უნდა.*
*ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ,*
*მაინც ბედს ვმადლობ, - ეშმაკს შეჰშურდა".*

ჩვენ ვით ვზიდოთ მძიმე ჭაპანი უშენოდ, მაგრამ განუხრელად მაინც შენი გზით ვივლით, ბატონო პრეზიდენტო! თავისუფალ საქართველოში შეხვედრამდე!

**პროფესორი გურამ შარაძე:** - დღეს საქართველო, ქართველი ხალხი მთელი კავკასიის ხალხთან ერთად ემშვიდობება საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. ზვიად გამსახურდიამ, უდიდესი ქართველი მწერლის, კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟმა, სიყრმიდანვე დაიწყო გმირული ბრძოლა იმპერიის წინააღმდეგ, მთელი ცხოვრება იბრძოდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და მიაღწია კიდეც ამას, მაგრამ თავისი სიცოცხლის ფასად. დღეს საქართველოს მძიმე დღეები უდგას, შეიძლება











## არდავიწყება

ითქვას, უმძიმესი - თავისი არსებობის მანძილზე. დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი გადალახავს ამ ძნელბედობას და ამ ბრძოლაში ზვიად გამსახურდიას წმინდა სახელი დაეხმარება. ჩვენ მისი მადლობელნი ვართ, რომ მოგვცა საბაბი, ახლოს გაგვეცნო ჩვენი ხალხი, მთელი კავკასიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ცოცხალი ლეგენდა - ჯოხარ დუდაევი. ამ ორი ტრაგიკული წლის მიუხედავად, ზვიად გამსახურდიამ ჩეჩნეთის წმინდა მიწაზე რომ გაატარა, ზვიად გამსახურდიასა და ჯოხარ დუდაევის მეგობრობა სამაგალითოდ დარჩება ორი ქვეყნის ისტორიაში. მადლობა ჩვენ ხალხს იმ მხარდაჭერისათვის, ყურადღებისათვის, რაც ჩვენ პრეზიდენტის მიმართ გამოიჩინა...*(ამის შემდეგ პროფესორმა შარაძემ საზოგადოებას ქართულად მიმართა)*: კოლხური კოშკი, რომელიც გაძარცული და გადამწვარია, ელოდება თავისი პატრონის, მემკვიდრის დაბრუნებას. ჩვენ რაც შევძელით, გავაკეთეთ - გადავარჩინეთ ზვიად და კონსტანტინე გამსახურდიების არქივი, მემორიალური ნივთები, უკვდავი ხელნაწერები. სატელეფონო საუბრებში თითოეული ფურცლის აღმოჩენა გვიხდოდა, გვეხარებოდა ბატონ ზვიადისათვის. წინა ჩამოსვლისას გროზნოში ბატონმა დუდაევმა შემოგვთავაზა, რომ თავად აღადგენდა კოლხურ კოშკს. დიდი მადლიერებით აღვიქვი ეს წინადადება, მაგრამ შემრცხვა საქართველოს გამო... ჩეჩნეთის პრეზიდენტს დავპირდი, რომ კოშკს თავად ქართველი ხალხი აღადგენდა. საქართველო ზვიად გამსახურდიას ცხედრის გარეშე, მისი ცოლ-შვილის გარეშე ღარიბი და უბედურია. დარწმუნებული ვარ, საქართველო ჩამოირეცხავს ამ ლაქას. ნახვამდის, ბატონო ზვიად, საქართველოში ჩამობრძანებამდე.

*ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის -* ***ჯოხარ დუდაევის მეუღლემ ალა დუდაევამ*** *საქართველოს პრეზიდენტს ლექსი მიუძღვნა:*

Как наши речи многословны,
Деяния наши как легки,
Застыли строгие колонны,
И черный шелк из под руки
Течет на бледный лоб Звиада,
Лоб гуманиста и творца,
Какая жалкая награда
За всё - улыбка подлеца!
Ваш агнец первый президент
Его конец - светой венец
Всей жизни - в тюрьмах и изгнаньях,
Что? - есть завистники страданию,
Мучению, смерти... Что же есть?!
На свете подлецов не счесть,
Когда порукой только честь!
Да, только это вас тревожит,
Честь не отнять, не запетнять:
Его и свечка не поможет,
И на свою не обменять!
В чем грех? - России непокорства,
Любовь к свободе, ах, Звиад,
Не знал, не ведал ты притворства,
И от людей не ждал наград,
А Грузия - любовь твоя,
Вернулась на круги своя,
Он заколдовал, этот круг,
Им правит много грязных рук,
И не успеть нам некуда;
Пока по вкусу та еда,
Который кормит нас сейчас!
Но верю, что наступит час,
Когда Мать-Грузия с лица
Сотрет улыбку подлеца!

**აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი:** - ზვიად გამსახურდია საოცარი ადამიანი იყო, საოცარი თავისი სიდიადით, კეთილშობილებითა და უბრალოებით. ბატონო პრეზიდენტო *(მიმართავს ჯოხარ დუდაევს)*, ნება მომეცით, მივმართო ამ შესანიშნავ ხალხს - ჩეჩნებს და თაყვანი ვცე მის დამოკიდებულებას ტანჯულისადმი, მოძმისადმი. ხდება ხოლმე, რომ ერთი ოჯახის შვილები ივიწყებენ რა ტრადიციებს, საერთო ინტერესებს, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ექვეთებიან ხოლმე ერთმანეთს, ეს უბედური ოჯახია! მას დახმარება სჭირდება და უფრო მეტადაც, ვიდრე სხვა ოჯახს, რომლის შვილებიც, თუნდაც, მტერთან ბრძოლაში დაეცნენ. ვინაა ასეთი ოჯახის ჭეშმარიტი მეგობარი და მეზობელი? არა ის, ვინც ძმებს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა, იარაღს აწვდიდა და „გამარჯვებას“ ულოცავდა, არამედ ის, ვინც ჭეშმარიტად სამეგობრო ხელი გამოგვიწოდა. ასეთი მეგობარი აღმოჩნდა ჩეჩენი ხალხი თავისი გმირი პრეზიდენტით. დღეს ჩვენ მიწას ვაბარებთ საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ადამიანს, რომლისთვისაც ცხოვრება შეიძლება გართობა ყოფილიყო, მაგრამ მუდმივ ტანჯვად და მსხვერპლშეწირვად იქცა თავისი სამშობლოსთვის, მისი თავისუფლებისათვის. ამბობენ, მას შეცდომები ჰქონდაო! ახლა ადვილია, თბილად კაბინეტში მჯდომარემ კალკულატორით ხელში ითვალო მისი მოღვაწეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. გამსახურდია ხშირად მარტო ან უახლოეს გარემოცვასთან ერთად დარჩენილი იღებდა უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. ან ეგებ ისინი არიან მართლები, ვინც მისი შეცდომების გასწორება ტანკებითა და ჰაუბიცებით გადაწყვიტა?! მათ შეცდომა კი არ დაუშვეს, დანაშაული ჩაიდინეს; ამ ადამიანების მსაჯული ღმერთია, მაგრამ სასამართლო აღმასრულებლები ჩვენ ვართ, ხალხი. ამბობენ, რომ ჩვენს პრეზიდენტს არ უყვარდა სხვა ერები და საქართველო იზოლაციისკენ მიჰყავდა... ჩვენ კარგად გვახსოვს მისი თბილი შეხვედრები სომხებთან, თათრებთან, ბერძნებთან, ებრაელებთან, საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების დამოკიდებულება გამსახურდიასადმი. არჩევნებისას გამოჩნდა - მათ ხმა მისცეს მის კანდიდატურას და ქვეყნის დამოუკიდებლობას. ზვიად გამსახურდიას ოჯახის ნუგეშისცემა ძნელია. მაგრამ მათ დარდს შეუმსუბუქებს ის, რომ მათთან არის არამარტო ქართველი, არამედ მთელი კავკასიის ხალხები, უპირველესად, ჩეჩნები - სიმართლის, თავისუფლების რაინდები. თქვენი თანხმობა, ჩეჩნეთის მიწაზე დაიკრძალოს საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა. რატომ? იმიტომ, რომ ქართველი ხალხი ჯერ არ ამაღლდა აქამდე, ერი გათითოკაცებულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბოლოს და ბოლოს, შევიგნებთ, რომ ქართველისთვის მეორე ქართველი ან ნებისმიერი სხვა ადამიანი არ შეიძლება იყოს მტერი! ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ ერთიანობის იქით გზა არა გვაქვს და ერთ მუშტად შევიკვრებით. და აი, მაშინ, ბატონო ჯოხარ, მოვალთ თქვენთან, გეტყვით უღრმეს მადლობას, მუხლს მოვიდრეკთ ჩვენი პრეზიდენტის წმინდა საფლავთან და... ამის შემდეგ ქართული მიწა გაათბობს თავისი მრავალტანჯული შვილის ძვლებს. ჯერჯერობით კი, ჩვენო განუმეორებელო, ბატონო ზვიად, განისვენე ჩეჩნეთის მიწაში, იმ იმედით, რომ ეს სანატრელი დღე უახლოეს მომავალში დადგება!

## პრეზიდენტს ხატავენ



## პრეზიდენტს აქანდაკებენ



## ჩეჩნეთი, გროზნო (მომავალში - ჯოხარ-ქალაქი), 1994 წლის 23-24 თებერვლის ქრონიკა

● გროზნო, 1994 წლის 23 თებერვალი. საქართველოდან ჩადის ოფიციალური დელეგაცია — პროფესორი გურამ შარაძე, აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი, სახალხო მხატვარი გოგი ოჩიაური, პროფესორი ზურაბ ძოწენიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები — ნინო და მერი ტიტვინიძეები... ოფიციალური დახვედრა. კორტეჟი მიემართება გროზნოს ცენტრისკენ, პრეზიდენტის სასახლისკენ. ამ დღეს გაიმართება ჩეჩენი ხალხის დეპორტაციისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო ცერემონიალი, მიტინგი.

● 23 თებერვალს, შუადღისას, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ცხედარი მისი რეზიდენციიდან დიდი პატივით გადმოასვენეს ჩეჩნეთის პრეზიდენტის სასახლის მარმარილოს დარბაზში, სადაც გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი... ქვემეხის ლაფეტზე იდგა კუბო ზვიად გამსახურდიას ცხედრით, რომელზეც გადაფარებული იყო საქართველოს სახელმწიფო დროშა. უკან მიჰყვებოდნენ შავ და თეთრჩოხიანი მხედრები. პრეზიდენტმა დუდაევმა გასცა ბრძანება ზვიად გამსახურდიას ხსოვნის პატივსაცემად სამხედრო აღლუმის დაწყების შესახებ.

● მარმარილოს დარბაზში სამოქალაქო პანაშვიდი გაგრძელდა მეორე დღეს — 24 თებერვალს, დღის 2 საათამდე.

ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია: „მიცვალებული გალეულია, 40 კილოა ცხედარი! ვიარსებებ შვილებისთვის, რომ ვარამი შევუმსუბუქო. ჩემი ცხოვრება კი დამთავრდა. მე შენ უკვდავება მეგონე, ზვიად; ასეც დარჩები ხალხის გულში, მაგრამ ჩემთვის შენს ფიზიკურ არსებობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კიდევ ერთი დღე მელის შენთან ერთად ბედნიერი, თუ მოვესწარი — როცა საქართველოში წავალთ ერთად. ბავშვებს იმ კოშკს ვერ ვაცილებდი, დღეს კი ეს კოშკი ტირის!“

● 24 თებერვალს, ხუთშაბათს, დღის 2 საათზე, პრეზიდენტის სასახლის მარმარილოს დარბაზიდან გამოასვენეს გამსახურდიას ცხედარი და პროცესია მისი რეზიდენციისკენ გაემართა. რეზიდენციის ეზოში, ახლად გაჭრილი საფლავის წინ გაიმართა სამგლოვიარო ცერემონიალი.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ჩეჩნეთის მიწას მიაბარეს.

**მზია ბაქრაძე:**
***1991 წლის 21 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია საქართველოს რადიოში მოვიწვიეთ პირდაპირ ეთერში სასაუბროდ. საქართველოს რადიოს არსებობის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ქვეყნის ხელმძღვანელი თავად სტუმრობდა რადიოს, თან პირდაპირ ეთერში, თან წინასწარ დაწერილი ტექსტის გარეშე. მე და ჩემი მეგობრები ვღელავდით, მაგრამ გვჯეროდა, რომ მოვიდოდა... გარეთ კი უკვე სხვა ეპოქა იდგა... საღამოს, ზუსტად დათქმულ დროს — 21 საათზე შემოაბიჯა ტელერადიოკომიტეტის ჰოლში თავის დაცვასთან ერთად. ის ისე მსუბუქად და ლაღად შემოვიდა, როგორც ეს თავისუფალი საქართველოს პრეზიდენტს შეეფერებოდა, ჩვენც ასეთივე განწყობით დავხვდით, „მეათე სტუდიაში“ გავუძეხით, სადაც მას ცხელი ყავა, თავისუფალი ეთერი და მთელი საქართველოს ყურადღება ელოდა. 1991 წლის 26 მაისს კი, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მას პრეზიდენტად აირჩევს.***



საქართველოს რადიოს ოქროს ფონდიდან

# ზვიად გამსახურდია:
# ქართველ ერს ვპირდები თავისუფლებას!!!

**მანამდე ზვიად გამსახურდია იტყვის:**
- ქართველ ერს ვპირდები თავისუფლებას!

**მზია ბაქრაძე:**

**- ბატონო ზვიად, სანამ სხვა საკითხებს შევეხებოდეთ, მანამდე ხომ არ გვეტყოდით, რას აკეთებდით დღეს?**

- დილით რუსულენოვანი მოსახლეობის დელეგაცია იყო ჩემთან, გრიბოედოვის თეატრის წარმომადგენლები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ვისაუბრეთ ძალზე კონსტრუქციულად, საინტერესოდ: შემდეგ წავედი მარნეულში და შევხვდი მოსახლეობას, როგორც ქართველებს, ასევე აზერბაიჯანელებს.

**- როგორია განწყობა?**

- ძალიან კარგი, შედარება არ არის, რაც იყო უწინ და სადღაც ამას მივაწერ ჩვენს სწორ პოლიტიკას არაქართველი მოსახლეობის მიმართ. მოიხსნა ყოველგვარი დაძაბულობა, გაუგებრობები, აქაც და სხვა არაქართულ რაიონებშიც. მე ვთვლი, რომ კარგად მიდის საქმე მარნეულში და სხვა მსგავს რაიონებშიც. მოიხსნა შიში, რომელსაც ნერგავდნენ ჩვენი მოწინააღმდეგეები, რომ ჩვენ არაქართველების მტრები ვართ და მათ გაძევებას ვაპირებთ საქართველოდან და ა.შ. ეს ყველაფერი უკვე ჩაბარდა წარსულს... შემდეგ დავბრუნდი, სხვადასხვა საქმეები იყო... ახლა თქვენთან ვარ სტუმრად...

**- პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, პირველად რა პრობლემების გადაწყვეტას შეუდგებით და რა კანონებს მიიღებთ?**

- მივიღებ იმ კანონებს, რომლებიც უკვე მზადების პროცესშია, კერძოდ, კანონს პოლიტიკური პარტიების შესახებ, კანონს პრესის შესახებ. როდესაც ეს პროექტები განხილული იქნება საჯაროობის სრული დაცვით, მოსახლეობის აზრის სრული გათვალისწინებით, მაშინ ამ კანონებს მივიღებთ. იყო ოპონენტების საყვედურები ჩვენს მიმართ - რატომ სასწრაფოდ არ მიიღეთო, მაგრამ მათ არ უწყიან, თუ რამდენად დიდი სამზადისი სჭირდება თითოეული ასეთი სერიოზული კანონის მიღებას.

**- ბატონო ზვიად, ალბათ, იგეგმება კრემლში შეხვედრა გორბაჩოვთან, ან მის მაგივრად ვინც იქნება... აუცილებლად დადგება ქონების გაყოფის საკითხი, ისინი კაპიკ-კაპიკ დაგვითვლიან ყველაფერს. ჩვენ თუ გვაქვს დათვლილი (დაახლოებით მაინც) გასაბჭოების შემდეგ საკავშირო ბიუჯეტში რა თანხები შედიოდა საქართველოდან?**

- რაც შეეხება შეხვედრას, სწორედ დღეს მივიღე გორბაჩოვის ტელეგრამა - მოსკოვში მიწვევს 24 რიცხვში, მაგრამ მე უარი შევუთვალე, ვინაიდან საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს და ამჟამად არ შემიძლია ჩასვლა. გარდა ამისა, ერთგვარი დიპლომატიური მხარეც არის, ჩემი იქ ჩასვლა ახლა არ იქნება გამართლებული. შეხვედრა მოხდება არჩევნების შემდეგ. იქ იქნება სწორედ პრაქტიკულ საკითხებზე საუბარი. დიახ, ჩვენ გამოთვლილი გვაქვს და ვიცით, რა ზარალი ნახა საქართველომ კრემლის კაბალური პოლიტიკის შედეგად, მისი კოლონიური მძარცველური ეკონომიკური პოლიტიკის გამო და ამას ყველაფერს ჩვენ წავუყენებთ მათ და გვექნება საქმიანი ლაპარაკი ქონების გაყოფაზე.

**- ვალში არ დავრჩებით, მე მგონი...**

- ნამდვილად არ დავრჩებით. ჩვენ ძალიან საქმიანი, გამოცდილი ეკონომისტები გვყავს, რომლებიც სათანადოდ მოაბამენ თავს ამ საქმეს.

**- რადიომსმენელები გვეკითხებიან - საერთაშორისო სამართლის ნორმებით არის თუ არა რაიმე ისეთი კანონი მიღებული, რომელიც რამენაირად ხელს შეუშლის საქართველოს დამოუკიდებლობას?**

- არავითარი ასეთი კანონი არ არსებობს. პირიქით, საერთაშორისო სამართალი მოითხოვს ერთა თვითგამორკვევას. ყოველი ერისთვის საკუთარი ბედის გამგებლობის უფლების მინიჭებას, პირველ რიგში ამას ითვალისწინებს ჰელსინკის ხელშეკრულება.

**- რუსულ ჟურნალში „ნოვოე ვრემია“ ამას წინათ დაიბეჭდა თენგიზ გუდავას მორიგი არასასიამოვნო წერილი: „თავისუფლება სრულწლოვან ასაკამდე“, რომელიც კრემლისა და „კგბ“-ს პოზიციით უფრო არის დაწერილი, ვიდრე საქართველოს კეთილმოსურნე ადამიანისა. მითუმეტეს, ემიგრაციაში მყოფ ქართველს არ შეშვენის მსგავსი პოზიციის დაფიქსირება ახალფეხადგმული, დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს მიმართ... იგი ე.წ. ოპოზიციის აზრებს იზიარებს...**

- ესენი არიან კრემლის პროპაგანდისტული მანქანის ჭანჭიკები: **გუდავები, ჭანტურიები, კონგრესები, „მხედრიონის“** წარმომადგენლები და სხვა და სხვა... ჩვენი ღრმა რწმენით, ესენი აშკარად მართულნი არიან. ყველა სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთ პიროვნებებს პასუხისგებაში მისცემდნენ სამშობლოს ღალატისათვის. ადამიანი, რომელიც მიზნად დაისახავს თავისი ერისათვის სახელის გატეხას საზღვარგარეთ და თავისი ერის ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას, ვერ ჩაითვლება სამშობლოს ერთგულად, ამას ერი თავად განსჯის. ჩვენ ზედმეტად დემოკრატიული სახელმწიფო ვართ და სამართლებრივ შეფასებებს არ ვაძლევთ მსგავს გამოხდომებს... პასუხის გაცემა ხდება პრესისა თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. ასეთ მძიმე დროში, როდესაც ქვეყანას მხარში ამოდგომა სჭირდება, არავის ეპატიება სახელის გატეხა ერისათვის.

**- ძალიან ხშირად იგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პროტესტის წერილები, უფრო ხშირად, სამაჩაბლოში არსებული რთული მდგომარეობის გამო, იქიდან კი შესაბამისი რეაქცია ან პასუხი არ არის...**

- რეაქცია იმიტომ არ არის, რომ ჩვენ არა ვართ გაეროს წევრი და გაერო ჩვენ კვლავ მიგვიჩნევს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ გეოგრაფიულ პროვინციად, მაგრამ ამ წერილებს მაინც დიდი საპროპაგანდო მნიშვნელობა აქვს, ეს ყველაფერი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს, ამიტომ მაინც აქვს შედეგი. მე ვთვლი, რომ ამერიკის კონგრესის ის დიდი გააქტიურება ჩვენს მხარდასაჭერად - ამითაც არის განპირობებული. ადრე თუ გვიან, გავხდებით გაეროს წევრი...

**- თქვენ იცით, რომ ედუარდ შევარდნაძე აგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას და ფართო კონტაქტები აქვს უცხოეთის წამყვან პოლიტიკოსებთან. მისი ამასწინანდელი ვიზიტი ამერიკაში ჯორჯ ბუშთან ყველასათვის ცნობილია. რა როლი შეუძლია შეასრულოს ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში?**

- მას შეუძლია ითამაშოს დადებითი როლი და ეს ყოველივე მის სინდისზეა დამოკიდებული, სინდისზე! **სამწუხაროდ, მან ამ რეფერენდუმში ხმა არ მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას.** ეს შეკითხვა მე მას პირადად დავუსვი და მისგან დუმილი მივიღე, თუმც კი ის სიტყვიერად აცხადებს, რომ მაინც რაღაცით ცდილობს დაეხმაროს საქართველოს, მაგრამ რეალურ შედეგებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ.

**- როკის გვირაბით მან დაგვასაჩუქრა... თქვენ რომ გიკიჟინებენ ოპონენტები სამაჩაბლოს პრობლემას, ძირისძირი ამ საკითხისა შევარდნაძის პერიოდიდან მოდის (სხვათაშორის, აფხაზეთში არსებული პრობლემებიც ანალოგიურად შეიძლება განვიხილოთ)...**

- საქმეც ის არის, რომ ე.წ. ჩემი ოპონენტები, რომლებიც ყოველდღე გამოდიან ტელევიზიით და სამაჩაბლოს დღევანდელ მდგომარეობას მე მაბრალებენ, ყველანი ამ პიროვნების ემისრები არიან. ისინი მალავენ, რომ ფაქტიურად მან გაიყვანა როკის გვირაბი და შექმნა იმის საფუძვლები, რომ დღეს სამაჩაბლოში ასეთი მდგომარეობა იყოს. ამით ისინი ავლენენ თავიანთ თავს, რომ არიან კრემლის და ხსენებული პიროვნების ემისრები.

**- ბატონო ზვიად, რუსეთის საოკუპაციო ჯარი რომ უნდა გავიდეს საქართველოდან - ნათელია, მაგრამ, ალბათ, ეს უნდა მოხდეს თანდათანობით, როგორც ევროპის ქვეყნებში მოხდა...**

- ეს საკითხი სხვა საკითხებთან ერთად უნდა დავაყენოთ გორბაჩოვის წინაშე. მე რატომღაც მგონია, რომ აქ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას ადგილი არ ექნება; იმიტომ, რომ ეს მსოფლიოს წინაშე წამგებიანი იქნება.

თუ ისინი ჩვენ გვაღიარებენ როგორც უცხო სახელმწიფოს (როგორც ეს ცხრათა განცხადებაშია), მაშინ ლოგიკური იქნება, გაიყვანონ საოკუპაციო ჯარი საქართველოდან. ადრე თუ გვიან, ეს უნდა მოხდეს მოლაპარაკებების საფუძველზე. ჩვენ ამ მოლაპარაკებისათვის მზადა ვართ და თავდაცვისათვისაც ვემზადებით. გარდა ამისა, თუ საქართველო გახდება გაეროს წევრი, გვეძლევა შესაძლებლობა, გართულების შემთხვევაში გაეროს ჯარების შემოყვანისა.

**- დღეს კინოს სახლთან გავიარე, სანამ ჩვენი გადაცემისათვის ვემზადებოდი. იქ ოპოზიციის მიტინგი იმართებოდა და ლოზუნგი ჰქონდათ გამოტანილი: სასწრაფოდ დატოვონ საოკუპაციო ჯარებმა საქართველო. გეგონება, ვინმეს არ უნდოდეს...**

- სასაცილოა ასეთი განცხადებები და მუქარა ჯარის მიმართ: თუ არ წახვალთ, აქციებს მოვაწყობთ, ვიშიმშილებთ თქვენი შტაბის წინ... ეს არარეალური ამბავია, ჩვენ უნდა დავუცადოთ პოლიტიკურ პროცესებს.

**- რა მდგომარეობაა ამჟამად სამაჩაბლოში, თუ შეიძლება იქ სიტუაციის სტაბილიზაცია?**

- ესეც დამოკიდებულია რუსებთან ჩვენი მოლაპარაკების დაწყებაზე. ცენტრის ძირითადი იარაღი ჩვენს წინააღმდეგ არის სამაჩაბლო. ამით მოსკოვს სურს, რომ გვაიძულოს გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რაც ჩვენ არ გვინდა, მაგალითად, ხელი მოგვაწერინოს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. მაგრამ საბოლოოდ მათ ეს იმედი გადაეწურათ. ახლა უკვე ისეთი ექსცესები აღარ ხდება, თუმც კი არის ცალკეული უსიამოვნო ამბები. დღეს მომივიდა სოფელ ერედვიდან ცნობა, რომ ერთი პიროვნება, ჩვენი კარგი მეგობარი, დაიკარგა, ერთი კიდევ მკვდარი იპოვეს. თუმც ფართომასშტაბიანი ექსცესები აღარ არის. სამმხრივი კომისიაა შექმნილი, იგი არჩევნების შემდეგ ამოქმედდება და იმედი გვაქვს, რომ რაღაცას მივაღწევთ სტაბილიზაციის თვალსაზრისით. თუმც ეს ქრონიკული პროცესი იქნება... იურიდიულად სამაჩაბლოს ჩამოშორება ჩვენგან არავის შეუძლია. ეს საკითხიც (სტაბილიზაციის თვალსაზრისით) გადაწყდება გორბაჩოვთან ჩემი შეხვედრის შემდეგ.

**- რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამერიკის კონგრესის 94-ე რეზოლუციას?**

- ეს არის შედეგი სწორედ იმ ჩვენი ცდებისა საზღვარგარეთ, რომ ყურადღება მოაპყრონ საქართველოს პრობლემებს. ამერიკის კონგრესის თვალსაზრისზე ვერ იმოქმედეს იმ არაკეთილმოსურნე პროვოკატორმა ქართველებმა, რომლებიც იქ აქტიურობენ. დღეს მათ ძალზე ეფექტურად უპირისპირდება, ამხელს აქედან წასული ახალგაზრდა, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ბატონი **ირაკლი კაკაბაძე**. მიუხედავად ამ არნახული ვაკხანალიისა, რაც კრემლის მიერ არის უცხოეთში ინსპირირებული, ამერიკის კონგრესი ჩვენ გვიჭერს მხარს.

**- თქვენს პატივსაცემად იქ, კაპიტოლიუმზე დროშაც კი აღმართეს.**

- იყო ასეთი ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ყოველდღიურად იბრძვიან ჩემს წინააღმდეგ, მათ კარგად იციან კრემლის პროპაგანდის ხრიკები და ილეთები, ამიტომაც არ სჯერათ...

**- ბატონო ზვიად, როგორ შეაფასებთ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა შეხვედრას ჯორჯ ბუშთან?**

- იცით, ამ შეხვედრას ორი მხარე აქვს: ერთი მხრივ სამწუხაროა, რომ ოფიციალური ამერიკა თავს იკავებს ჩვენი რესპუბლიკების თავისუფლების აღიარებისაგან, მაინც ფრთხილობს და ყოყმანობს, მაგრამ თვით ფაქტი მიღებისა, ეს უკვე ნუგეშის მომცემია. ივნისის მეორე ნახევარში დაგეგმილია ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექნება შეხვედრა ჯორჯ ბუშთან. ამ ვიზიტს კიდევაც რომ არ მოჰყვეს ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული ცნობა (ბუშის ადმინისტრაციის მხრივ), ამას მაინც დადებითი მნიშვნელობა ექნება, ისევე როგორც ბალტიისპირეთის შემთხვევაში.

**- ბატონო ზვიად, მგონი, სალვადორ დალის აქვს ასეთი სურათი, ახლა გამახსენდა, როიალის თეთრ კლავიშებზე ყოველი ოქტავის დასაწყისში ლენინის პატარ-პატარა თავებია დახატული. ეს საუკუნე დაიწყო ლენინით**

*(იგულისხმება XX ს. - მ.ბ.)* **და ყოველი ათწლეული მისი იდეების ინტერპრეტაცია იყო სხვადასხვა ტონალობაში. რით დამთავრდება ეს საუკუნე?**

**- დამთავრდება ლენინიზმის სრული კრახით!** უკვე დამთავრდა კიდეც, ჩემი აზრით.

**- ალბათ, დამთავრდება ბელადის მავზოლეუმიდან გამოტანით...**

- მე მჯერა, რომ ეს დროც დადგება...

**- ბატონო ზვიად, გვირეკავენ რადიომსმენელები და მათ რამდენიმე შეკითხვასაც ვუპასუხოთ.**

- მეკითხებიან, რა ხდება მთავრობის სასახლესთან, ამ წუთას იქ არაფერი არ ხდება. მოსულები იყვნენ კონგრესის და მხედრიონის წარმომადგენლები, დაახლოებით სამასი კაცი, ისინი მოითხოვდნენ ჯაბა იოსელიანის განთავისუფლებას და ჩემს მიმართ რაღაც შეურაცხმყოფელ სიტყვებს ყვიროდნენ. ცოტა ხანში დაიშალნენ...

**- პედაგოგი ნელი რობაქიძე გვეკითხება, თუკი რუსეთი სუვერენულ ქვეყნად გვაღიარებს, როგორი იქნება საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა, განსაკუთრებით პირველი ერთი წლის განმავლობაში?**

- საკმარისია, საბჭოთა კავშირმა გვაღიაროს სუვერენულ ქვეყნად, რომ ქართული ეკონომიკისათვის არნახული პერსპექტივა დაისახება. უცხოეთის ქვეყნებთან დასაკავშირებელი ყველა გზა გაიხსნება, დამყარდება ეკონომიკური კონტაქტები, (ამას უკვე ეყრება საფუძველი). მე ვფიქრობ, თავის რჩენაზე ლაპარაკი აღარ იქნება...

**- გადაცემის დასაწყისში თქვენ უკვე ბრძანეთ ამის თაობაზე, მაგრამ გვირეკავს აზერბაიჯანელი, ბერძენი და სომეხი მოსახლეობა... გვეკითხებიან, როგორი იქნება არაქართველების მდგომარეობა თავისუფალ საქართველოში.**

**- არაქართველი მოსახლეობა ყოველი თვალსაზრისით გაცილებით უკეთ იცხოვრებს თავისუფალ საქართველოში, ვიდრე კომუნისტების დროს ცხოვრობდა - უფლებების თვალსაზრისით, ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ჩვენი პრინციპი არის ეროვნულ უმცირესობათა უფლებების პატივისცემა.** ჩვენ დავაკანონებთ ამ უფლებებს. უახლოეს ხანში ვაპირებთ კანონის მიღებას ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ. მე ძალიან ვთხოვ არაქართველ მოსახლეობას, ნუ იჯერებენ ჩემი მოწინააღმდეგეების მიერ გავრცელებულ ცრუ ხმებს, თითქოს ჩვენ რაღაც უარყოფითი გეგმები გვაქვს. ჩვენ რომ ასეთი გეგმები გვქონოდა, განვახორციელებდით მათ მაშინვე, როგორც კი მოვედით ხელისუფლებაში - გასული წლის 28 ოქტომბერს, მაგრამ არაფერი მსგავსი არ ჩანს ჩვენს პოლიტიკაში. ვთხოვ მათ, დამშვიდებულნი იყვნენ და იმედიანად.

**- ჩვენც უმცირესობა ვართ, ქართველები, თავის დროზე სწორედ ამ უმცირესობის დასაცავად დაიწყეთ თქვენ ეს მოძრაობა და არ შეიძლება, რომ თქვენმა პოლიტიკამ სხვა პატარა ერები დაჩაგროს. ქართველებმა საკუთარ თავზე ვიწვნიეთ, რას ნიშნავს დაჩაგვრა.**

- რა თქმა უნდა.

**- რადიომსმენელი რიტა თაქთაქიშვილი გვეკითხება კონგრესის არჩევნების შესახებ. ყველა ამბობს: ხმა არ მიგვიცია, საიდან მოგროვდა ამდენი ხმა, შემოწმდა თუ არა ეს სიებიო.**

- დიახ, შემოწმდა. ეს იყო ყალბი სიები, არავითარი არჩევნები არ ჩატარებულა, კონგრესი არავის არ აურჩევია. უცხოელი მეთვალყურეები არ ესწრებოდნენ, არჩევნები გრძელდებოდა რამდენიმე დღე, ეს ცნობილია საყოველთაოდ...

**- ბატონო ზვიად, საინტერესო იქნებოდა, გაგეხსენებინათ რაიმე თქვენი დისიდენტური წარსულიდან, როგორ გდევნიდათ სუკი, როგორ ავიწროებდნენ თქვენს ოჯახს. თითქოს ნაწილობრივ იცის ეს საზოგადოებამ, მაგრამ დეტალების გახსენება მაინც საჭიროა.**

- დეტალები ნამდვილად არ იციან. ამას, ალბათ, ერთი ტომიც ვერ დაიტევს. ძალიან ძნელად წარმოსადგენია დღევანდელი ადამიანისთვის ის, რაც ხდებოდა ჩემს გარშემო. ფაქტიური შინაპატიმრობა, ეს რასაკვირველია ოფიციალურად არ ცხადდებოდა. ჩემს სახლთან 24 საათი ყარაულობდნენ ოპერატიული მანქანები, ყველგან დაგვყვებიან, აფიქსირებენ ყველა შენს ნაცნობს, ვისაც შეხვდები, დაელაპარაკები, სადაც მიხვალ და შემდეგ ამ ხალხის ტოტალური დარბევა იწყება. ნამდვილი ტერორი იყო გამოცხადებული იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვისაც ჩემთან რაიმე კავშირი ჰქონდა. ასე რომ, ქუჩაში გამვლელთ ან ჩემს სამსახურში, ადამიანებს გამარჯობის თქმაც კი ეშინოდათ. ლიტერატურულ ან სამეცნიერო საქმეზე დავდიოდი სულ რამდენიმე ადგილას. ისინიც კი გაფრთხილებულნი იყვნენ - არ გაეცათ ჩემთვის ხმა... იყო შემთხვევები, როდესაც მიდიოდი დაწესებულებაში, ჩამოვარდებოდა ხოლმე სამარისებური სიჩუმე. თავდაპირველად ვერ ვხვდებოდი, რაში იყო საქმე, შემდეგ უკვე იძულებულნი გახდნენ ეთხოვათ, - ნუღარ მოხვალ ჩვენთან, იმიტომ, რომ გვარბევენ, გვხსნიან სამსახურიდანო. მეც იძულებული ვიყავი, აღარ მივსულიყავი. თუ, ვთქვათ, რედაქციაში რაიმე მქონდა მისატანი, მე კი არ მივდიოდი, სხვას ვატანდი. რაც შეეხება ოჯახს და შვილებს, იძულებული ვიყავი, ბავშვები გამომეყვანა სკოლიდან, ვინაიდან საშინლად იდევნებოდნენ. შექმნილი იყო ჯგუფები, ბანდები, რომლებიც ბავშვებს ავიწროებდნენ. გაგიკვირდებათ, მაგრამ ახლაც კი ჭირს. იგივე არ ხდება, მაგრამ გარკვეული უსიამოვნებები მაინც არის. ვფრთხილობთ, თქვენ იცით, რომ ჩვენ კომუნისტური რეჟიმი გავაუქმეთ, მაგრამ აგენტურა მაინც მოქმედებს, კრიმინალებად არიან შენიღბულნი. მათი საფრთხე კიდევ არსებობს, ეს იმავე ძალისაგან მომდინარეობს, იმავე ცენტრისაგან.



ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო. ავარიების მოწყობის მცდელობები, ე.წ. ხულიგნების თავდასხმები ჩემს სახლზე - ამას სისტემატურად აკეთებდნენ. მიზანი კი ერთი იყო - გამოვსულიყავი წყობიდან და ისეთი რამ ჩამედინა, რომ სისხლის სამართლის დამნაშავესავით გავესამართლებინე.

**- ბატონო ზვიად, უფრო ხშირად ახსენებენ ხოლმე მამათქვენს - ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას, ბუნებრივიც არის... მაგრამ დედას - ქალბატონ მირანდას, ნაკლებად...**

- დედა ქველმოქმედი ადამიანი იყო და ნიადაგ სხვებზე მზრუნველი, საოცარი ალტრუისტი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, საკუთარი ჯანმრთელობაც კი შესწირა სხვა ადამიანების სამსახურს, სხვების კეთილდღეობას. არასოდეს ფიქრობდა თავის თავზე, თითქოს ყოველივე ამას მეც შთამინერგავდა. მახსოვს, დასასვენებლად ვიყავით ზაფხულში, სანატორიუმში (მე ბავშვი ვიყავი), მთელი ზაფხული გაიუფერულა იმით, რომ უვლიდა ერთ უპატრონო ავადმყოფ მრეცხავს, დადიოდა მასთან, წამლები მიჰქონდა... გასაკვირია, მაგრამ თავად სანატორიუმის პერსონალი ამ მრეცხავს ახლოს არ ეკარებოდა, ისე იყო დაავადებული. ასეთი იყო დედა მთელი სიცოცხლე. საოცარი დემოკრატი, საოცარი... უბრალო. ადამიანების შემწე და ქომაგი, მოყვარული, ეს იყო მთავარი მასში.

**- რა გაძლევდათ ძალას ყველაზე უიმედო, ტერორის წლებში ისევ საქართველოს საქმე გეკეთებინათ?**

- რწმენა! ხშირად მახსენდებოდა მამაჩემის ნათქვამი: „როგორც XIX საუკუნე იყო საუკუნე პიროვნების საბოლოოდ განთავისუფლებისა, ასევე XX საუკუნე არის საუკუნე ერების განთავისუფლებისა! იცოდე, რომ საბოლოოდ ერები განთავისუფლდებიან და საქართველოც განთავისუფლდება ამ საუკუნის ბოლომდე“, - აი, ამას შთამაგონებდა ყოველთვის და ეს გამომდინარეობდა საერთოდ ისტორიის ლოგიკიდან. ეს ძალიან დიდ ძალას მაძლევდა, ამის რწმენა! მაშინ, ბუნებრივია, იყო უიმედობა, ისეთი ატმოსფერო და ისეთი სასტიკი დიქტატურა და ტერორი სუფევდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაიმარჯვა ამ ტენდენციამ, როგორც ხედავთ, ეს არის ერების განთავისუფლების საუკუნე.

**- ღვთის შეწევნით და თქვენი მეცადინეობით. ვინ გეხმარებოდათ იმ ძნელბედობის ჟამს?**

- ბევრი აღარც არის ცოცხალი. ბევრი შეეწირა ამ ურჩხულთან ბრძოლას. ის ძალა, ის სისტემა ხშირად პირდაპირი ტერორით არ ანადგურებდა ხალხს, მორალურ ტერორს მიმართავდა, ათასგვარ ფარულ მეთოდს. ბევრი დაიღუპა და, რაც მთავარია, აღარ არის ჩემი უახლოესი სულიერი მეგობარი და სულიერი ძმა მერაბ კოსტავა. ვინც შემორჩა, არ არის დასამალი, ზოგი გატეხეს კიდევაც; შეიძლება ითქვას, გადამიდგნენ... სხვადასხვა მიზეზით მოხდა ეს... ზოგი ანგარებით გადამიდგა.

მე დავასახელებ ერთ-ერთ ჩემს ერთგულ თანამებრძოლს, რუსთავის პრეფექტს **თემურ ჯანელიძეს**. იგი ჩემი და მერაბ კოსტავას გვერდით იდგა, გვეხმარებოდა და დიდი წვლილი აქვს ეროვნულ მოძრაობაში. თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრს, ვინც მაშინ მეხმარებოდა, დღესაც კი არ სურთ, რომ მათზე ღიად ვილაპარაკო (ისეთი ტრავმა და ისეთი საშინელი ცხოვრება გაიარეს). უნებართვოდ შეიძლება გამიჭირდეს კიდეც მათი დასახელება. მართალია, ოფიციალურად გავაუქმეთ, მაგრამ დრაკონი კვლავ ცოცხალია და ისევ მოქმედებს!..

**- ჩვენ ახლა მოვუსმინოთ მერაბ კოსტავას ხმის ჩანაწერს. 1989 წლის 9 აპრილს წარმოთქვა ეს სიტყვა ტელევიზიასთან...**

- მერაბი ძალიან დააკლდა ჩვენს ეროვნულ მოძრაობას, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, საქართველოს დააკლდა. საქართველო, ალბათ, სხვა იქნებოდა დღეს, მერაბი რომ გვყოლოდა გვერდით. ჩვენი ბრძოლა!.. ეს დიდი გოდოლი შემუსრა მტერმა, ბურჯი და იმედი ჩვენი, საოცარი შემართების კაცი. მართლაც, აი, იმ ძველი ქართველი გმირების დღევანდელი განსხვავება.

**- ბატონო ზვიად, კვლავ გვირეკავენ რადიომსმენელები... ერთ-ერთი შეკითხვა ასეთია: რა მდგომარეობაა დღეს ჯავახეთში?**

- ჯავახეთში არის გარკვეული უპასუხისმგებლო ელემენტების არამართლზომიერი მოქმედება. ცდილობენ იქ ხელისუფლების უზურპაციას, დაპირისპირებას ჩვენთან; ჩვენ ვგმობთ ამას, იმიტომ, რომ არ გვინდა, ჩვენი ისტორიული მეგობრობა სომეხ ხალხთან შეიბღალოს და რაღაცით ჩრდილი მიადგეს ყოველივე ამას. ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ, დიპლომატიური და სხვა საშუალებებით ჩავაცხროთ ეს ვითარება.

ვხედავ, ერთ რადიომსმენელს ლექსიც კი გამოუგზავნია. დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ ერთ რამეს ვთხოვ ამომრჩევლებს, წინა არჩევნებში - 28 ოქტომბერს, ძალიან ბევრ ბიულეტენზე, სადაც ჩემი გვარი იყო შემოხაზული, იმ უბანში, სადაც მე კენჭს ვიყრიდი დეპუტატად, იმის გამო, რომ ბიულეტენებზე დააწერეს ჩემდამი მიძღვნილი ლექსები (იცინის) - ეს ბიულეტენები გაუქმდა. ვის არ ახარებს მისდამი მიძღვნილი ლექსი, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი ზიანი მომაყენეს. დაახლოებით 1200 ბიულეტენი ბათილად ცნეს (ეს მოხდა ნუცუბიძის პლატოს საარჩევნო უბანზე).

**- შემდეგი შეკითხვა ისევ რადიომსმენელს ეკუთვნის და იგი სტალინის პიროვნებას ეხება.**

- ყველა ისტორიულ პიროვნებას აქვს თავისი ადგილი. არ შეიძლება სტალინი დღეს განვიხილოთ როგორც საქართველოს ეროვნული გმირი. ვთქვათ, კომუნისტურმა მოძრაობამ ის შეიძლება განიხილოს, როგორც თავისი გმირი, მარქსისტულ-რევოლუციურმა მოძრაობამ, მაგრამ ჩვენმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არ შეიძლება ის განიხილოს როგორც გმირი. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. სტალინი დიდი პიროვნება რომ იყო, ამას ჩერჩილიც აღიარებდა და სხვა პოლიტიკური მოღვაწეებიც, მაგრამ რა კავშირი ჰქონდა მას საქართველოსთან და მის ეროვნულ მოძრაობასთან - აი, აქედან უნდა ამოვიდეთ. მესმის იმ ომის ვეტერანების გრძნობები, რომელთაც ახსოვთ ეს ყველაფერი და მე ამას პატივს ვცემ, მე არ მინდა, რომ შეურაცხვყო მათი გრძნობები, მაგრამ განვასხვავოთ, გავარჩიოთ და ყველა პიროვნებას ჰქონდეს თავისი ადგილი.

**- ძალიან რთულია პოლიტიკური მოღვაწისათვის ყველა ქრისტიანული მცნების დაცვა. დიდი ხანია საქართველოს არ ღირსებია ქრისტიანი წინამძღოლი... როგორ ახერხებთ ამას პირადად თქვენ, როგორც მორწმუნე ადამიანი, როგორ უმკლავდება ამას თქვენი სული?**

- მაქსიმალურად ვცდილობ, რამე ისეთი სისასტიკე არ ჩავიდინო, ან ანტიადამიანური კანონი, ან ქმედება. ერთმა კანდიდატმა დაგვაბრალა, თითქოს ჩვენ ვმალავთ სიკვდილით დასჯის სტატისტიკას. არც ერთი ადამიანი არ დასჯილა სიკვდილით მას შემდეგ, რაც მე მოვედი ხელისუფლების სათავეში. კანონით მრავალი დანაშაულისათვის გაუქმდა სიკვდილით დასჯა. ვისაც უყვარს ხოლმე ჩემი პიროვნების შედარება სადამ ჰუსეინთან - ეს გაითვალისწინოს *(იცინის)*.

**- არა მხოლოდ პურითა ერთითა ცხონდების ადამიანი, ნათქვამია, და, ქართველი ერიც სარწმუნოების, სახარების, ქრისტესმიერი პურით უნდა ცხონდეს. როგორც მორწმუნემ და ქრისტიანობის ღრმად მცოდნემ, ქართველ ხალხს ქრისტეს მიერ ხუთი პურის გამრავლების სასწაულზე, მის მნიშვნელობაზე და მის ღვთიურ არსზე უთხარით...**

- ამ იგავს არ უყურებენ სერიოზულად, მარტო განყენებული ჰგონიათ. არადა, უაღრესად ცხოვრებისეული ამბავია და ამას ადასტურებს ყველა, ვისაც განუცდია ლოცვის ძალა, იცის, რა არის ლოცვა და სულიერი პური. მე გავიხსენებ ჩვენი ოჯახის ახლობელი ადამიანის, პოლიტპატიმრის, გულაგის წამებული ადამიანის - **რაფიელ ნიჟარაძის** მონათხრობს. გადასახლებაში მასთან იყო ერთი მეპურე კახელი კაცი. ისეთი შიმშილი იყო ბანაკში, რომ პურის ნამცეცების შოვნა დიდი ბედნიერება იყო! პატიმრების ჯგუფი, როგორც კი იშოვიდა პურის ნარჩენებს, ამ მეპურეს სთხოვდა, ხელახლა გამოეცხო პური. მეპურე გამოაცხობდა პურს, თავად არ ჭამდა, დაურიგებდა პატიმრებს და იტყოდა: წავალ, ვილოცებ და დავნაყრდებიო. პატარა მთაზე ავიდოდა, თურმე, ილოცებდა, ჩამოვიდოდა, იყო მაძღარი. ამას სისტემატურად აკვირდებოდა რაფიელი. ეს კაცი ადასტურებს, რომ ეს მართლაც ასე ხდებოდა. შემდეგ უკვე, როცა ციხეში მოვხვდი, ხშირად ლოცვას ჩემთვის შეუცვლია საჭმელ-სასმელი. რწმენით შეიძლება იცხოვროს კაცმა და რწმენამ და ლოცვამ შეიძლება შეცვალოს ფიზიკური საზრდელი. ამიტომაც არის სახარებაში ნათქვამი: ნუ ზრუნავთ, რა შეიმოსოთ, რა ჭამოთ, რა სვათ, ეძიეთ სასუფეველი ღვთისა და ესე ყოველი მოგეცეს თქვენ. ამაშია ქრისტიანობის არსი და ეს მარტო ცალკეულმა ინდივიდმა კი არა, ერმა უნდა გაითვალისწინოს. მთავარია, უფლის სასუფევლის ძიება და დანარჩენი ყველაფერი მოგვეცემა. ხოლო როდესაც მხოლოდ დანარჩენზე ვფიქრობთ და უფლის გზაზე - არა, მასაც დავკარგავთ, რაც გვაქვს. აი, ეს არის ქრისტიანობის არსი.

**- რას ჰპირდებით ქართველ ერს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში?**

- მოკლედ ვიტყვი: ქართველ ერს ვპირდები თავისუფლებას!

**- არ შემეძლო, რომ ბატონი კონსტანტინეს „მთვარის მოტაცებიდან“ ერთი იგავი არ გამეხსენებინა. ლუკაია ლაბახუა თარაშ ემხვარს უამბობს: „მე ერთი ამბავი უნდა გიამბო, შურიგე, - დაიწყო ლუკაიამ, - თორმეტი კაცი მდგარა თურმე ერთ მაღალ, ძლიერ მაღალ ხის ქვეშ. მათ შორის თერთმეტი ბრმა ყოფილა და ამ ერთმა თვალხილულმა შეამჩნია ამ ხის ზეთავზე ცისფერი ფრინველი იჯდა, ტურფა რამ ნაკრტენით მოსილი, სახილველად საშური იყო ფრინველი იგი, მაგრამ დანარჩენნი ვერ ხედავდნენ მშვენებას მისას. თვალხილული აღუტაცნია იმა ფრინველის შეპყრობის წადილს, მაგრამ ვაგლახად კოჭლი ყოფილა კაცი იგი დედის საშოდანვე, ხე მაღალი იყო, ქაცვებიანი. არც თუ კიბე სჩანდა სადმე. მაშინ უქადაგა კოჭლმა ბრმებს, დაიყოლია, კაცი კაცზე შემდგარიყო და მეთერთმეტეს თავად ზედ მოექცეოდა. და როცა კაცი კაცზე შეაყენა თვალხილულმა, მეთერთმეტეს შეადგა ფეხი, სულ ქვევით მიწაზე მდგარმა ზევიდან დათვლით, კაცმა უკანასკნელმა, არ ინდომა თერთმეტივე სულის ტვირთვა. წაიქცა მაშინ განგებისად კაცი იგი უკანასკნელი და ცოცხალი კიბეც ძირს დაენარცხა. თვალხილულმა ხელი აацდინა იმ საოცარ არსებას, ხის წვერზე შემომჯდარს და ხელშეუხები გაფრინდა თურმე იგი ფრინველი“. „რად ამბობო ამას, ლუკაია“, - შეეკითხა თარაშ ემხვარ. „ისე, ჩემთვის ვამბობო“.**

**ბატონო ზვიად, მე რაღაცით ეს იგავი ჩვენს დღევანდელ სიტუაციას მაგონებს.**

- ჭეშმარიტად. აი, იმ კაცს, ვინც დაბლა დგას, დიდი გამძლეობა უნდა და დიდი ძალა. უმადურობა ზოგჯერ სახიფათოა, შეიძლება ძალა გამოაცალოს. საბოლოოდ, მადლიერება და კეთილი ნება ჩვენი ერისა სძლევს, ეს მაძლევს ძალას.

**- უღრმესი მადლობა.**

- გმადლობთ თქვენც.

*ესაუბრა* მზია ბაქრაძე

*სრული სახით*

*იბეჭდება პირველად*

*რა ხდებოდა უზენაესი საბჭოს სასადილოში 1991 წლის 22 დეკემბრიდან მოყოლებული? - ასეთი კითხვით დავიწყე საუბარი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძესთან. არაერთხელ მქონია ამ თემაზე საუბარი ბატონ ნემოსთან. ყოველთვის, როცა 1991 წლის დეკემბრის მეორე ნახევრის ამბავზე ვეკითხები, მთავრობის სასახლის სასადილოში რომ ხდებოდა, ნემო ბურჭულაძეს სევდა ეძალება; ცხადია, ცდილობს, არ შეიმჩნიოს იმ დღეების გახსენებით გამოწვეული წუხილი, მაგრამ ადამიანი რკინა ხომ არ არის, ბატონი ნემოს გულის გულიდან დაძრული განცდები მის სახეს ატყვია... მანამდე კი, 21 დეკემბერს, ალმა-ათაში, ბოროტების იმპერიად წოდებული საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა. ამ დღეს ალმა-ათაში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ბატონი ნემო ბურჭულაძე მაშინდელ ვიცე-პრემიერ გურამ აბსანძესთან ერთად საბჭოთა კავშირის დაშლის ცერემონიალზე დამკვირვებლად გააგზავნა. შემთხვევით არაფერი ხდება, - ბრძანებს ნემო ბურჭულაძე, - როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და იქვე შეიქმნა ახალი კავშირი დსთ, ბორის ელცინმა ალმა-ათიდან წამოსვლის წინ გვითხრა, - იფიქრეთ დსთ-ში გაწევრიანებაზე, დილამდე ველოდები თქვენი პრეზიდენტის ზარს ამის თაობაზე, თორემ პრობლემები შეგექმნებათო. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს ფრაზა შემთხვევით არ თქმულა. ალმა-ათიდან ღამის ოთხ საათზე ჩამოვედით. პრეზიდენტი ვინახულე და ალმა-ათის ამბები გადავეცი. ორი ღამის უძილომ დასვენება გადავწყვიტე, სავარძელში მოვკალათდი, რომ ცოტა წამეძინა და დილის 8 საათსა და ხუთ წუთზე მთავრობის სახლის მიმართულებით პირველი ტყვიაც გავარდა...*

# რა ხდებოდა უზენაესი საბჭოს სასადილოში?

## ნემო ბურჭულაძე იხსენებს

**- ბატონო ნემო, პირველი ტყვიის სროლისთანავე ჩახვედით უზენაესი საბჭოს სასადილოში?**

- არა, მაშინვე არა, რამდენიმე საათის შემდეგ ჩავედით. თითქმის ყველა დეპუტატი იქ იყო, როგორც წინა, ასევე უკანა შენობაში. დეპუტატთაგანაც ზოგი შეიარაღებული გახლდათ და, თავისთავად, იცავდნენ მთავრობის სახლს. დეპუტატთა უმეტესი ნაწილი კი, როგორც გითხარით, სასადილოში ვიყავით...

**- ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის უზენაესი საბჭოს სასადილო ბუნკერის სახელითაა ცნობილი. ვინ და რატომ დაარქვა ეს საჩოთირო სახელი სასადილოს?**

- არც ეს ამბავი იყო შემთხვევითი და ზვიად გამსახურდიას სახელი ჰიტლერის სახელთან რომ ყოფილიყო გაიგივებული (არა მარტო ჩაუშესკუსთან), სასადილოს ბუნკერი შეარქვეს. ეს სახელი მას შემდეგ უფრო დამკვიდრდა, რაც შევარდნაძემ პროვინციული ფაშიზმი უწოდა ეროვნულ მოძრაობას და სადაც ისინი, ანუ ფაშისტები იმყოფებოდნენ, შესაბამისად, იმას ბუნკერი უნდა რქმეოდა. ტერმინი „პროვინციული ფაშიზმი" მოიგონა ყველაზე დიდმა პროვინციელმა შევარდნაძემ. ან კი ვის შეეძლო, ამ ტერმინის მოგონება, თუ არა თავად პროვინციელს?

**- ამ ე.წ. ბუნკერში სად იჯდა ზვიად გამსახურდია?**

- შედარებით დიდ ოთახში, ანუ სასადილოში იჯდა ზვიადი, ხოლო შედარებით მომცრო ოთახში, ანუ ბუფეტში, დანარჩენები ვიყავით.

**- რას აკეთებდით?**

- სისტემატურად მიმდინარეობდა მუშაობა, იმართებოდა პრეზიდიუმის სხდომები. როგორც მოგეხსენებათ, ფაქტობრივად, ომი იყო დაწყებული და ჩვენ უფლება არ გვქონდა, უმოქმედოდ ვყოფილიყავით. ზვიად გამსახურდია, როგორც პრეზიდენტი, იმავე დროს, მთავარსარდალიც იყო. ამიტომ იგი უაღრესად დატვირთული გახლდათ ამ ვითარებაში. რასაკვირველია, მოსაგონრადაც კი მძიმეა, რომ ქართული გვარსახელების მქონე ადამიანები თავისსავე სისხლსა და ხორცს ტყვიას უშენდნენ, მაგრამ ეს მოხდა და სინამდვილეს ვერსად გავექცევით. ისინი არა ჩვენ, არამედ საკუთარი ქვეყნის თავისუფლებას ესროდნენ. და რა უნდა იყოს ამაზე სავალალო... იმ რეალურ თავისუფლებას ესროდნენ, წინადღეს - 21 დეკემბერს რომ მოვიპოვეთ. საბჭოთა კავშირი ოფიციალურად გაქრა და ახლაც ხშირად გაიგონებთ: ზვიად გამსახურდიას რომ არჩევნები დაენიშნა, ტყვია არ გავარდებოდაო. რასაკვირველია, ესეც ისეთივე ტყუილია, როგორც სხვა მიზეზები, რადგან სროლის დაწყებამდე უკვე ყველასათვის ცნობილი იყო, რომ მალე საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, საქართველოს ცნობდნენ სამართალსუბიექტად. ვისაც აინტერესებს ეს ყველაფერი, შეუძლია, მოიძიოს იმდროინდელი პრესა, კერძოდ, სადაც „მრგვალი მაგიდის" პროგრამაა. იქ წერია, რომ ძირითადი მიზანია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა-აღდგენა და იმ შემთხვევაში, თუ ეს მოხდებოდა უფრო მალე, ვიდრე საარჩევნო ხუთი წელია, მაშინ ხელისუფლება დანიშნავდა ახალ არჩევნებს, ვინაიდან, ჩვენ არ ვიყავით არჩეული დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეების მიერ და საჭირო იყო თავისი ხელისუფლება აერჩიათ დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეებს.

**- მაშ, რაღა უნდოდა ოპოზიციას?**

- აი, ეს გახდა „ოპოზიციის" მიერ ტყვიის სროლის მიზეზი, რადგან არჩევნების დანიშვნა და ხელისუფლებიდან წასვლა არ ნიშნავდა იმას, რომ ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებდით არჩევნებში, საუბარია „მრგვალ მაგიდაზე". ისინი, ცხადია, გრძნობდნენ, რომ მომავალ არჩევნებში ჩვენ მაინც გავიმარჯვებდით, ამის გამო მათ სულ არ აინტერესებდათ არჩევნების ჩატარება, ამიტომაც დაიწყეს სროლა...

**- ოპოზიციას რას სთავაზობდით?**

- არჩევნებში მათაც რომ მიეღოთ მონაწილეობა, რომ ისედაც დემოკრატიულ კანონში მათი მონაწილეობით შეგვეტანა შესწორებები. მსჯელობა მხოლოდ იმაზე გვქონდა, გაზაფხულზე ჩაგვეტარებინა არჩევნები თუ შემოდგომაზე.

**- მაშ, რა სურდა ე.წ. ოპოზიციას, მიზეზებს ეძებდა?**

- საძებარიც არაფერი იყო, ვინაიდან იგი სხვა ქვეყნის დავალებებს ასრულებდა.

**- რას ამბობდა ბატონი პრეზიდენტი?**

- რა გითხრათ, ეს არ იყო ჩვეულებრივი სამუშაო პერიოდი, თუ შეიძლება სამუშაო პერიოდი დავარქვათ ბრძოლას, რას იტყოდა... ფაქტი კი ის არის, რომ ჩვენ არ გვქონდა სახელმწიფო. დღეს გვაქვს და ეს არის ბატონი ზვიადის დამსახურება, - მან არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს რუკა შეცვალა...

**- რას გულისხმობთ?**

- იცით, აქ დაპირისპირება იყო არა ერთ მუჭა ოპოზიციასთან, არამედ თითქმის მთელ სამყაროსთან, რომელსაც ძალიან ეშინოდა უეცრად ამხელა საბჭოთა კავშირის დაშლისა. ხელმოწერილ იქნა დოკუმენტი საბჭოთა და ამერიკელ ლიდერებს შორის მალტაზე, რის მიხედვითაც აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიის რესპუბლიკებს უთმობდნენ დასავლეთს, ხოლო დანარჩენ რესპუბლიკებს ტოვებდნენ რუსეთის გავლენის ქვეშ. ყველა დამორჩილდა ამ ხელშეკრულებას, გარდა საქართველოსი და მისი პრეზიდენტისა. მოგეხსენებათ, ძირითადად ეს იყო დინების წინააღმდეგ სვლა, თუმცა, როგორც მაშინ თქვა ზვიად გამსახურდიამ, დღეს მსოფლიოს რუკა ზუსტად ისეთია. ზვიად გამსახურდია სწორედ ამიტომაც არის დიდი, რომ მან შეცვალა ბედი არა მარტო საქართველოსი, არამედ - მსოფლიოსიც.

**- კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ სათქმელი, ბატონო ნემო!**




- კი, ბატონო, დაკონკრეტება კი იმას მიგვანიშნებს, რომ არ არსებულა ოპოზიცია, იყო ადამიანების ჯგუფი, რომელთათვისაც, ჯერ ერთი, თავისუფლება იყო მიუღებელი და, მეორეც, ისინი ასრულებდნენ იმ ქვეყნის დაკვეთას, რომლის უღლისგანაც განვთავისუფლდით. ხშირად სამოქალაქო ომს უწოდებენ იმ მოვლენებს, მაგრამ რუსეთის დიდი მცდელობისა და სურვილის მიუხედავად, არ იყო სამოქალაქო ომი. ეს იყო სამოქალაქო დაპირისპირება, სამამულო ომი და ჩვენ ვიბრძოდით სამშობლოს დასაცავად. ყველა ისინი რუსების მხარეს იბრძოდნენ და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ქართველებს ხშირად უბრძოლიათ დამპყრობლის მხარეს საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ; ცხადია, ზოგი შეგნებულად სჩადიოდა ამას, ზოგი კი სხვის ხელში იარაღად იყო ქცეული... შემთხვევა მქონდა ასეთი: სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ ერთ ნაძალადეველ ახალგაზრდას შევხვდი სუფრაზე, ვკითხე, რატომ ებრძოდით-მეთქი ეროვნულ ხელისუფლებას და, იცით, რა მიპასუხა? - აბა, რა ვი, ტო, უბნელები წამოვიდნენ და მეც წამოვედიო. ეს ყმაწვილი ნაკლებად იყო დამნაშავე, დამნაშავე ისინი არიან, დიდ მამულიშვილებად რომ მოაქვთ თავი და იარაღად აქცევენ ხოლმე უმეცარ ახალგაზრდობას საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ.

## 13 წლის წინათ

**- იყო თუ არა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი იმედიანად მაშინ, როცა იცოდა, რომ მას იმპერიული უხეში ძალა ებრძოდა?**

- ეს მისთვის ჩვეულებრივი სამუშაო პერიოდი იყო, მისთვის არაფერი ახალი არ ყოფილა, ზვიადი ხომ ბავშვობიდან ამ ბრძოლაში იყო ჩართული და რა გაუკვირდებოდა! უიმედობა ბატონ პრეზიდენტს არ ეტყობოდა. თავის დროზე, როდესაც ანტისაბჭოური გამოსვლები ჰქონდა, არ იცოდა, რომ დაიჭერდნენ? იცოდა, რაც ხდებოდა. როდესაც გროზნოდან საქართველოში დაბრუნდა, 1993 წლის 24 სექტემბერს, განაცხადა - საქართველოდან ცოცხალი არ წავალო. იმავე დღეს იგივე ფრაზა სოხუმში შევარდნაძემ თქვა. თუ სოხუმი დაეცემა, აქედან ცოცხალი არ წავალო. მოხდა ასე: ზვიადი საქართველოდან წავიდა, მაგრამ ცოცხალი არა, შევარდნაძე კი, მიუხედავად სოხუმის დაცემისა, დღესაც კარგად გრძნობს თავს.

**- მაინც, რა განწყობა იყო უზენაესი საბჭოს სასადილოში?**

- რა განწყობა შეიძლებოდა ყოფილიყო შენობაში, რომელსაც დღეში 300 ჭურვი მაინც ხვდებოდა? თავი რომ დავანებოთ მცირე კალიბრის იარაღს... ადამიანები ვეღარ უძლებდნენ ამგვარ სტრესებს, სასადილოში გამართული იყო ლაზარეთი, შემოჰყავდათ დაჭრილები, ჩვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელ მხარეს იდგნენ ეს დაჭრილები. როდესაც ჩვენ იქ ჩაისა და პურის მეტი არაფერი გაგვაჩნდა, პირადად მე, მოწინააღმდეგე მხარის დაჭრილებს ფაფას ვაჭმევდი ჩემი ხელით. ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, მე კიტოვანის სიძე ვარო. ყოფილი სიძე იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს... ამით ის მინდა, გითხრათ, რომ ასეთი განწყობა სუფევდა. არადა, ხმა გავრცელდა, თითქოს ჩვენ იქ ადამიანებს ვაწამებდით...

**- ჰო, მართლა, ბატონო ნემო, ამ წამების ამბები დაბეჯითებით ითქვა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით... მაშინ, მგონი, სხვა არხი არც არსებობდა.**

- ენას ძვალი არა აქვს, მაგისთანები კი ითქვა!

**- არა, ჩემი თვალით ვნახე, ეკრანზე ბორკილებსაც აჩვენებდნენ და კიდევ რაღაც წამების იარაღსაც. ნუთუ ეს ყველაფერი ტყუილი იყო?**

- თქვენი გამკვირვებია?! როგორც მახსოვს, რაღაც ბორკილები აჩვენეს, რაღაცაზე ეკიდა ის ბორკილები... ამას თვითონ გააკეთებდნენ. ეს რა, მოულოდნელია მაგათგან? მაგისთანებს კი იგონებდნენ, მდიდარი ფანტაზიის ხალხია, მოგეხსენებათ.

**- თან ნაწამებ ადამიანებსაც რომ აჩვენებდნენ?**

- აი, მაგათი ნაწამები ადამიანები კი მერე უცხოურ ჟურნალებშიც დახატეს. უცხოელები, მაგალითად, გაოცებულები იყვნენ ნაწამები ზაზა წიკლაურით. მას არცერთი ძვალი მთელი არ ჰქონდა და სხეულზე დამწვრობის კვალი ეტყობოდა, როგორც ჩანს, სიგარეტის ნამწვავისგან. ამას ერთ მაგალითს გეუბნებით, თორემ ასეთი ათასები იყო...

**- ე.ი. თქვენთან მსგავსი არაფერი ყოფილა?**

- არა, ცხადია! ის კი არადა, ვითომ იქ რაღაც წიგნიც იყო, რაღაც სახელმძღვანელოს მსგავსი, ვითომცდა, როგორ უნდა გვეწამებინა იმის მიხედვით ადამიანები. ეს იყო გაუგონარი სიყალბე,













**ყურადღება! „ვარდების რევოლუციამდე" 13 წლით ადრე ვარდი ე.წ. ბუნკერში დაფიქსირდა!**

ტყუილი, ამის დიდოსტატები თავად არიან, ვინც საკუთარი სისხლისა და ხორცის სიცოცხლე არად ჩააგდეს ან მკვლელებად აქციეს ისინი.

**- ის წიგნი კადრში საიდან გაჩნდა?**

- მეტსაც გეტყვით: იმ დღეებში ეკრანზე აჩვენეს, უფრო სწორად, ერთი ტომარა ფული გადმოყარეს იატაკზე, თან დააყოლეს, ეს ფული ხელისუფლების ერთ-ერთი წევრის ნათესავის ოჯახიდან წამოვიღეთო.

**- კერძოდ, ვისგანო?**

- ეს არ თქმულა. აი, ასეთ სისულელეებზე აგებდნენ ისინი თავიანთ „მტკიცებებს". ეს იყო მათი მეთოდი. თუ გახსოვთ, ისიც ითქვა, ზვიად გამსახურდიამ რომ უზენაესი საბჭოს შენობა დატოვა, თან ფარშევანგები, ლომები და ვეფხვები წაიყვანაო. აი, ამ დონემდე დავიდნენ ისინი. ოფიციალურ ბრალდებად მე და გურამ აბსანძეს წაყენებული გვქონდა ამგვარი რამ, თითქოს ორასი მილიარდი ფული გავიტაცეთ, მაშინ, როდესაც 10 მილიარდი იყო საქართველოს ბიუჯეტში და ორასი მილიარდი მთელი საბჭოთა კავშირის ბანკებშიც არ მოიპოვებოდა. თანაც, ვაანგარიშებინე შემდგომში სპეციალისტებს და, თურმე, 500 „ტუ-134" სჭირდებოდა ამ ფულის გადატანას. მითუმეტეს, ბრალდებაში ნათქვამი იყო, რომ ბუნკერიდან გასვლისას წავიღეთ ეს ფული, ჩვენ კი იმ ავტობუსებში ვისხედით, რომლებიც დაცხრილეს. ბრალდებებზე მაშინ უფრო საინტერესო იყო პასუხის გაცემა, ვინაიდან, ეს ბრალდებები მოგონილი იყო სპეციალურად იმისათვის, ჩვენი ხელისუფლების უკეთურობაში რომ დაეჯერებინათ ხალხი. დღეს კი ამ ბრალდებებზე პასუხის გაცემაც აღარ ღირს, ვინაიდან ახლა უკვე ყველამ ყველაფერი იცის. არადა, ყველამ იცის ისიც, რომ ბიუჯეტი თუ შესრულდა, ჩვენს დროს შესრულდა, მიწისძვრის დროს თავიდან გაკეთდა გზები, ხიდები, ჩვენს დამხობამდე 11 ახალი თვითმფრინავი შევიძინეთ, სად გაქრა ის თვითმფრინავები? არცერთი კაპიკი ვალი არ ჰქონია საქართველოს რომელიმე ქვეყნისა, პირიქით კი იყო - ჩვენი ვალი რამდენიმე ქვეყანას ჰქონდა. ეს არ იყო მილიარდები, მაგრამ რამდენიმე ასეული მილიონი კი იყო...

**- ბატონო ნემო, ბავშვმაც კი იცის, რომ იარაღიან ოპოზიციას არ შეიძლება ოპოზიცია ეწოდოს. ზვიად გამსახურდიას რომ ეს ე.წ. ოპოზიცია აელაგმა, რა მოხდებოდა?**

- მაშინ ზვიად გამსახურდია, ღმერთმა დაიფაროს და, ისეთივე სახსენებელი იქნებოდა ერის მიერ, როგორიც შევარდნაძეა. თუმცა, ჩვენ მაინც დაგვამხობდნენ, რადგან მსოფლიო ძალები იყო ჩართული ამ პროცესებში და არა თბილისის ზღვაზე გამაგრებული რამდენიმე ათეული შეიარაღებული...





**- რით ამტკიცებთ?**

- იმით, რომ 1993 წელს ზუგდიდში, როდესაც ჩვენ საკმაოდ გავძლიერდით და თითქმის ქუთაისამდე მოვედით, შემოვიდა რუსული რეგულარული არმია... ჩემი მოგონილი არ არის, რომ არ შეიძლება, სხვა ქვეყნის რეგულარული არმია დააჯახო შენი ქვეყნის ჯარს, რაც გააკეთა შევარდნაძემ.

**- და მაინც, ზვიად გამსახურდიას რომ ის ერთი მუჭა ე.წ. ოპოზიცია მოეშორებინა ძალისმიერი მეთოდებით?**

- გამოჩნდებოდა მეორე მუჭა, მესამე მუჭა და ა.შ. აქ წყდებოდა მსოფლიოს ბედი და ვერაფერი შეცვლიდა იმას, რაც მოხდა.

**- წლების განმავლობაში აჩვენებდნენ ფირს, სადაც თქვენ ანეკდოტსაც ყვებით. ცოტა ბილწსიტყვაობაც გაურიეთ, რას იტყვით ამაზე?**

- ისეთ მძიმე პირობებში, როგორ პირობებშიც ჩვენ ვიყავით, ადამიანი ან იმას იტყვის, ან ამას, ბოლოს და ბოლოს, გინდა, შენ გვერდით მყოფნი ცოტათი მაინც გამოიყვანო მდგომარეობიდან, ანეკდოტის მოყოლაც სასაცილოა იმ ყველაფრის გვერდით, რასაც მოწინააღმდეგენი კადრულობდნენ. ისე კი, კარგია, როცა დაპირისპირებულებს ამ ბრალდებების მეტი ბრალდება არ გააჩნდათ ჩემდამი.

**- ახალი წელი იყო და, ბუნებრივია, შეეცდებოდით, წუთიერად მაინც დაგევიწყებინათ დარდები გარშემო მყოფთათვის...**

- ალბათ, თქვენც გექნებათ ნანახი, ერთადერთი ბოთლი ღვინო გვედგა, იმით იმდენი კაცი, ძალიანაც რომ გვდომებოდა, როგორ შევზარხოშდებოდით. სხვათაშორის, მე იქ მუხრან მაჭავარიანის ერთი სტროფი წარმოვთქვი და ატყდა ერთი ამბავი, ვითომ მე იმ სტროფით ომისაკენ მოვუწოდებდი. თავად განსაჯეთ, აი, ის სტროფიც: „ვაი, დედასა მტრისასა, ვაი, შენ ჩემო ქიტესა, ბრალია, შენი მარჯვენა ეხლა ქერს არა მკიდესა". აი, ეს ყოფილა, თურმე, ომისადმი მოწოდება. სატირალია ეს თუ სასაცილო? სხვათაშორის რამდენიმე ხნის შემდეგ არც შევარდნაძეს დავიწყებია ჩვენი განქიქება, - ნახეთ? ბუნკერში თვითონ წულეისკირმა თქვაო, დავბადებულვარ, რომ ვიყო მონაო... ეგენი მონები არიან, ნამდვილი მონებიო.

**- ზვიადი მოვიდა თქვენთან?**

- რა თქმა უნდა, გაგვაფრთხილა, არ დაგველია, თუმცა, რას დავლევდით, რაც არ გაგვაჩნდა, თითო ჭიქა კი ავწიეთ და ახალი წელი მივულოცეთ ერთმანეთს.

**- ბატონო ნემო, მინდა, პირდაპირ ბრძანოთ, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური შეცდომა თუ მოსვლია?**

- ამაზე ბევრს საუბრობენ და საუბრობდნენ ყოველთვის. მე მინდა, მთელი პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ ზვიად გამსახურდიას არცერთი პოლიტიკური შეცდომა არ მოსვლია.

**- კიდევ რას გვეტყვით მნიშვნელოვანს?**

- დღეს ძალიან გავრცელებულია ფრაზაა - ჩვენ ყველამ დავაშავეთ. რატომ ყველამ? ე.ი. ეს ქვეყანა მხოლოდ დამნაშავეებით არის დასახლებული? დამნაშავეებისათვის არ გვიბრძოლია არც ჩვენ და არც, მითუმეტეს, ზვიად გამსახურდიას... ქვეყანას მხოლოდ მაშინ ეშველება, როცა ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. ეს იქნება მოვლენა, საგანი თუ ადამიანი. ზვიად გამსახურდიას კი 1991-92 წლებში კი არა, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე პოლიტიკური შეცდომა არ მოსვლია.

**- კადრების თაობაზე რას იტყვით?**

- კადრები ისეთი რამ არის, აქ შეიძლება რაღაც შეგეშალოს, მაგრამ თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, არც იქ მოსვლია შეცდომა ბატონ პრეზიდენტს.

**- ბატონო ნემო, ჩვენი რესპონდენტების ნაწილი ზვიად გამსახურდიას გულუბრყვილო პრეზიდენტად მიიჩნევს. რას გვეტყვით ამაზე?**

- გულუბრყვილო ადამიანები ვერ ათავისუფლებენ ქვეყანას, ბოლოს და ბოლოს, ზვიადი ხომ მრავალმხრივ განსწავლული ბრძანდებოდა, თანაც, პოლიტიკა ხომ წიგნებიდან არ უსწავლია, იგი ბავშვობიდან იყო პოლიტიკაში ჩართული. რაც შეეხება თენგიზ სიგუას გამონათქვამებს ბატონ პრეზიდენტზე, საბედნიეროდ, დასაწყისშივე თვით ხალხმა შეარქვა მას თენგიზ ცრუ, ხალხს არაფერი ეშლება. თენგიზ სიგუას, მგონი, თავის სპეციალობაში არ უთქვამს ერთი მართალი სიტყვა და პოლიტიკაში ან ბატონ პრეზიდენტზე რა უნდა ეთქვა ავტორიტეტული ან მართალი...

***P. S. ზვიად გამსახურდიამ მთავრობის სახლის სასადილოც იმ დროს დატოვა, როცა უკვე ყველაფერი გაშიფრა და ბანდიტებთან ბრძოლაც ფუჭად მიიჩნია...***

***ამასობაში ზოდიაქოს ერთი ბორბალი დატრიალდა...***

*ესაუბრა* **ბელა შალვაშვილი**





*წალენჯიხა. ზურაბ გუჩუას სახლი*

**სისხლიანი კვალი**

# ვინ დაადევნა სიკვდილი ზვიად გამსახურდიას

*დასაწყისი მე-4-9 გვერდებზე*

**პატიმრეს, ადგილის გამოცვლაც აუცილებელი გახდა, თორემ ჯონსონის სახლი მართლაცდა, უსაფრთხო იყო მათთვის. თქვენ რა იღონეთ ამ დროს?**

- ახალ ადგილზე გადასვლასთან დაკავშირებით, ისევ დადგა საკითხი მხლებელთა რაოდენობის შემცირებისა. ერთი პერიოდი ბატონ ბესარიონს სთხოვეს დარჩენა. მან კატეგორიული უარი განაცხადა ჯიხაშკარში დარჩენაზე. მაშინ, მე ვთქვი, დავრჩები-მეთქი. საბოლოოდ, ასე გადაწყდა, რომ მე დავრჩი, ისინი წავიდნენ. ეს მოხდა 22 დეკემბერს. მერე ძალიან სანანებელი გამიხდა ეს დარჩენა. არ შემიძლია იმისი თქმა, რომ მე შეგნებულად ჩამომაშორეს ჯგუფს. როგორც ადრე გითხარით, ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავი იყო. მე ვიფიქრე, რომ ზუგდიდის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ფუნქცია აღარ მექნებოდა, უბრალოდ, ისეთივე შესანახი ვიქნებოდი, როგორც სხვები; თანაც, ბატონმა ბესარიონმა რომ დარჩენაზე უარი თქვა, ან კი სად უნდა დარჩენილიყო, იმიტომ ვთქვი, მე დავრჩები-მეთქი. გადავწყვიტე, თავი ნათესავის ოჯახში შემეფარებინა, იქ, სადაც ცოლ-შვილი მყავდა გადამალული. თანაც, ცნობამ აბსანძის ხალხის გამოჩენის შესახებ, ძალიან დამაიმედა. ვფიქრობდი, მათთან შეხვედრა აუცილებლად გადაწყვეტდა ზვიადის საქართველოდან გაყვანის საკითხს.

**- როგორ ფიქრობთ, ვის და სად მოუვიდა შეცდომა?**

- გულახდილად გეტყვით, თუ ღალატი შიგნით არ ყოფილა, რაც მე ნამდვილად არ მჯერა და არც ვინმეს უსვრია გარედან, რაც ჩვენს ბედოვლათობას დაადასტურებს, მაშინ ბედისწერის თავიდან აცილებაზე ძნელია ლაპარაკი. თუმცა, აქაც, პრეზიდენტის თანმხლებთა სისუსტესა და შეცდომაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. ამიტომ, ექსპერტიზა ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

სხვათაშორის, გროზნოში, ფოთის პრეფექტმა, პროფესიით ექიმმა, თენგიზ ბარამიძემ ქართველი დეპუტაციის ერთი ნაწილის სახელით, თხოვნით მიმართა პრეზიდენტის მეუღლეს, გარდაცვლილისათვის სრულიად მარტივი ექსპერტიზა ჩაეტარებინათ - თმის ღერების სინჯისა და ბიოფსიის დონეზე, რაც ცხედრის დაზიანებას გამორიცხავდა, მაგრამ ოჯახმა უარი განაცხადა.

**- ვინ შეგატყობინათ ზვიადის გარდაცვალება?**

- 31 დეკემბერს ნარაზენში ვიყავი ბიძაშვილთან. მე ოცდაოთხი წლის ძმა მყავს დაღუპული. და აი, 31-ის ღამეს მესიზმრა ჩემი გარდაცვლილი ძმა, რომელსაც წითელი პერანგი ეცვა და გახარებული ცეკვავდა ზვიადთან. ვნახე ოთახი და შიგნით, ოთახში ამავალი შიდა კიბე, რომელსაც სისხლის წვეთები ესხურა. მძიმე ხასიათზე გავიღვიძე და მთელი დღე ასევე ვიყავი და აი, რა დრო იყო არ ვიცი, ჩემი ბიძაშვილის სახლისკენ, დავინახე, სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა ანზორ მებონია. მომიახლოვდა, სახეზე კაცის ფერი არ ედო. არაფერი მიკითხავს. გაშტერებული ვუყურებდი. რაღაც წაილუღლუღა, თითქოს ჩემს გამაგრებას ცდილობდა, ძმის სიკვდილიც გამახსენა. ამით ის მითხრა, ყველაფერს უნდა გაუძლოო, ბოლოს, როგორც იქნა ამოილუღლუღა, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო.

**- რა მოიმოქმედეთ?**

- უბედურების ადგილზე პირდაპირ მისვლა ვერ მოხერხდა. ღამებამდე სოფ. ჭაქვინჯში, ჩუხუებთან მოგვიწია ყოფნამ. დაახლოებით ღამის 11 საათზე, მივედით სოფ. ძველ ხიბულაში, სადაც ზვიადი დაიღუპა. ორსართულიანი სახლის შიდა კიბეს რომ დავაბიჯე ფეხი, კინაღამ გული გამიჩერდა. სწორედ ისეთი კიბე იყო, სიზმარში რომ ვნახე... ზვიადს თავი თეთრი ბინტით ჰქონდა შეკრული, სისხლს გამოეჟონა საფეთქლის არეში. ბესარიონი, ბაჩუკი და რობიზონი თვალებდასიებულები იყვნენ, გაუგონარი მწუხარება იდგა. იმავე ღამეს უნდა დაგვეტოვებინა ღურწკაიების სახლი, ეს აუცილებელი იყო...

**- რატომ უნდა დაგვეტოვებინათ სახლი მაინცდამაინც იმავე ღამეს?**

- ითქვა, რომ ოჯახი, მეორე - ახალწლის დილით, სტუმრებს ელოდა თბილისიდან...

**- სად გადაწყვიტეთ ზვიადის ცხედრის გადასვენება, ვის ოჯახში?**

- მოფიქრებული ჰქონდათ, რომ ისევ ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში გადაესვენებინათ ცხედარი. გაგზავნილი იყო კაცი მანქანის მოსაყვანად, მაგრამ ტრაქტორით კი დაბრუნდა, რადგან თურმე, ტრანსპორტის სხვა საშუალება ვერ მოძებნა.

**- ე.ი. ზვიადი ტრაქტორით მიასვენეთ ჯონსონის სახლამდე?**

- ასე იყო. რამდენიმე საათის შემდეგ, როგორც იქნა, მივადექით ჯონსონის აღმართს. იქ ტრაქტორიც კი ვერ ავიდა. ზვიადის ცხედარი ხელით უნდა აგვეყვანა. ნერვიულობისაგან ბაჩუკი ისე იყო დაუძლურებული, აღმართზე ცხედრის ტარება ვერ შეძლო და ჩაიჩოქა. ადრე, იგი, ციცაბო გზებზე, 60 კილოგრამი ტვირთით დადიოდა. იძულებული გახდა, რობიზონს შეეცვალა იგი. როგორც იქნა, ავედით მაღლა. ახალი წელი იყო, ძალიან გვერიდებოდა ამ დღისით მასპინძლის შეწუხება, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. დავუძახეთ. ავუხსენით ჩვენი უბედურება. ვთხოვეთ, პირდაპირ სახლში არა, გვერდით, პატარა ფიცრული რომ გაქვთ, იქ შეგვიშვითო, ვუთხარით ისიც, რომ გათენებისთანავე, დროებითი საფლავის საქმეს თვითონ მივხედავდით.

**- რაო, რა გითხრათ ჯონსონმა?**

- გადაიარია კაცი, - რას ამბობთო, მისაღები ოთახის ორივე კარი ფართოდ გააღო, შეგვიყვანა, სულ თქვენთვის დამითმიაო მთელი სახლი. კუთხეში დავსხედით. ფიქრის საშუალებაც მოგვეცა.

**- რას განიცდიდით მაშინ?**

- უდიდესი სიცარიელის განცდა მქონდა, ვფიქრობდი იმაზე, რომ ამ ძვირფასი ცხედრის გარეშე რა საცოდავები ვიყავით, რანაირად ვიყავით ყველანი მასზე დამოკიდებული... მეორე დღეს ანზორი ექიმის მოსაყვანად წავიდა. ნაშუადღევს მოვიდა ექიმი. მან ბალზამირება გაუკეთა ცხედარს... იმავე დღეს ანზორი წავიდა სასახლის შესაკვეთად. ვიდრე სასახლეს გაუკეთებდნენ ზვიადს, სახელდახელოდ რაღაც ყუთი შევკარით. რობიზონი მუშაობდა იმ ყუთზე, მე - ვეხმარებოდი. ბაჩუკი და გოჩა იქვე, დაფნარში, მოხერხებულ ადგილას საფლავს თხრიდნენ.

**- ამ პროცესიდან რა გახსენდებათ?**

- საცოდავი სანახაობა იყო, - ბაჩუკის ცრემლები სდიოდა, გაჭრილ საფლავში ჩადიოდა ღვარად, ვტიროდი მეც. თავისით მომდიოდა ცრემლები. თითქოს მთელი სამყაროსგან ვიყავით გარიყულები, მალულად ვასაფლავებდით კაცს, ცოტა ხნის წინათ მილიონები რომ ტაშს უკრავდნენ, რა უცნაურად ბარდებოდა იგი კოლხეთის უძველეს მიწას...

მესამე დღეს ჩემი ბიძაშვილი ჩიგო მოვიდა. გადავწყვიტეთ, ღამით ავსულიყავით ჯონსონ კვარაცხელიასთან. მივედით. იქ არავინ დაგვხვდა. მომდევნო დღეს ისევ მივაკითხეთ. ეზოში მასპინძლის ქალიშვილი შევნიშნეთ. ტყის მხრიდან მივუახლოვდით. გვიცნო. ვკითხეთ, სად არიან-მეთქი. ისინი უკვე წავიდნენო, მიპასუხა. გამიკვირდა, რადგან მათთვის თავშესაფრად ბინებს ვეძებდი, ორიოდე ადგილას უკვე მქონდა შეპირებული მოსახერხებელ, მყუდრო სახლებში.

**- ვალიკო ზარანდიას ეზოში ზვიადის დაკრძალვას ხომ არ დასწრებიხართ?**

- იქიდან რომ გამოვბრუნდი, ოციოდე დღეს სოფელში ვიმალებოდი, ვცადე მათი კვალის მიგნება, მაგრამ - ამაოდ. შემდეგ რუსეთში გადავედი. მოგვიანებით იქ გავიგე, რომ ზვიადი, მეტი საიმედოობის მიზნით, ვალიკო ზარანდიას ეზოში დაუკრძალავთ...

***ბატონი ზურაბ გუჩუა დღესაც აუღელვებლად ვერ საუბრობს 1993 წლის ნოემბერ-დეკემბრის მოვლენებზე; ზვიადის ტრაგიკულ ბედზე. და საერთოდ, ვისთანაც მისაუბრია ამ თემაზე, გულგრილად ვერავინ იხსენებს საუკუნის ერთ-ერთ დიდ შვილს ჩვენი ქვეყნისას, დიდი კონსტანტინეს უიღბლო ძეს, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა საქართველო და ქართველები და, რომელიც, უყოყმანოდ შეეწირა ამ სიყვარულს...***

**ბელა შალვაშვილი**

*ანა შალვაშვილის ფოტოები*

უახლოესი გარემოცვა

# თემურ ცერცვაძე: ზვიად გამსახურდიას იმპერია ლუის კორვალანში ცვლიდა!



ბაკურიანი, 1958 წელი. მარჯვნიდან მარცხნივ დგანან: პირველი - გურამ დოჩანაშვილი, მეორე - თემურ ცერცვაძე, მეოთხე - ზვიად გამსახურდია.

*1956 წლის დეკემბრის სუსხიან დღეებში, თბილისში, რუსთაველისა და პლეხანოვის გამზირებზე, იმ დროისათვის გამაოგნებელი შინაარსის პროკლამაციები გაჩნდა: — „ძირს პირსისხლიანი კომუნისტები, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ — „ვგმობთ 1924, 1937 წლების რეპრესიებს, 1956 წლის ქართველთა გენოციდს“. რა იყო ეს? ახალგაზრდული ამბოხი, მამაცთა სიშლეგე თუ უწვერულვაშო ბიჭების შეგნებული თავგანწირვა? მითუმეტეს, რომ ეს თავშეწირული ბიჭები იმდროინდელი თბილისის ელიტარულ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ისინი პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ამ სკოლის კედლებში, ტატო ბარათაშვილის დროიდან, იმპერიის ყველაზე თანმიმდევრული მტრებიც იზრდებოდნენ. ასე აღმოჩნდნენ საპყრობილეში ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვოვა სიხარულიძე, თემურ ცერცვაძე, თამაზ გუნჯუა, თეიმურაზ მეტრეველი, ანატოლი (ტოლიკა) მიქაძე, გურამ სხირტლაძე, რომელიც მოგვიანებით (2 კვირის შემდეგ) დაიჭირეს. გურამ დოჩანაშვილი მძიმედ იყო დაჭრილი და საავადმყოფოში იწვა. გვესაუბრება ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი თემურ ცერცვაძე, რომელიც ზედმეტი ხმაურის გარეშე ედგა გვერდით ზვიად გამსახურდიას და ეროვნული ხელისუფლების დროს განათლების მინისტრის მოადგილე იყო. იგი არაერთხელ აღმოჩენილა ისეთ სიტუაციაში, როცა ზვიადის ზოგიერთი „მეგობარი“ ათასგვარ მონაჭორს ჭყვებოდა საქართველოს პირველ პრეზიდენტზე, მის მშობლებზე, ოჯახზე... დაწყებული ბავშვობაში კატების წვალებით, დამთავრებული „ქუჩის აკადემიის“ გაუვლელობით...*

- ზვიად გამსახურდიას პარალელურ კლასში ვსწავლობდი თბილისის №1 საშუალო სკოლაში. მე-9 კლასიდან, როცა ვაჟთა და ქალთა სკოლები შეაერთეს, ზვიადი 47-ე სკოლაში გადავიდა. დაპატიმრების გამო, სკოლა ვერცერთმა ვერ დავამთავრეთ - გამოცდები ექსტერნად ჩავაბარეთ. **ორგანიზაცია „გორგასლიანი“ ჯერ კიდევ 1953 წელს შეიქმნა. წესდების მიხედვით, ყველა წევრი თანასწორუფლებიანი იყო. ჩვენი პროგრამა და წესდება დღესაც ინახება უშიშროების კომიტეტში, იგი საიდუმლო შრიფტითაა დაწერილი.** როცა დაპატიმრების შემდეგ საქმეს გავეცანი, **შეკითხვაზე, - ვინ იყო ჯგუფის ხელმძღვანელი? ზვიად გამსახურდია პასუხობს: - ხელმძღვანელი მე ვიყავიო.** ზოგიერთი კი დღესაც ამბობს, უნებისყოფო და მშიშარა იყოო. თუ ასეა, ვინ აიძულებდა, ასეთი ნაბიჯი გადაედგა?! **დააპატიმრეს ის ადამიანიც, ვისგანაც საბეჭდი მანქანა ვიყიდეთ. ეს მანქანა გურამ სხირტლაძის სახლში სხვენზე იყო დამალული,** ცხადია, იმასაც მიაგნეს. პროკლამაციის ტექსტი, ძირითადად, ზვიადმა დაწერა. გადავწყვიტეთ, პროკლამაციები რუსთაველსა და პლეხანოვზე გაგვეკრა. მე, თამაზ გუნჯუასა და ჯონდო მეტრეველს რუსთაველი „გვერგო“, დანარჩენებს -პლეხანოვი. მახსოვს, ზემელზე, მოზარდ მაყურებელთა თეატრის გვერდით, გასტრონომთან ვიდექით. ღამის 3-ის ნახევარი იქნებოდა, თამაზ გუნჯუამ მითხრა (მე ზურგით ვიდექი), ვიღაც კაცი გვითვალთვალებსო. მივედი ამ კაცთან და პირდაპირ ვუთხარი, პაპიროსი მომაწევინე-მეთქი, მაინტერესებდა, ნასვამი იყო თუ - არა. „ყაზბეგი“ ამოიღო და მომაწევინა. ამ დროს, ჯავახიშვილის ქუჩიდან, დაეშვა შავი ძველისძველი „ბმვ“, იმ მანქანაში ჩავსხედით და იქაურობას გავეცალეთ, სხვაგან გავაგრძელეთ პროკლამაციების გაკვრა. ამ ადამიანს კი სულ რამდენიმე კვირის შემდეგ შევხვდი **სუკის იზოლატორში. ჩვენი გამომძიებლები იყვნენ გეგელია და თოფურიძე. დაკითხვებს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაურიც ესწრებოდა ხოლმე.** ერთხელ, ჩემი გამომძიებელი (გეგელია) გასული იყო და ერთ-ერთ კაბინეტში შემიყვანეს, სადაც სწორედ ის პიროვნება იჯდა, რომელიც „ზემელზე“ გვითვალთვალებდა. მინდოდა დავრწმუნებულიყავი, ის იყო თუ არა, და... პაპიროსი ვთხოვე. არ ვეწევიო, - მიპასუხა, და უცებ, საუბარში, არ ვიცი, შემთხვევით თუ გამიზნულად, უჯრა გამოაღო, სადაც „ყაზბეგი“ იდო. ამის შემდეგ, სასამართლოზე, ჯონდო მეტრეველმაც მითხრა, ხომ ნახე **ვარაზანაშვილიო** და დავრწმუნდით, რომ ადრევე გვითვალთვალებდნენ!



ერთ-ერთი ბრალდებულის, გურამ სხირტლაძის ძმამ, ჯემალ სხირტლაძემ სასამართლო დარბაზის ფანჯრის მინაზე სალებავი ააფხიკა და ეს ფოტო ჭუჭრუტანიდან გადაიღო, ამიტომაა ასეთი ცუდი ხარისხის (წინა დღით იგი ნაგვის ბუნკერში დაიმალა).

ჩვენი სასამართლო პროცესი, ფაქტობრივად, დახურული იყო. დარბაზში აქა-იქ იჯდა ხალხი, ცხადია, ის ადამიანები, ვინც ხელისუფლებას აწყობდა. როცა სასამართლოს შენობასთან მიგვიყვანეს, გავოგნდი: სასამართლოს შენობა, ნაძვის ხესავით, ხალხით იყო დახუნძლული - ფანჯრებიდან, აივნებიდან ცნობისმოყვარეები იყურებოდნენ.

**სუკ-ის იზოლატორის მე-3 სართულზე, ერთ საკანში, 2 კვირის მანძილზე ერთად ვისხედით გურამ სხირტლაძე და მე, შემდეგ ჩვენც გაგვაცალკევეს. სწორედ მაშინ გავიგე, რომ „კომუნისტში“ ჩვენზე გამოქვეყნდა პასკვილი „სარეველა“ *(იხ. გაზეთის 27-ე გვერდზე. - რედ.).***

4 თვე ვიჯექით, აპრილში გაგვათავისუფლეს. ჩემი აზრით, ჩვენი გამოშვება საერთაშორისო ვითარებამაც დააჩქარა - 1956 წლის უნგრეთის მოვლენებმა, ცივმა ომმა, უცხოური რადიოსადგურები ჩვენს დაპატიმრებაზე გადმოსცემდნენ. ერთი კი ვიცი - როცა მოსკოვში გადაწყვიტეს, გავეთავისუფლებინეთ, ქართველი ჩეკისტები სიმწრით თითებს იჭამდნენ!

**როცა „სარეველას“ შესახებ მითხრეს, ვიფიქრე, გარეთ როგორ გავალთ-მეთქი, მაგრამ საზოგადოების რეაქცია სულ სხვაგვარი აღმოჩნდა - ყველა თბილად გვესალმებოდა, გვიღიმოდა, უცნობები ოჯახებში გვიწვევდნენ.**

ამ დაპატიმრების შემდეგ, როცა ერთად შევიკრიბებოდით, ათასგვარ პროვოკაციას გვიწყობდნენ, მერე ყველა თავის გზით წავიდა, ზვიადი და მერაბი კი ეროვნული მოძრაობის ავანგარდში დარჩნენ.

**ზვიად გამსახურდია იმ ადამიანებთან მეგობრობდა, ვინც მის სულისკვეთებას იზიარებდა, არავის უკადრისობდა, სნობიზმი მისთვის უცხო იყო.** მახსოვს, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, პირისპირ საუბარში მითხრა: - **მერაბ კოსტავა საქართველოს საამაყო შვილიაო.** მართალი გითხრათ, უცებ მეხამუშა კიდეც, მაგრამ ზვიადი მართლაც ასე ფიქრობდა!

**ახლა ზოგიერთი ვითომ „ძველი ბიჭი“ „ფილოსოფოსობს“, ზვიადს „ქუჩის აკადემია“ არ ჰქონდაო გავლილი. ძმაკაცობაც იცოდა, საქმის გარჩევაც და მუშტი-კრივიც, მაგრამ სხვა იდეალებით ცხოვრობდა. ვაჟკაცობაზე სხვა წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე, ვთქვათ, ჯაბა იოსელიანს.** მაშინ სკოლაში „ყოჩობა“ იყო. ზვიადი და თამაზ გუნჯუა პირველ-მეორე ყოჩებად ითვლებოდნენ. გატაცებული იყო მძლეოსნობით, ცურვით, თხილამურებით.

ზვიადის სატელევიზიო გამოსვლამ, „მონანიებამ“, მის წინააღმდეგ მიმართულმა აგიტაცია-პროპაგანდამ საზოგადოების დიდ ნაწილზე იმოქმედა. 1979 წელს მასთან დაღესტანში, კოჩუბეიში ჩავედი. მახსოვს, დილაადრიან მივედი კოლხურ კოშკში ზვიად გამსახურდიას ცოლისდასთან - ლელე არჩვაძესთან. ლელემ საჭირო ნივთები გამატანა მანანა არჩვაძე-გამსახურდიასთან, რომელიც მცირეწლოვან ბავშვთან ერთად იყო კოჩუბეიში, უმძიმეს პირობებში. **ზვიადი დათრგუნული ჩანდა. ვკითხე: - წამლებით ნებელობა დაგიქვეითეს და იმიტომ გამოხვედი ტელევიზიით თუ დახვრეტით დაგემუქრნენ-მეთქი? მიპასუხა: - დახვრეტაზე უფრო უარესით, ემიგრაციით დამემუქრნენო!** ხომ შეეძლო ეთქვა, ნემსი გამიკეთესო, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, მაგრამ მან სიმართლე თქვა! ეს თავისი სიკვდილითაც დაამტკიცა: - **შეეძლო უკან, გროზნოში დაბრუნებულიყო, მაგრამ თავის ქვეყანაში დარჩა და ბრძოლის ველზე მოკვდა!** ზვიად გამსახურდიამ ისიც მითხრა, რომ **მას ჩილეს კომპარტიის მდივანში, ლუის კორვალანში ცვლიდნენ** (რომელიც შემდგომ ცნობილ რუს დისიდენტში ბუკოვსკიში გაცვალეს). კოჩუბეიში საშინელი კლიმატია, ნახევრად უდაბნოა. ზოგიერთს კი ისე სურს წარმოაჩინოს, თითქოს კურორტზე იყო! ასეა, როცა თეთრისა და შავის გარჩევა არ გინდა.

**ზვიად გამსახურდია ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი იყო**, ისე კი არა, დღეს რომ ლამის მოდად იქცა ეკლესიაში სიარული. 1980 წლის აპრილში სამების ეკლესიაში ერთად მოვნათლეთ ჩვენი მეგობრის **ტოლიკო** მიქაძის ქალიშვილი **მაკა მიქაძე**. დაიწყო ნათლობის რიტუალი, მღვდელი კითხულობს ლოცვას და უცებ, ზვიადმა შეაჩერა: მამაო, ამ ადგილას ნათლიის ლოცვაა და უნდა წავიკითხოო! საკმაოდ დიდი ლოცვა წაიკითხა, მღვდელიც კი გაოცებული დარჩა. ყველა საეკლესიო რიტუალს ზედმიწევნით იცნობდა. ზვიადის რწმენა არ იყო ზედაპირული, რაც, სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა!

*მოამზადა*

**ნინო კვიტაშვილმა**




საქართველოს სულიერი მისია

ლექცია, წაკითხული თბილისში. ფილარმონია, 2 მაისი, 1990

ასე იწყებოდა პირველი პრეზიდენტის მკვლელობა

# რას წერდა ბინძური საბჭოთა პრესა ზვიად გამსახურდიას შესახებ ჯერ კიდევ 1956 წელს

კომუნისტი — КОМУНИСТИ

№ 291 (10685) — 16 დეკემბერი, 1956 წ. — ფასი 20 კაპ.

## ს ა რ ე ვ ე ლ ა

ქ. ქეხაძე.

## ძველი გაზეთებიდან

### ინტერვიუ ზ.გამსახურდიასთან

**- გარკვეულ საზოგადოებრივ წრეებში აზრია, რომ კარგი იქნებოდა საქართველოს გერბზე გამოსახული მხედრისათვის მიგვეცა დასრულებული რელიგიური სახე.**

- ახლავე მოგახსენებთ. ამაზე ვფიქრობდით, მაგრამ ეს მაინც არის საერთო სახელმწიფო გერბი. ჩვენ რომ მასზე წმინდა გიორგი გამოგვესახოთ ნიმბით, იქნება რელიგიური ხატი. გამოდის, რომ რელიგიური ხატი უნდა გამოვსახოთ ფულზე, ავტოინსპექციის მანქანაზე და ა.შ. ეს კი მკრეხელობა იქნება. ამიტომ მგონია, რომ ეს ფორმა უფრო გამართლებულია. თავისთავად იდეისთვის პატივისცემაა და ამავე დროს, რადგან ეკლესიისა და რელიგიისა. არ შეიძლება საეროს და საეკლესიოს ერთმანეთში აღრევა.

**- გუშინდელ „ნეზავისიმაია გაზეტა-ში" მოთავსებულია ინტერვიუ ე.შევარდნაძესთან, სადაც ის ამბობს, რომ საქართველო დაჩოქილი ევედრებოდა რუსეთს, იმპერიის შემადგენლობაში მისაღებად...**

- ამით მან ყველაფერთან ერთად გამოამჟღავნა ისტორიის უცოდინარობაც, შეიძლება შეგნებულადაც მოიქცა ასე. მოკლედ, პირდაპირ აიხადა ნიღაბი. ელემენტარული უმეცრებაა, სადაც ამბობს, თითქოს ტრაქტატმა გადაგვარჩინა. **ჩვენ ტრაქტატმა კი არ გადაგვარჩინა, არამედ დაგვღუპა. ტრაქტატს მოჰყვა მუსლიმანური სამყაროს გააქტიურება, კრწანისი და ყველა უბედურება. მეორეც, მუხლდაჩოქილი არასოდეს არავინ შემდგარა რუსეთს. პირიქით, ვინც ამბობს, დავით აღმაშენებელი მეფეებს აუშვებდაო, ეს არის ახალგაზრდული უმეცრობა.** მეფეებს კი არ აუშვებდა, მაჰმადიანურ უბნებში ღორის დაკვლა აკრძალა, რადგან თბილისის აღების შემდეგ ძლიერ გამწვავდა ურთიერთობა მუსულმანურ მოსახლეობასთან. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი ინტერნაციონალისტი იყო შევარდნაძის გაგებით, არამედ ნიშნავს ყველა ადამიანის პატივისცემას, რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად და ამაში არ დევს ის აზრი, რომ დათმობდა მართლმადიდებლობას და გადავიდოდა მუსულმანურ სარწმუნოებაზე. მეჩეთი მას არ აუშენებია და საიდან მოიტანა ეს შევარდნაძემ - არ ვიცი, რომელი ისტორიული ცნობის ეყრდნობა. შემდეგ, ვერ გავიგე, რას ნიშნავს სვანების უბანში დიდგორი, სად არიან იქ სვანები? ასეთი გეოგრაფიული გაგება - „სვანეთის უბანი" - დიდგორზე არ არსებობს; თუმცა ეს შეიძლება რედაქციის შეცდომაც არის. მოკლედ რომ ვთქვა, ამ ინტერვიუს გაცნობამ ძლიერ განმაცვიფრა.

**- ბატონო ზვიად, როგორია თქვენი პროგნოზი საქართველოს შესახებ ესქატოლოგიურ დროში?**

- დროის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. მოციქულთა საქმეში წერია: „არა თქუენი არს ცნობა ჟამთა და წელთა, რომელნი იგი მამამან დასხნა თჳსითა ჴელმწიფებითა". დრო და ჟამი ქვეყნის აღსასრულისა უწყის მხოლოდ უფალმა, ხოლო საქართველოს აღდგომა და იბერიის გაბრწყინება გარდაუვალია და ამისკენ მივდივართ მე მგონი ჩვენ.

**- რას გულისხმობდით, როცა ბრძანებდით, მართლმადიდებლობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად უნდა გამოცხადდეს?**

- ეს, რა თქმა უნდა, თეოკრატიას არ ნიშნავს. მე ვთქვი, რომ ეს არის სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგია და სახელმწიფო პოლიტიკა ეყრდნობა მართლმადიდებლობას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს თავს მოახვევს, ვთქვათ პროტესტანტებს, თუნდაც მუსულმანებს. სახელმწიფო ცეცხლითა და მახვილით კი არ გაავრცელებს მართლმადიდებლობას, არამედ მოუწოდებს მის პატივისცემისაკენ და მას შეუწყობს ხელს ყველაზე მეტად. ამავე დროს არც სხვას არ დაჩაგრავს.

**- და ბოლოს რას იტყოდით ჩვენს ეკლესიაზე?**

- ჩვენს ეკლესიას სჭირდება განწმენდა - ძველი კომუნისტური დროიდან ბევრი ურჯულო მოვლენა და პიროვნება გადმოჰყვა ამ ახალ პერიოდს. საბოლოოდ იგი უნდა იქცეს ჭეშმარიტად წმინდა ეკლესიად. საერთოდ, ვთვლი, საჭიროა საეკლესიო კრების მოწვევა და დიდი წმინდა კადრების სფეროში, საჭიროა ახალი რეფორმების კრება.

*„ქართველი ერი" №21 (25), გიორგობისთვე, 1991 წ.*

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ [illegible]

კორპორაცია დანსინგ ქრეინი წარმოადგენს

**[illegible] და [illegible]**

რეზო კლდიაშვილის ერთმოქმედებიან კომედიაში

# მადონას თეატრი




რეჟისურა **ნუგზარ ბუცხრიკიძის**

მეორე განყოფილება – **იუმორისტული ნომრები, ქალაქური სიმღერები და ცეკვები**

## ლინკოლნ სკოლის თეატრში

(2800 Ocean Parkway, Brooklyn)

**ბილეთის ფასი 40 დოლარი**

ინფორმაციისათვის დარეკეთ: **845-986-2638**

347-409-7612; 718-628-4608; 917-468-4718; 201-333-5555

გათამაშდება უფასო ლატარეა

ბილეთები იყიდება „კავკას ექსპრესის“ ფილიალებში და 2910 მერვე ბრაიტონსა და ნეპტუნ ავენიუს კუთხეში

This performance is made possible in part with public funds from the New York State Council on the Arts, a state agency


ყოველთა ქართველ ემიგრანტთა გაზეთი ამერიკიდან

მამული

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE



Phone: 609-517-2278
mamuli@comcast.net

P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07109

ასავალ დასავალი

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

კოსტავას 14, V სართული, თბილისი, 0108
ტელეფონი: 98-97-21



აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. ნებისმიერი კონტრმოტივაცია ძალაშია ნომრის გამოსვლიდან 7 დღის მანძილზე. მიიღება და რედაქციის საკუთრებაში რჩება მხოლოდ კომპაქტური კორესპონდენცია, რომლის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება. გაზეთიდან მასალის გადაბეჭდვა ნებადართულია მხოლოდ საქართველოს წარმომადგენლობის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში „მამულის“ მოხსენიების აუცილებელი პირობით.